სახელმძღვანელო მითითებები დამნაშავეთა უსაფრთხო და ეფექტიანი პროგრამების შესაქმნელად: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი

შედარებითი კვლევა და
რეკომენდაციები
ოჯახში ძალადობისა
და სექსუალური
ძალადობის ჩამდენ პირთა
პროგრამების შესახებ

THE ISTANBUL CONVENTION SAVES LIVES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

სახელმძღვანელო მითითებები დამნაშავეთა უსაფრთხო და ეფექტიანი პროგრამების შესაქმნელად: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი

შედარებითი კვლევა და რეკომენდაციები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შესახებ

დოკუმენტი მოამზადეს
სანდრა იოვანოვიჩ ბელოტიჩმა და ბერტა ვალმა,
ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის
ევროპული ქსელი,
ასევე, კირან მაკარტანმა,
დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი.

ევროპის საბჭო

ფრანგული გამოცემა: Orientations pour des programmes sûrs et efficaces à l'intention des auteurs de violence: article 16 de la Convention d'Istanbul.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს

არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს

შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით.

წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

„© ევროპის საბჭო, წელი, გამოცემა“.

ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/

თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციის

დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: publishing@coe.int).

ყველა სხვა კორესპონდენცია ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატის ქალთა მიმართ ძალადობის განყოფილებას.

F-67075 Strasbourg

Cedex France, ევროპის საბჭო

ელფოსტა: conventionviolence@coe.int

ყდა და დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო.

ყდის ფოტოები: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაცია არ გაურედაქტირებია SPDP-ის სარედაქციო განყოფილებას, ტიპოგრაფიული და გრამატიკული შეცდომების შესასწორებლად.

© ევროპის საბჭო, 2024 წლის მაისი

სარჩევი

მადლიერების ნიშნად **5**

შესავალი **7**

მეთოდოლოგია **9**

პირველადი კვლევა 9

მეორეული კვლევა 9

ნაწილი 1 - პროგრამები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის **13**

1.1. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო 14

1.2. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების მიმწოდებლები 19

1.3. მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ქალთა და ბავშვთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა 21

1.4. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შემუშავება 24

1.5. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების საკონტროლო ჩამონათვალი 29

ნაწილი 2 - პროგრამები სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის **33**

2.1. პროგრამები ზრდასრულთა, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის 35

2.2. პროგრამები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის 38

2.3. პროგრამები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას 44

2.4. სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების საკონტროლო ჩამონათვალი 47

დასკვნა **50**

გამოყენებული ლიტერატურა **51**

მადლიერების ნიშნად

ეს კვლევა მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში „ქალთა მიმართ ძალადობის დასრულება: მრავალმხრივი პროგრამა“ (2022-2025). მისი შინაარსი შეიმუშავეს სანდრა იოვანოვიჩ ბელოტიჩმა და ბერტა ვალმა („ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი“), ასევე, კირან მაკარტანმა (დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი). გამოცემის საბოლოო ვერსია მომზადდა ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის სამდივნოს მხარდაჭერით და პროექტის ოფიცრის, ვალენტინ იოზენჰანსის კოორდინაციით. პუბლიკაციის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის საბჭოს ბავშვთა განყოფილებამ. ეს კვლევა ვერ ჩატარდებოდა „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელისა“ და „პრობაციის ევროპული კონფედერაციის“ წევრთა გარეშე, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევის ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვებსა და ინტერვიუებში.

შესავალი

დამნაშავეთათვის განკუთვნილი პროგრამები მნიშვნელოვანი ელემენტია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში. ეს პროგრამები ხელს უწყობს დამნაშავეს, რომ პასუხისმგებლობა აიღოს თავის ძალადობრივ ქმედებებზე და, საბოლოოდ, აღარ ჩაიდინოს განმეორებითი დანაშაული. ასეთი პროგრამების მიზანია მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცება ძალადობრივი ქცევის დაძლევითა და აღკვეთით, ასევე, იმ ინდივიდთა ქცევის შეცვლით, რომლებიც სჩადიან ოჯახში ძალადობასა ან სექსუალურ ძალადობას ქალთა მიმართ.

კვლევების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობას უმეტესწილად სჩადიან კაცები.[1] თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ამ კვლევაში გამოყენებული ტერმინი „დამნაშავე" გულისხმობს კაც დამნაშავეს. ასევე მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ენა ეფუძნება პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც პიროვნებას გამოყოფს მისი ქცევისგან. ანგარიშის ტერმინოლოგიის ჰარმონიზებისათვის, კვლევაში განხილული ორი განსხვავებული ტიპის პროგრამის კონტექსტში გამოყენებულია ტერმინები „ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები" და „სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები".

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), ძალადობის პრევენციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის ფარგლებში, ითვალისწინებს პრევენციული და ინტერვენციული პროგრამების დანერგვას დამნაშავეთათვის. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს, შექმნან და მხარი დაუჭირონ დამნაშავეთა პროგრამებს, რომლებიც, ძირითადად, ორიენტირებული იქნება მსხვერპლთა უსაფრთხოებასა და მხარდაჭერაზე.[2] სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი კონკრეტულ ვალდებულებებს ადგენს პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამების შექმნისა თუ მხარდაჭერის კუთხით.

მუხლი 16 - პროფილაქტიკური ღონისძიებები და სამკურნალო პროგრამები

1. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა შეიმუშაონ ან მხარი დაუჭირონ ისეთ პროგრამებს, რომელთა მიზანია ოჯახში ძალადობის აქტების ჩამდენ პირებს ასწავლოს არაძალადობრივი ქცევა პიროვნებათაშორის ურთიერთობებში, მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ფორმების შეცვლის მიზნით.

2. მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა შეიმუშაონ ან მხარი დაუჭირონ სამკურნალო პროგრამებს, რომელთა მიზანია ძალადობის, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობის აქტების ჩამდენი პირების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენცია.

3. 1-ელ და მე-2 პუნქტებში ნახსენები ზომების მიღებისას მხარეები უზრუნველყოფენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მსხვერპლის უსაფრთხოებას, მხარდაჭერას და ადამიანის უფლებებს და რომ, სადაც მიზანშეწონილია, ეს პროგრამები შემუშავდეს და განხორციელდეს მსხვერპლის მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით.

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში ხაზგასმით მიუთითებს, რომ მხარეებმა უნდა შემოიღონ საკუთარი პროგრამები, ან მხარი დაუჭირონ უკვე არსებულ ვერსიებს. გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ისინი, იღებენ მხარეები, ან პროგრამის განმახორციელებლები/მიმწოდებლები. ამავდროულად, განმარტებითი ანგარიში

1. Violence against women: an EU-wide survey, European Union Agency for Fundamental Rights, 2014, გვ. 7 და გვ. 27-32. Hester, M. (2013). Who Does What to Whom? Gender and Domestic Violence Perpetrators in English Police Records. European Journal of Criminology, 10(5), 623-637. https://doi.org/10.1177/1477370813479078.
2. ევროპის საბჭო. (2011a). ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. https://rm.coe.int/168008482e

აღწერს პროგრამის უსაფრთხოების ძირითად ელემენტებს. [3] სტამბოლის კონვენციამდე, დამნაშავეებთან მუშაობის მინიმალურ სტანდარტებს ადგენდა ევროპის საბჭოს კვლევა „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა: მინიმალური სტანდარტები მხარდამჭერი სერვისებისთვის."[4] გარდა ამისა, ევროპის საბჭომ წარმოადგინა დამნაშავეთა პროგრამების პრაქტიკაში განხორციელების მიმოხილვა, მათ შორის, სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ითვალისწინებდა ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შექმნის საკონტროლო ჩამონათვალს.[5]

გარდა ამისა, „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი" (WWP EN) გვაწვდის სახელმძღვანელო მითითებებს დამნაშავეებთან უსაფრთხო და ეფექტიანი მუშაობისთვის. 2023 წელს ქსელმა გამოაქვეყნა „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტები", სადაც წარმოდგენილია ასეთი პროგრამების შექმნისას გასათვალისწინებელი ძირითადი ელემენტები, რომლებიც ეფუძნება მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას.[6]

ამავდროულად, პრაქტიკაში კვლავ რჩება სირთულეები არსებული პროგრამების ზემოაღნიშნულ პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა (GREVIO) გამოავლინა ხარვეზები იმ პროგრამათა ხელმისაწვდომობაში, რომლებიც ეფუძნება მსხვერპლზე ორიენტირებულ და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას და ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას სპეციალიზებულ მხარდამჭერ სამსახურებთან.[7] „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელის" მიერ ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა საერთო გამოწვევებიც, რომლებსაც აწყდებიან ქვეყნები და სერვისის მიმწოდებლები დამნაშავეთა პროგრამების შექმნისა და შემუშავების პროცესში, სტამბოლის კონვენციის დებულებების განხორციელების მიზნით.[8] ეს გამოწვევები უკავშირდება კონკრეტულად მსხვერპლის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულობის პრინციპს დამნაშავეებთან მუშაობის პროცესში, რისკების შეფასებასა და მართვას და გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის დონეს.

წინამდებარე შედარებითი კვლევა მიმოიხილავს დამნაშავეთა პროგრამების არსებულ მოდელებსა და მიდგომებს, მათ შედეგებთან ერთად, და პასუხობს ისეთი ანალიზის საჭიროებას, რომელიც ხაზგასმულია დეკლარაციაში „ოჯახური, სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენციის შესახებ" (დუბლინის დეკლარაცია). 2022 წლის სექტემბერში ეს დეკლარაცია ევროპის საბჭოს 38-მა წევრმა სახელმწიფომ მიიღო.[9] ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საჭიროებაზეც: „გამოვლინდეს კარგი პრაქტიკის მაგალითები და შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების ფუნქციონირებისათვის, რათა საბაზისო სტანდარტები შეესაბამებოდეს სტამბოლის კონვენციის პრინციპებს, განსაკუთრებით, მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლთა უსაფრთხოებასა და მხარდაჭერაზე, ასევე, მათი უფლებების სრულად დაცვაზე."

შესაბამისად, ეს კვლევა გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა უსაფრთხო და ეფექტიანი პროგრამების შესაქმნელად, სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის შესაბამისად. კვლევა ეფუძნება პერსპექტიულ მაგალითებსა და საერთო გამოწვევებს, რომლებიც იკვეთება დამნაშავეთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდთა გამოყენებით, კვლევა მიზნად ისახავს მკაფიო და პრაქტიკული რეკომენდაციების წარმოდგენას დამნაშავეთა პროგრამების უსაფრთხოდ და ეფექტიანად განხორციელებისათვის. ეს რეკომენდაციები განკუთვნილია გადაწყვეტილების მიმღები პირების, სერვისის მიმწოდებლებისა და პრაქტიკოსებისათვის.

---

3. ევროპის საბჭო. (2011b). ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, განმარტებითი ბარათი. https://rm.coe.int/1680a48903
4. ევროპის საბჭო. (2008). Combating violence against women: minimum standards for support services. ხელმისაწვდომია: http://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-CONF(2007)Study%20rev.en.pdf.
5. Hester, M. & Lilley, S. J. (2014). Domestic and sexual violence perpetrator programmes: Article 16 of the Istanbul Convention. ხელმისაწვდომია: https://edoc.coe.int/en/violence-against-women/7144-domestic-and-sexual-violence-perpetrator-programs-article-16-of-the-is-tanbul-convention.html.
6. WWP EN [ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი]. (2023). European standards for perpetrator programmes – Standards for survivor safety-oriented intimate partner violence perpetrator programmes: Working document. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Standards/European_Standards_for_Perpetrator_Programmes_website.pdf
7. ევროპის საბჭო. (2022b). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშების შუალედური, ჰორიზონტალური მიმოხილვა. https://rm.coe.int/prems-010522-gbr-grevio-mid-term-horizontal-review-rev-february-2022/1680a58499
8. Jovanović, S. & Vall, B. (2022). Perpetrator Programmes in the Western Balkans; Mapping the Existing Practices and Ways Forward. The European Network for the Work With Perpetrators of Domestic Violence (WWP EN). ხელმისაწვდომია: http://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Projects/STOPP/WWPEN_STOPP_RegionalReport_220531_WEB.pdf; Jovanović, S., Petrangelo M., & Vall, B. (2022). Regional Guidance on Working with Perpetrators of Domestic Violence and Early Intervention: Eastern Partnership Region. UN Women, UNFPA. ხელმისაწვდომია: https://eca.unwomen.org/sites/default/files/2023-01/UN%20Woman%20-%20EU%204%20Gender%20Equality%5B3%5D.pdf.
9. ევროპის საბჭო. (2022a). Declaration of Council of Europe Ministers on the Prevention of Domestic, Sexual and Gender-Based Violence. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/dublin-declaration-sept-2022/1680a85149.

მეთოდოლოგია

ამ კვლევას ორი მიზანი აქვს:

1. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებული დამნაშავეთა პროგრამების შესწავლა და მათი ხარისხის შეფასება;
2. რეკომენდაციების წარმოდგენა დამნაშავეთა პროგრამების დიზაინისა და ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, მათ შორის, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ასეთი პროგრამების შექმნა-განხორციელებისათვის, ხარისხის იმ სტანდარტებზე დაყრდნობით, რომლებიც აღებულია სტამბოლის კონვენციის დებულებებიდან.

კვლევა ეხმიანება კონვენციის მე-16 მუხლით დადგენილ ვალდებულებას, რომ მხარეებმა უნდა შექმნან ან მხარი დაუჭირონ „პროფილაქტიკურ (პრევენციულ) ღონისძიებებსა და სამკურნალო პროგრამებს“. უფრო კონკრეტულად, მე-16 მუხლი განასხვავებს პროგრამებს, ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობისა და, მეორე მხრივ, სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის (მათ შორის არიან: ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები და ის ახალგაზრდები, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას).

წინამდებარე კვლევა ეფუძნება „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელის“ მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც იყენებს შერეულ მეთოდს – თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზებას დამნაშავეთა არსებული პროგრამების შესახებ. ეს კვლევა მოიცავს როგორც პირველად, ასევე მეორეულ მონაცემთა ანალიზს.

პირველადი კვლევა

- **თვითადმინისტრირებადი კითხვარები:** 2023 წლის ივნისიდან სექტემბრამდე 29 თვითადმინისტრირებადი კითხვარი შეავსეს იმ ორგანიზაციათა თანამშრომლებმა, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს ოჯახში ძალადობისა თუ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის. გამოყენებულია IMPACT-ის პროგრამის კითხვარი,[10] რომელიც მოერგო თითოეული პროგრამის ტიპს. იგი ითვალისწინებს კითხვებს პროგრამების მახასიათებელთა შესახებ, როგორიცაა: მათი ადგილმდებარეობა, მოცულობა, ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები, პერსონალის კვალიფიკაცია, პროცედურები, უწყებათაშორისი თანამშრომლობა, რისკების შეფასება-მართვის ინსტრუმენტები და მექანიზმები, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების ღონისძიებები.
- **ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები:** 2023 წლის ივნისიდან სექტემბრამდე ჩატარდა 17 დისტანციური, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ იმ ორგანიზაციათა თანამშრომლებთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის, მათი ყოველდღიური პრაქტიკის სპეციფიკაზე უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მეორეული კვლევა

- **ლიტერატურის მიმოხილვა:**

2023 წლის ივნისიდან სექტემბრამდე ჩატარდა ორი ტიპის ლიტერატურის მიმოხილვა:

1. სამეცნიერო ლიტერატურის სისტემატური მიმოხილვა, რომელიც ითვალისწინებდა ძიებას საკვანძო სიტყვებისა და სხვადასხვა ტერმინის კომბინაციათა გამოყენებით. ძიება ჩატარდა ორ ძირითად მონაცემთა ბაზაში (Web of Science და PubMed), ასევე, შესაბამის „ნაცრისფერ“ ლიტერატურაში;

10. ეს გამოკითხვა გამოყენებულია რამდენიმე კვლევით პროექტში, რომლებიც განახორციელა WWP EN-მა. მაგალითად, იხ: Jovanović, S. & Vall, B. (2022),op. cit. (შენიშვნა 8); Jovanović, S. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 9); Vall et al. (2023), op. cit (შენიშვნა 20).

2. ევროპის საბჭოს ძირითადი პუბლიკაციების, განსაკუთრებით, GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშების მიმოხილვა.

- **მანამდე შეგროვებულ მონაცემთა ხელახალი გამოყენება:**

  ხელახლა გაანალიზდა და წინამდებარე კვლევაში შეტანილი იქნა WWP EN-ის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შეგროვებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

კვლევაში გაანალიზდა შემდეგი პროგრამები (ვრცლად, იხ. ცხრილი 1):

- **პროგრამები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის:** თვითადმინისტრირებადი კითხვარები შეავსეს 22 ქვეყანასა[11] და კოსოვოში* მოქმედი 48 პროგრამის თანამშრომლებმა. მათ შორის, 32 პროგრამის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებში.
- პროგრამები სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის:
  - ***ზიდასხუდთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები:*** კვლევამ მოიცვა ევროპის 33 ქვეყნის 51 პროგრამა. მათგან 9 ევროპული ქვეყნის 20 პროგრამის თანამშრომლებმა შეავსეს კითხვარი.[12] გარდა ამისა, ლიტერატურის მიმოხილვისა და/ან წინა პროექტების ფარგლებში შეგროვებულ მონაცემთა ხელახალი გამოყენების[13] შედეგად, გაანალიზდა 20 ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული 31 პროგრამა.[14]
  - ***ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები:*** კვლევამ მოიცვა ევროპის 20 ქვეყნის 48 პროგრამა. მათ შორის, 13 ევროპული ქვეყნის 21 პროგრამის თანამშრომლებმა შეავსეს კითხვარი.[15] გარდა ამისა, ლიტერატურის მიმოხილვამ მოიცვა 7 ევროპულ ქვეყანაში განხორციელებული 25 პროგრამა.[16]
  - ***პროგრამები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას:*** ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, გამოვლინდა 3 ევროპულ ქვეყანაში – შვედეთში, შვეიცარიასა და გაერთიანებული სამეფოში მოქმედი 15 პროგრამა.

კვლევაში წარმოდგენილი პროგრამები შეირჩა ხელმისაწვდომი შერჩევის (convenience sampling) საფუძველზე. ეს პროგრამები ეკუთვნის ევროპაში დამნაშავეთა პროგრამების უზრუნველყოფის ორ მთავარ ქსელს – WWP EN-სა და პრობაციის ევროპულ კონფედერაციას (CEP). გარდა ამისა, WWP EN-სა და CEP-ს ჰყავთ წევრები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა კონტექსტში და ეყრდნობიან სხვადასხვა პრაქტიკას.

ყველა რესპონდენტი ინფორმირებული იყო კვლევის მიზნებზე, ასევე, მონაცემთა დამუშავების ანონიმურობასა და კონფიდენციალურობაზე. გამოკითხვებისა და ინტერვიუების ფარგლებში შეგროვდა გარკვეული პერსონალური მონაცემებიც, თუმცა მათზე წვდომა ჰქონდათ მხოლოდ მკვლევარებს, კონფიდენციალურობის პრინციპთა დაცვით. კვლევა არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და ყველა მონაცემი დამუშავდა კონფიდენციალურად.

ამავდროულად, კვლევას აქვს გარკვეული შეზღუდვებიც. უპირველესად, დამნაშავეთა პროგრამების თითოეული კატეგორიისთვის შერჩეულ რესპონდენტთა ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც გამოწვეულია თავად პროგრამებს შორის განსხვავებებით (იგულისხმება პროგრამები ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისა და იმ ბავშვების/ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას). მაგალითად, ხელმისაწვდომი მასალისა და შესაბამის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა განსხვავდება პროგრამის ტიპის მიხედვით. კიდევ ერთი შეზღუდვა უკავშირდება ხარისხობრივი მონაცემების ნაკლებობას სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შესახებ. და ბოლოს, წინამდებარე კვლევის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემთა განზოგადება შეუძლებელია და ეს ინფორმაცია არ იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას კონკრეტულ ქვეყანაში დამნაშავეთა პროგრამების ხარისხზე. მართლაც, შერჩევა არ არის საკმარისად წარმომადგენლობითი, რომ ასახოს

11. ავსტრია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.
* კოსოვოსთან დაკავშირებული ყველა მითითება – ტერიტორიის, ინსტიტუტებისა თუ მოსახლეობის შესახებ – უნდა განიმარტოს გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციასთან სრული შესაბამისობით და კოსოვოს სტატუსის დაუზიანებლად.

12. გერმანია, ისლანდია, იტალია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ესპანეთი, შვეიცარია და თურქეთი.
13. McCartan, K., Van der Brugge, W., Špero, J., Inge Svendsen, J., Cutland, M., Morick, Y., Negredo, L., Zavackis, A., Zammit, M. A., & Teet Kajala, T. (2022). Survey of current practices in the assessment, treatment and management across cep areas. Confederation of European Probation.
14. ალბანეთი, ბელგია, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო.
15. კვიპროსი, ესტონეთი, გერმანია, ისლანდია, იტალია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და თურქეთი.
16. გერმანია, ფინეთი, ლიტვა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო.

მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ყველა პროგრამა. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, კვლევის შედეგები მაინც გვაწვდის არსებით ინფორმაციას ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის არსებულ პროგრამებზე ევროპაში.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული ყოვლისმომცველი მონაცემები შეეხება ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს. ეს ინფორმაცია შეგროვდა თვითადმინისტრირებადი კითხვარებით, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებითა და ლიტერატურის მიმოხილვით (იხ. ცხრილი 1). რაც შეეხება ზრდასრულთა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს, ეს მონაცემები შეგროვდა ლიტერატურის მიმოხილვით და თვითადმინისტრირებადი კითხვარებით. როგორც პირველ ცხრილში ჩანს, ლიტერატურის მიმოხილვამ მოიცვა 131 დოკუმენტი/კვლევა იმ პროგრამების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის. ამას გარდა, თვითადმინისტრირებადი კითხვარი (IMPACT-ის პროგრამის კითხვარი) ფარავდა 89 პროგრამას, ხოლო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებით გაანალიზდა 32 პროგრამის ფუნქციონირება.

ცხრილი 1. ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შესასწავლად გამოყენებული კვლევის მეთოდები

	ლიტერატურის მიმოხილვა		IMPACT-ის პროგრამის კითხვარი		ინტერვიუები		პროგრამების საერთო რაოდენობა ტიპის მიხედვით
		მოცულობა		მონაწილეები		მონაწილეები	
ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები	✓	60 კვლევა	✓	22 ქვეყანასა და კოსოვოში* მოქმედი 48	✓	22 ქვეყანასა და კოსოვოში* მოქმედი 32	**48**
ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები	✓	31 პროგრამა	✓	9 ქვეყანაში მოქმედი 20	✗		**51**
ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები	✓	25 პროგრამა	✓	13 ქვეყანაში მოქმედი 21	✗		**46**
პროგრამები ბავშვებისა dxlxba ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას (HSM)	✓	15 პროგრამა	✗		✗		**15**
პროგრამების საერთო რაოდენობა, კვლევის მეთოდის მიხედვით		**131**		**89**		**32**	

პროგრამის თითოეულ ტიპთან დაკავშირებული მიგნებები ცალ-ცალკე გაანალიზდა და წარმოდგენილია ამ ანგარიშის მომდევნო ნაწილებში. კვლევის სხვადასხვა მეთოდით (ლიტერატურის მიმოხილვა, თვითადმინისტრირებადი კითხვარები და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები) შეგროვებულ მიგნებებზე დაყრდნობით, გამოვლინდა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც შემდეგ გაანალიზდა სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლში წარმოდგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის კუთხით. და ბოლოს, იდენტიფიცირებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები დამატებით აღიწერა, იმ ელემენტთა გამოყოფით, რომელთა ხელახალი გამოყენება და გადატანა შესაძლებელია დამნაშავეთა სხვა პროგრამებში.

ნაწილი 1 - პროგრამები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის

სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი მხარეებს ავალდებულებს, შექმნან ან მხარი დაუჭირონ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს და ასწავლონ, როგორ „გამოიმუშაონ არაძალადობრივი ქცევა ადამიანთა შორის ურთიერთობებში, მომავალში ძალადობის პრევენციისა და ძალადობრივი ქცევის ნიმუშების შეცვლის მიზნით." სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის თანახმად, ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ინტერვენციული პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო პრაქტიკას და გარკვეულ ძირითად პრინციპებს. მათ შორისაა: ძალადობის ჩამდენ პირთა წახალისება საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ასაღებად; ქალთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების დაძლევა; პროგრამის განხორციელება კვალიფიციური და სათანადოდ მომზადებული ფასილიტატორების მიერ; და მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ: როგორიცაა ქალთა მხარდაჭერის სერვისები, სამართალდამცავი ორგანოები, სოციალური სამსახური, სასამართლო, პრობაციის სამსახური). განმარტებითი ანგარიში ასევე მიუთითებს, რომ დამნაშავეთა ჩართვა ამ პროგრამებში შესაძლებელია როგორც სასამართლოს განჩინებით, ისე ნებაყოფლობით. თუმცა ორივე შემთხვევაში „პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მსხვერპლთა საჭიროებებსა და უსაფრთხოებას, ასევე, ადამიანის უფლებებს."[17]

სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, ოჯახში ძალადობა ნიშნავს „ყველა ფიზიკურ, სქესობრივ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას, რაც ხდება ოჯახსა ან ოჯახურ წრეში, ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა და პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად, დამნაშავე იზიარებს ან იზიარებდა თუ არა საცხოვრებელს მსხვერპლთან." კონვენცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ ოჯახში ძალადობა არის ძალადობის ის ფორმა, რომელიც არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებზე და განპირობებულია გენდერული ნიშნით.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებს აქვთ გარკვეული საერთო მახასიათებლები, მნიშვნელოვანი განსხვავებაც შეინიშნება მათი დიზაინის, გადამისამართების მექანიზმების, მდგრადობისა და დამნაშავეთა კატეგორიების მიხედვით, რომლებთან მუშაობასაც ითვალისწინებს პროგრამა.

დამნაშავეთა პროგრამები შეიძლება ფუნქციონირებდეს ციხეებში, პრობაციის სისტემასა და სხვა არასაპატიმრო გარემოში. მათ ახორციელებენ როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. ზოგჯერ, დამნაშავეთა მონაწილეობა პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამებში განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან გადამისამართების სხვა სავალდებულო მექანიზმებით. ზოგ შემთხვევაში კი ისინი პროგრამებში ერთვებიან ნებაყოფლობით, სხვა უწყებების (მაგ: ბავშვთა დაცვის ან ჯანდაცვის სერვისების) რეკომენდაციით, ან თვითმიმართვით. მნიშვნელოვანია, ეს პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა გარემოში, ვინაიდან ისინი განკუთვნილია სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთათვის – კერძოდ, რომლებიც გამოვლენილნი არიან მართლმსაჯულების სისტემის, სამოქალაქო მართლმსაჯულების ან სხვა სუბიექტების (მაგ. ბავშვთა დაცვის სერვისების) მიერ, და რომლებიც არ გამოუვლენია რომელიმე უწყებას და ნებაყოფლობით მიმართავენ დახმარებას.

პროგრამების უმეტესობა განკუთვნილია იმ კაცებისთვის, რომლებმაც ძალადობის აქტი ჩაიდინეს ქალ პარტნიორთა მიმართ, ზოგი პროგრამა კი მორგებულია ძალადობის ჩამდენ პირთა კონკრეტული ჯგუფების საჭიროებებზე (მაგ: მაღალი რისკის ჯგუფის კაცი დამნაშავეები, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენონ თავიანთ პარტნიორებს; ასევე, ქალი

17. ევროპის საბჭო. (2011b), op. cit. (შენიშვნა 3; იხ. გვ. 20).

დამნაშავეები; დამნაშავეები დამოკიდებულების პრობლემით; მამები, რომლებიც ძალადობენ ბავშვის მეორე მშობელზე და სხვა).[18]

დამნაშავეთა პროგრამების ეფექტიანობაზე ჩატარებული კვლევები ფრაგმენტულია, ხოლო შედეგები – არაერთმნიშვნელოვანი.[19] ამ კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები სამეცნიერო დებატების ფარგლებში განიხილება. ბოლო პერიოდში წარმოდგენილია ახალი, პერსპექტიული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამათა ეფექტიანობის გაზომვას კონტექსტური და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე.[20] ამ მიდგომის გამოყენებით დადასტურდა, რომ პროგრამის დასრულების დროისათვის მნიშვნელოვნად მცირდება ძალადობის ყველა ფორმა. დასკვნა ეყრდნობა როგორც პროგრამის მონაწილე კაცების, ისე მათი ყოფილი ან ამჟამინდელი პარტნიორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, ძალადობის ზეგავლენა შემცირდა პროგრამის მონაწილე არაერთი პირის (ყოფილი) პარტნიორისთვისაც, თუმცა ზოგი მათგანი კვლავ განიცდიდა მომხდარის უარყოფით ზემოქმედებას და პროგრამის დასრულების შემდეგაც გრძნობდა შიშს. რაც შეეხება ძალადობის გავლენას ბავშვებზე, შედეგები ნაკლებად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან პროგრამის დასრულებისას ისინი კვლავ განიცდიდნენ ძალადობის შედეგებს.[21] საჭიროა დამატებითი კვლევა, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე, რათა უკეთ გავიაზროთ, თუ რა განაპირობებს დამნაშავეთა პროგრამების ეფექტიანობას. ამავდროულად, არსებული კვლევები გარკვეულ მინიშნებებს იძლევა დამნაშავეთა პროგრამების უსაფრთხო და ეფექტიანი მუშაობის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტებზე, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს მათი შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.[22]

1.1. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო

დამნაშავეთა პროგრამები უნდა იქცეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე საზოგადოების კოორდინირებული რეაგირების განუყოფელ ნაწილად. ეს მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სტრუქტურასთან, როგორიცაა ქალთა მხარდამჭერი სერვისები, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო სერვისები, პრობაციის სერვისები და, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთა დაცვის სააგენტოები.[23] აღნიშნული პროგრამების ფუნქციონირება შესაბამისი სტრუქტურებისგან იზოლირებულად აზიანებს როგორც მათ ეფექტიანობას, ისე ქალთა უსაფრთხოებას. შესაბამისად, არსებითია, დამნაშავეთა პროგრამებს ჰქონდეს კარგად ჩამოყალიბებული ჩარჩო,

კარგი პრაქტიკის მაგალითი

Caledonian System („კალედონიური სისტემა“) შოტლანდიაში არის ყოვლისმომცველი, გრძელვადიანი პროგრამა ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის, რომელსაც სრულად აფინანსებს სახელმწიფო. კომბინირებული მიდგომის საფუძველზე, პროგრამა აერთიანებს მოძალადე კაცებისთვის განკუთვნილ სერვისებს და ქალთა და ბავშვთა მხარდაჭერას. მისი დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია: დამნაშავეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციაზე მიმართულ ღონისძიებებს აფინანსებს შოტლანდიის სათემო მართლმსაჯულების დეპარტამენტი, ხოლო ქალებისა და ბავშვების მხარდამჭერ სერვისებს – შოტლანდიის „ქალთა მიმართ ძალადობის ფონდი“. გარდა ამისა, სახელმწიფო დაფინანსება იძლევა დამნაშავეთა პროგრამების გეოგრაფიული განაწილების საშუალებას და არსებობს გეგმა შოტლანდიაში სერვისების რაოდენობის კიდევ უფრო გასაზრდელად.

Alternative to Violence (AVT) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ნორვეგიის 15 ქალაქში ახორციელებს დამნაშავეთა პროგრამებს. მისი პროგრამები იღებენ სტაბილურ დაფინანსებას, როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

18. მორგებული ინტერვენციების მაგალითებია: პროექტი DRIVE გაერთიანებულ სამეფოში, შემუშავებული მაღალი რისკის დამნაშავეებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი ზიანის მიყენება (https://driveproject.org.uk/); კვლევითი პროგრამა ADVANCE გაერთიანებულ სამეფოში, განკუთვნილი ინტიმურ პარტნიორთა მიმართ ძალადობაში ბრალდებულთათვის, რომლებიც ბოროტად იყენებენ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს (ADVANCE – King's College London (kcl.ac.uk)); პროგრამა Caring Dads, რომელიც განკუთვნილია ინტიმურ პარტნიორთა მიმართ ძალადობაში ბრალდებული მამებისთვის და გამოიყენება საერთაშორისო მასშტაბით (Caring Dads™).
19. Vall, B., López-Martín, X., Grané-Morcillo, J., & Hester, M. (2023). A systematic review of the quality of perpetrator programmes' outcome studies: towards a new model of outcome measurement. Trauma, Violence & Abuse, გვ. 1-15. https://doi.org/10.1177/15248380231203718.
20. Vall, B., Grané-Morcillo, J., Pauncz, A., & Hester, M. (2023). Measuring the Outcome of Perpetrator Programmes through a Contextualised and Victim-Centred Approach: The Impact Project. Social Sciences, 12(11), 613. https://doi.org/10.3390/socsci12110613; Kelly, L. & Westmarland, N. (2015). Domestic Violence Perpetrator Programmes: Steps Towards Change. Project Mirabal Final Report. London Metropolitan University and Durham University. ხელმისაწვდომია: https://hubble-live-assets.s3.amazonaws.com/respect/file_asset/file/28/ProjectMirabalfinalreport.pdf.
21. Vall, B. et al. (2023), op. cit. (შენიშვნა 20).
22. WWP EN (European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence). (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
23. ევროპის საბჭო. (2023a). 4th General Report on GREVIO'S activities. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/4th-general-report-on-gre-vio-s-activities/1680aca199 (იხ. პუნქტი 104).

რომელიც დაეფუძნება მყარ სამართლებრივ ან პოლიტიკურ საფუძვლებს და მოიცავს გადამისამართების მკაფიო მექანიზმებს, უწყებათაშორის თანამშრომლობას, ადეკვატურ და მდგრად დაფინანსებას და ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების მექანიზმებს. ასეთი ყოვლისმომცველი მიდგომის საფუძველზე, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები უფრო ეფექტიანად შეუწყობს ხელს როგორც ძალადობაზე რეაგირებას, ისე მის პრევენციას.

გადამისამართების მრავალმხრივი მექანიზმების არსებობა აუცილებელია დამნაშავეთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობისთვის.[24] ეს უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო გადამისამართებას, ასევე თვითმიმართვას (მათ შორის, სხვადასხვა უწყების რეკომენდაციის საფუძველზე). აღნიშნული პროგრამები უნდა ხორციელდებოდეს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო გარემოში. საბაზისო შეფასების პროცესში GREVIO-მ ხაზი გაუსვა, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებმა არ უნდა ჩაანაცვლოს სისხლისსამართლებრივი დევნა, მსჯავრდება ან სასჯელის დაკისრება და არ უნდა დააზიანოს დაზარალებულთა სამართლიანი წვდომა მართლმსაჯულებაზე.[25]

> **კარგი პრაქტიკის მაგალითი**
>
> გერმანიაში ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების ეროვნული ქსელი (BAG TäHG) ადგენს ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია ქალთა მხარდამჭერ სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს ძირითად ელემენტებს დამნაშავეებთან უსაფრთხო მუშაობისათვის და შეესაბამება სტამბოლის კონვენციის პრინციპებს. ამასთანავე, ეს სტანდარტები დაამტკიცა ოჯახის, ხანდაზმულთა, ქალთა და ახალგაზრდობის საქმეთა ფედერალურმა სამინისტრომ. BAG TäHG პასუხისმგებელია აკრედიტაციის სისტემის დანერგვაზე, რომელიც აფასებს და აკონტროლებს ზემოაღნიშნულ სტანდარტთა დაცვას. ზოგიერთ რეგიონში აკრედიტაციის სისტემა უკავშირდება დაფინანსების შესაძლებლობებს, რაც ნიშნავს, რომ საჯარო დაფინანსებას იღებენ მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრეტულ ხარისხობრივ კრიტერიუმებს.
>
> „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპულმა ქსელმა“ შეიმუშავა „დამნაშავეებთან მუშაობის ევროპული სტანდარტები“, რომლებიც შეიძლება საყრდენ წერტილად გამოიყენებოდეს უსაფრთხო და ეფექტიანი პრაქტიკის მინიმალურ სტანდარტთა დასადგენად ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც არ აქვთ თავიანთი ეროვნული სტანდარტები. გარდა ამისა, WWP EN მუშაობს ევროპული აკრედიტაციის სისტემის შექმნაზე დამნაშავეთა პროგრამებისთვის.

რაც შეეხება გადამისამართების მექანიზმთა ინტეგრირებას სისხლისსამართლებრივ სისტემაში, GREVIO-ს შეფასებებმა გამოკვეთა რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, პორტუგალიის შეფასებაში GREVIO-მ ხაზი გაუსვა, რომ დამნაშავეთა პროგრამებში გადამისამართება უმეტესად იყო სასჯელის აღსრულების შეჩერების ან სისხლისსამართლებრივი საქმის დროებით შეწყვეტის წინაპირობა.[26] ანალოგიურად, ბელგიის შემთხვევაში GREVIO-მ აღნიშნა, რომ დამნაშავეთა პროგრამებში გადამისამართება ხშირად გამოიყენება მსჯავრდების ალტერნატივად და არა შემავსებელ ზომად, რაც კითხვებს აჩენს სისხლისსამართლებრივი რეაგირების შემკავებელ ბუნებასთან მიმართებით.[27] ამ კონტექსტში უნდა გვახსოვდეს, რომ სტამბოლის კონვენციის 45-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ, რომ კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის სხვადასხვა ფორმა ისჯებოდეს „ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი სანქციებით, მათი სიმძიმის გათვალისწინებით.“ ამრიგად, საჭიროა, დეტალურად გაანალიზდეს დამნაშავეთა პროგრამების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოები ევროპის ქვეყნებში, რათა სრულად გამოვლინდეს პროგრამების სისხლისსამართლებრივ სისტემაში ინტეგრირების სირთულეები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. გარდა ამისა, GREVIO-მ აღნიშნა, რომ გადამისამართების მექანიზმთა არსებობის შემთხვევაშიც, დანაშაულის ჩამდენ პირთა რეფერირება პროგრამებში თანმიმდევრულად არ ხორციელდება. ამ შეუსაბამობას განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი: მსჯავრდების დაბალი მაჩვენებელი (მაგ. ავსტრიაში[28]); გადამისამართებაზე პასუხისმგებელ სუბიექტთა

24. Hester, M. & Lilley, S. J. (2014), op. cit. (შენიშვნა 5).
25. ევროპის საბჭო. (2022b), op. cit. (შენიშვნა 7; გვ. 195).
26. ევროპის საბჭო. (2019c). GREVIO Baseline Evaluation Report Portugal. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-reprt-on-portu-gal/168091f16f(იხ. პუნქტი 102).
27. ევროპის საბჭო. (2020b). GREVIO Baseline Evaluation Report Belgium. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-belgium/16809f9a2c (იხ. პუნქტი 91).
28. ევროპის საბჭო. (2017). GREVIO Baseline Evaluation Report Austria. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-austria-1st-eval-uation/1680759619 (იხ. პუნქტი 85).

შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობა (მაგ. საფრანგეთში[29]); ან დამნაშავეთა პროგრამების ნაკლებობა და დაფინანსების შემცირება (მაგ. ხორვატიაში[30]).

დამნაშავეთა პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყნის მასშტაბით, რათა მოიცვას სხვადასხვა რეგიონში – როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში მცხოვრები დამნაშავეები. GREVIO-მ არაერთ სახელმწიფოს მოუწოდა, გაზარდონ ხელმისაწვდომ პროგრამათა რაოდენობა. მათ შორისაა ალბანეთი, დანია, იტალია, მონტენეგრო, პორტუგალია, სერბეთი და თურქეთი. [31]

დამნაშავეთა პროგრამები სათანადოდ უნდა დაფინანსდეს მათი მდგრადი ფუნქციონირებისათვის, ასევე, უსაფრთხოებისა და ეფექტიანი ინტერვენციის სტანდარტთა დასაცავად. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით, მთავრობები იღებენ დამნაშავეთა პროგრამების შექმნისა და მხარდაჭერის ვალდებულებას. „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი“ იძლევა რეკომენდაციას, რომ დამნაშავეთა პროგრამებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი გაიმიჯნოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტისგან. ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთლიანობაში, სექტორის დაფინანსება უნდა გაიზარდოს.[32]

ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების 40%-ის ფუნქციონირებისთვის გამოყოფილია ფიქსირებული და სტაბილური საბიუჯეტო დაფინანსება, რაც იმედისმომცემი შედეგია. თუმცა, პროგრამების უმეტესობა ეფუძნება მოკლევადიან ან პროექტებზე ორიენტირებულ დაფინანსებას. რესპონდენტთა თქმით, პროექტზე დაფუძნებული დაფინანსება მრავალ სირთულეს ქმნის. მათ შორისაა თანამშრომელთა მაღალი გადინება, რაც, საბოლოოდ, იწვევს გამოცდილ პრაქტიკოსთა დაკარგვას და შეიძლება უარყოფითად აისახოს ინტერვენციის ხარისხზე. მართალია, არასაკმარისი დაფინანსება თითქმის ყველა შემთხვევაში სახელდება დამნაშავეთა პროგრამების ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად, ზოგ ქვეყანაში ეს გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემაა. მაგალითად, ხორვატიასთან მიმართებით, GREVIO-მ აღნიშნა, რომ სახელმწიფო მხოლოდ 30%-ით აფინანსებს ფსიქოსოციალური მკურნალობის პროგრამათა მდგრადი განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტს, ლიცენზირებულ სპეციალისტთა რაოდენობამ კი მნიშვნელოვნად იკლო, რამაც, საბოლოოდ, გამოიწვია სასამართლოს განჩინებით გადამისამართებათა შემცირება. ზოგიერთმა ქვეყანამ დამნაშავეთა პროგრამების დანერგვა სცადა დამატებითი რესურსების [33]გამოყოფის გარეშე. ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მონტენეგროში, სერბეთში, ჩრდილოეთ მაკედონიასა[34] და თურქეთში[35] ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები ინტეგრირდა

კარგი პრაქტიკის მაგალითი

არასამთავრობო ორგანიზაცია Centro di Ascolto Uomini Maltrattanti (CAM) იტალიაში, League of Open Men (LOM) ჩეხეთში და Developing Health and Independence (DHI) და Counseling Centre for Men and Boys (ZDB) გაერთიანებულ სამეფოში შედეგების გასაზომად მისდევენ მსხვერპლზე ორიენტირებულ, ყოვლისმომცველ მიდგომას და იყენებენ „შედეგებზე მონიტორინგის ინსტრუმენტთა ნაკრებს“ (Impact Outcome Monitoring Toolkit). ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ინდიკატორზე, როგორიცაა: ქცევის ცვლილება, ქცევის ზეგავლენა, (ყოფილი) პარტნიორის კეთილდღეობა და უსაფრთხოება, კაცების მოტივაცია პროგრამაში მონაწილეობისთვის, კაცების დამოკიდებულებები ძალადობის მიმართ და ბავშვთა კეთილდღეობა. ამ ინდიკატორთა გამოყენებით, მონაცემები გროვდება სხვადასხვა ეტაპზე, როგორც კაცი მონაწილეებისგან, ისე მათი (ყოფილი) პარტნიორებისგან.

შოტლანდიაში „კალედონიური სისტემა“ პროგრამათა განხორციელებისა და მათი შედეგების შესაფასებლად იყენებს მოწინავე ჩარჩოს. ქვეყნის მასშტაბით მონაცემთა შესაგროვებლად, სისტემა მიმართავს სტანდარტიზებულ პროცედურებს. პროფესიონალები გადიან მომზადებას მონაცემთა შეგროვებაზე, ასევე, მათი მუშაობის შეფასების მნიშვნელობაზე, ხოლო პროცესს კოორდინირებას უწევს შეფასების ექსპერტი. გარდა ამისა, კალედონიური სისტემა ითვალისწინებს დაფინანსებას გარე შეფასებებისთვისაც.

29. ევროპის საბჭო. (2022b), op. cit. (შენიშვნა 7; იხ. პუნქტი 203).
30. ევროპის საბჭო. (2023b). GREVIO საბაზისო შეფასება, ხორვატია. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/baseline-evaluation-re-port-on-croatia/1680ac76c9(იხ. პუნქტი 106).
31. ევროპის საბჭო. (2022b), op. cit. (შენიშვნა 7; იხ. პუნქტი 194).
32. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2018). Guidelines to Develop Standards for Programmes Working with Perpetrators of Domestic Violence. WWP EN. ხელმისაწვდომია: www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Guidelines/WWP_EN_Guidelines_for_Standards_v3_2018.pdf.
33. ევროპის საბჭო. (2023a), op. cit. (შენიშვნა 23; იხ. პუნქტი 106).
34. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8).
35. ევროპის საბჭო. (2018). GREVIO Baseline Evaluation Report Turkey. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-baseline-evaluation-report-turkey/16808e5283.

უკვე არსებულ სოციალურ ან ჯანდაცვის სერვისებში, როგორიცაა სოციალური სამსახურის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები, რაც დამატებით ტვირთს ქმნის ამ სამსახურებში მომუშავე პირთათვის, რომლებიც უკვე ჩართულნი არიან სხვა საქმიანობებში. რესურსების ამგვარი დეფიციტის გამო, პროგრამების ფუნქციონირება ხშირად ვერ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს ხარისხთან დაკავშირებით.

დამნაშავეთა პროგრამების მხარდამჭერი ჩარჩოს მნიშვნელოვანი ასპექტია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმთა არსებობა ეროვნულ დონეზე. აუცილებელია გაცნობიერება, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ პროგრამების მიმწოდებელთა ინდივიდუალურ ინიციატივასა და პასუხისმგებლობას. მთავრობას შეუძლია, გადამწყვეტი როლი შეასრულოს პროგრამათა ხარისხის გაუმჯობესებაში, მათი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შექმნით.

დამნაშავეთა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმთა შესაქმნელად, სახელმწიფოებმა სხვადასხვა მეთოდი დანერგეს. შესაბამისმა ინსტიტუტებმა შეიმუშავეს დამნაშავეებთან მუშაობის ეროვნული სტანდარტები – მაგალითად, ჩრდილოეთ მაკედონიაში[36] , მოლდოვის რესპუბლიკასა[37] და გაერთიანებულ სამეფოში.[38] მეორე მხრივ, ეროვნულ ქსელში ორგანიზებულმა დამნაშავეთა პროგრამებმა დაიწყეს სტანდარტების შექმნა გერმანიაში,[39] იტალიაში,[40] სერბეთსა[41] და გაერთიანებულ სამეფოში.[42] ზოგ შემთხვევაში (მაგ. შოტლანდიაში), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემოღებულია პროგრამათა აკრედიტაციის გზით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობას არ აქვს მექანიზმები დამნაშავეთა პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგისთვის. ეროვნული სტანდარტები საძირკველს ქმნის ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობისათვის, თუმცა აუცილებელია მათი შესრულება პროგრამათა პრაქტიკაში განხორციელებისას (მაგ. აკრედიტაციის პროცესის მეშვეობით). საუკეთესო პრაქტიკაა აკრედიტაციის პროცესში სტანდარტთა დაცვის შეფასება და „მიბმა“ დაფინანსებასთან. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა მოქმედებს გერმანიაში, სადაც აკრედიტაციის პროცესს ზედამხედველობს „დამნაშავეთა პროგრამების ეროვნული ქსელი“ (BAG TäHG). ეს პერსპექტიული პრაქტიკაა, რადგან აკრედიტაციის დელეგირება სფეროში მომუშავე ექსპერტებისთვის უზრუნველყოფს, რომ უფრო საფუძვლიანად შეფასდეს პროგრამათა შესაბამისობა დადგენილ თვისებრივ სტანდარტებთან. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ძალიან ცოტა ქვეყანაში მოქმედებს დამნაშავეთა პროგრამების აკრედიტაციის სისტემა.

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია დამნაშავეთა პროგრამების პროცედურებისა და შედეგების შეფასება. GREVIO-მ არაერთხელ გაუსვა ხაზი დამნაშავეთა პროგრამების მეცნიერული კვლევისა და შეფასების მნიშვნელობას. საბაზისო შეფასების ანგარიშთა უმეტესობაში – კერძოდ, ანდორის,[43] ბელგიის [44], ფინეთის [45], საფრანგეთის[46] , იტალიის [47], მალტის [48], ნიდერლანდების [49], პორტუგალიის [50], სერბეთის [51], ესპანეთისა[52] და თურქეთის[53] შესახებ – GREVIO-მ ხაზი გაუსვა დამნაშავეთა პროგრამების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების კვლევისა და შეფასების საჭიროებას, რათა დადგინდეს, რეალურად ემსახურება თუ არა ეს პროგრამები პრევენციულ მიზანს.[54]

36. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8).
37. Moldavian Government. (2014). Regarding the minimum quality standards for services provided within the Assistance and Counselling Centre for Family Aggressors: Annex 2. ხელმისაწვდომია: http://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=64111&lang=ro.
38. Kelly, L. & Westmarland, N. (2023). Standards for Domestic Abuse Perpetrator Interventions. Durham University, London Metropolitan University. ხელმისაწვდომია: http://www.gov.uk/government/publications/standards-for-domestic-abuse-perpetrator-interventions.
39. Bundesministerium für Familie, Senioren, Frauen und Jugend (BMFSFJ). (2021). Arbeit mit Tätern in Fällen häuslicher Gewalt: Standard der Bundesarbeitsgemeinschaft Täterarbeit Häusliche Gewalt e.V. BMFSFJ. ხელმისაწვდომია: http://www.bmfsfj.de/bmfsfj/service/publikationen/arbeit-mit-taetern-in-faellen-haeuslicher-gewalt-80734.
40. Relive Relazioni Libere dalle Violenze. (n.d.). Linee guida nazionali dei programmi di trattamento per uomini autori di violenza contro le donne nelle relazioni affettive. Relive. ხელმისაწვდომია: http://www.associazionerelive.it/joomla/images/LineeGuidaRelivea.pdf.
41. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8).
42. Dines, S. (2022). The Respect Standard: Accreditation framework for safe, effective, and survivor-focused work with perpetrators of domestic abuse in the UK. UK Government. ხელმისაწვდომია: https://hubble-live-assets.s3.amazonaws.com/respect/file_asset/file/1458/Respect_Standard_4th_edition_2022.pdf; Kelly, L. & Westmarland, N. (2023), op. cit. (შენიშვნა 36).
43. ევროპის საბჭო. (2020a). GREVIO Baseline Evaluation Report Andorra. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-andorra/1680a07ebd.
44. ევროპის საბჭო. (2020b), op. cit. (შენიშვნა 27).
45. ევროპის საბჭო. (2019a). GREVIO Baseline Evaluation Report Finland. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-finland/168097129d
46. ევროპის საბჭო. (2019b). GREVIO Baseline Evaluation Report France. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-inf-2019-16/168098c61a.
47. ევროპის საბჭო. (2020c). GREVIO Baseline Evaluation Report Italy. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-italy-first-baseline-evaluation/168099724e.
48. ევროპის საბჭო. (2020d). GREVIO Baseline Evaluation Report Malta. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-inf-2020-17-malta-final-report-web/1680a06bd2.
49. ევროპის საბჭო. (2020e). GREVIO Baseline Evaluation Report Netherlands. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-netherlands/1680997253.
50. ევროპის საბჭო. (2019c), op. cit. (შენიშვნა 26).
51. ევროპის საბჭო. (2020f). GREVIO Baseline Evaluation Report Serbia. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-report-on-serbia/16809987e3.
52. ევროპის საბჭო. (2020g). GREVIO Baseline Evaluation Report Spain. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-s-report-on-spain/1680a08a9f.
53. ევროპის საბჭო. (2018), op. cit. (შენიშვნა 35).
54. იხ. GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშები: ანდორა, პუნქტი 84; ბელგია, პუნქტი 95; ფინეთი, პუნქტი 79; საფრანგეთი, პუნქტები 120 და 122; იტალია, პუნქტი 117; მალტა, პუნქტი 87; ნიდერლანდები, პუნქტი 107; პორტუგალია, პუნქტი 105; სერბეთი, პუნქტი 90; ესპანეთი, პუნქტი 112; და თურქეთი, პუნქტი 129.

დამნაშავეთა პროგრამების წარმატების შეფასება უნდა გასცდეს ძალადობრივი ქცევის შეწყვეტას და გააანალიზოს ნებისმიერი დადებითი შედეგი, რომელიც პროგრამას მოაქვს ოჯახში ძალადობაგანცდილი ქალებისთვის. ეს შეიძლება იყოს დამნაშავე კაცთა პასუხისმგებლობის გაზრდა საკუთარ ძალადობრივ ქცევაზე, დამნაშავეთა ცნობიერების ამაღლება მსხვერპლზე ძალადობის საზიანო გავლენის შესახებ და მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და თავისუფლების გაძლიერება. ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთა საფუძველზე ეფექტიანი შეფასების ჩასატარებლად, გადამწყვეტია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, მსხვერპლთა ჩვენებებიდან მიღებული მონაცემების გათვალისწინება. აუცილებელია უწყვეტი მონიტორინგი პროგრამის მიმდინარეობაზე, მის დაწყებამდე და დასრულებისას შეგროვებული მონაცემების შედარება, ასევე, შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენება. წინამდებარე კვლევის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების უმრავლესობაში (84.0%) შედეგები იზომება, თუმცა მხოლოდ პროგრამის დასასრულს. ეს გამორიცხავს პროგრამის დაწყებამდე და დასრულებისას მოპოვებულ მონაცემთა შედარებას და, შესაბამისად, არ იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას. საინტერესოა, რომ მხოლოდ ერთი გამოკითხული ორგანიზაცია ატარებს შეფასებას პროგრამის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების მხოლოდ 42.85% ითვალისწინებს მსხვერპლთა უკუკავშირს შედეგების შეფასებისას. ვინაიდან დამნაშავეთა პროგრამების საბოლოო მიზანია მსხვერპლთა უსაფრთხოების განმტკიცება, მათი მონაწილეობა გადამწყვეტია იმის შეფასებისას, რამდენად მოხერხდა მიზნების მიღწევა.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის მოქმედი მრავალი პროგრამა აცნობიერებს შეფასების მნიშვნელობას, თუმცა მის განხორციელებაში გამოწვევებს აწყდება. რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სისტემატურ შეფასებებს აფერხებს რესურსების ნაკლებობა: კერძოდ, მონაცემთა შეგროვება-გაანალიზებას ესაჭიროება დრო და შესაბამისი ექსპერტიზა, რაც მრავალი პროგრამისთვის მიუწვდომელია. გარდა ამისა, დამნაშავეთა პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი სირთულეებს აწყდება კონკრეტულად ოჯახში ძალადობის შესაფასებელი შესაბამისი ინსტრუმენტების მოძიებისას (მაგ: არსებული ინსტრუმენტები არ არის სტანდარტიზებული და/ან ორიენტირებულია განსხვავებულ შედეგებზე), ასევე, მათი განხორციელების ადეკვატური გზების განსაზღვრისას.

რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა უსაფრთხო და ეფექტიანი პროგრამების ჩარჩოსათვის

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება სათანადო საკანონმდებლო, პოლიტიკური და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო. ასეთი პროგრამები შეიძლება ინტეგრირდეს ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოში, რაც აღიარებს მათ როლს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში. სტამბოლის კონვენციის მხარეებმა უნდა შექმნან დამნაშავეთა პროგრამებში გადამისამართების სხვადასხვა მექანიზმი, რომლებიც გაითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით მონაწილეობას დამნაშავეთა სხვადასხვა ჯგუფის მოსაცავად. გადამისამართება (რეფერირება) უნდა განიხილებოდეს არა სისხლისსამართლებრივი დევნის, მსჯავრდებისა და სასჯელის ალტერნატივად, არამედ შემავსებელ ღონისძიებად. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეფერირებას ფართოდ იყენებდეს სხვადასხვა დაინტერესებული სუბიექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რისთვისაც აუცილებელია დამნაშავეთა პროგრამების სათანადო გეოგრაფიული გავრცელება. მთავრობებმა ასევე უნდა იზრუნონ დამნაშავეთა პროგრამების სათანადო და მიზნობრივ დაფინანსებაზე. მათთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფით, არ უნდა შემცირდეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი შვილების მხარდასაჭერად გამოყოფილი ფინანსური და ადამიანური რესურსები. თავიდან უნდა აიცილონ დამნაშავეთა პროგრამების ინტეგრირება უკვე არსებულ სოციალურ ან ჯანდაცვის სამსახურებში, დამატებითი დაფინანსების გამოყოფისა და თანამშრომელთა დატვირთულობის შესაბამისად მორგების გარეშე, რადგან ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს უსაფრთხოებასა და ინტერვენციის ეფექტიანობაზე.

სტამბოლის კონვენციის მხარეებმა ასევე უნდა შეიმუშაონ ჩარჩო ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება გაკეთდეს ეროვნული სტანდარტების დადგენით, ან ეროვნული სასწავლო პროგრამის შემუშავებით ძალადობის ჩამდენ პირებთან ინტერვენციისათვის. ეროვნული სტანდარტები ან სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) უნდა დაინერგოს აკრედიტაციის სისტემასთან ერთად. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებმა უნდა შეაფასონ ინტერვენციის პროცესი და მისი შედეგები. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება შედეგების ფართო სპექტრზე და ისეთი მონაცემების შეგროვება, რომლებიც შესაძლებელს გახდის, ერთმანეთს შევადაროთ პროგრამის დაწყებამდე და დასრულებისას არსებული მდგომარეობა (ე. ი. განსხვავებები ინტერვენციამდე და მის შემდგომ არსებულ დაკვირვებებში), აგრეთვე, მსხვერპლისა და ძალადობის ჩამდენი პირის მოსაზრებები. გარდა ამისა, შეფასების შედეგები რეგულარულად უნდა გამოიყენებოდეს პროგრამათა გასაუმჯობესებელი კონკრეტული ქმედებების დასაგეგმად.

1.2. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების მიმწოდებლები

პროგრამების მიმწოდებლები, მათი სამოქმედო გარემო და ინტერვენციის განმახორციელებელი პერსონალის უნარები იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორისაა, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამათა ხარისხსა და შედეგებს.

დამნაშავეთა პროგრამები შეიძლება ხორციელდებოდეს სახელმწიფო უწყებების ან არასამთავრობო ორგანიზაციების ადმინისტრირებით და ფუნქციონირებდეს მართლმსაჯულების, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სისტემაში, ან აკადემიაში. ზოგიერთ ქვეყანაში ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციებიც ახორციელებენ პროგრამებს ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის. მათ შორის გამოირჩევა ბულგარეთი, იტალია, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო [55], ჩრდილოეთ მაკედონია[56] და მოლდოვის რესპუბლიკა. ასეთ შემთხვევებში, დამნაშავეთა პროგრამები უნდა განხორციელდეს მსხვერპლისთვის განკუთვნილი სერვისებისგან დამოუკიდებლად. დამნაშავეთა პროგრამები, მათ შორის, რომლებსაც აწვდიან მსხვერპლთა მხარდამჭერი სპეციალიზებული სამსახურები, არ არის მიმართული ოჯახურ შერიგებასა ან მედიაციაზე.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს, რომლებიც ინტეგრირებულია ჯანდაცვის სერვისებში, შესაძლოა სირთულეები შეექმნათ სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით. თურქეთის საბაზისო შეფასების ანგარიშში GREVIO-მ შეშფოთება გამოთქვა

55. Jovanović, S. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 9).
56. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8)

იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფს ჯანდაცვის ცენტრები შესაბამის გარემოს დამნაშავეებთან მუშაობისათვის და არიან თუ არა ჯანდაცვის პროფესიონალები სათანადოდ აღჭურვილნი მსგავსი ინტერვენციული პროგრამების განსახორციელებლად.[57] GREVIO-ს დააზუსტა, რომ ეს შეშფოთება უკავშირდება ფაქტს, რომ ხშირად, ჯანდაცვის დაწესებულებები დამნაშავეთა პროგრამებს აიგივებენ ფსიქოლოგიური აშლილობის ან ადიქციის სამედიცინო მკურნალობასთან. ბოსნია და ჰერცეგოვინასა და მონტენეგროში დამნაშავეთა პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრებში მოქმედი პროგრამები უფრო მეტად ეფუძნება კლინიკურ მიდგომას და არა ისეთ მოდელს, რომელიც ოჯახში ძალადობის ძირეულ მიზეზებს უკავშირებს გენდერულ უთანასწორობასა და ძალაუფლების გამოყენების სურვილს.[58] ჯანდაცვის ცენტრებში მოქმედმა პროგრამებმა შესაძლოა გააძლიეროს წარმოდგენა, რომ ოჯახში ძალადობა, ძირითადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაა, რაც, სავარაუდოდ, შეამცირებს დამნაშავის პასუხისმგებლობას. მსგავსად, ფსიქიკური ჯანმრთელობის გარემოში არსებული პროგრამები შეიძლება დამატებით ბარიერებს ქმნიდეს თვითმიმართვისათვის, ვინაიდან დამნაშავეები ხშირად ცდილობენ, თავიდან აიცილონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული სოციალური სტიგმა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს სირთულეები არ ახასიათებს ჯანდაცვის სამსახურების ბაზაზე მოქმედ ყველა პროგრამას. მაგალითად, იტალიაში ჯანდაცვის სექტორში არსებული დამნაშავეთა პროგრამები იცავს ქვეყნის ეროვნული ქსელის, Relive-ის (Relazioni Libere dalle Violenze)“ [59] სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება სტამბოლის კონვენციის პრინციპებს.[60]

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა არაერთი პროგრამა ცალკე სპეციალიზებულ პროგრამად ჩამოყალიბდა, GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშებმა, ასევე, ზოგიერთმა კვლევამ, გამოავლინა უარყოფითი ტენდენცია, რომელიც გულისხმობს ამ ზომების ინტეგრირებას არსებულ სერვისებში, დამატებითი რესურსებისა და მომზადების გარეშე, როგორც ეს აღიწერა წინა თავში. ასეთმა მიდგომამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს დამნაშავეთა პროგრამების უსაფრთხოებაზეც და შედეგებზეც. შესაძლოა, პროფესიონალებს არ ჰქონდეთ საკმარისი დრო დამნაშავეებთან მუშაობაში სათანადო ჩართულობისთვის, რადგან, პარალელურად, ძირითადი საქმიანობაც მოეთხოვებათ. მეტიც, ზოგჯერ პროფესიონალებისთვის შეიძლება გამოწვევად იქცეს გენდერულად სენსიტიური პერსპექტივის გამოყენება ძალადობის ჩამდენ პირებთან, რადგან სხვა კლიენტებთან მუშაობისას ისინი კლინიკურ მიდგომას მიმართავენ. დამატებით, ზოგ ქვეყანაში, სადაც დამნაშავეთა პროგრამები ინტეგრირებულია სოციალურ სერვისებში, პროფესიონალებს შეიძლება ერთდროულად ურთიერთსაპირისპირო როლები ჰქონდეთ: მაგალითად, მოეთხოვებოდეთ აზრის წარდგენა ბავშვზე მეურვეობის საქმეებში და, ამავდროულად, მოძალადე მამებთან მუშაობაც დამნაშავეთა პროგრამების ფარგლებში, ან ერთდროულად მსხვერპლსა და ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობა. ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვან რისკებს უქმნის როგორც მსხვერპლის, ისე მისი შვილების უსაფრთხოებას.

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დამნაშავეთა პროგრამებს ესაჭიროება კვალიფიციური და მომზადებული ფასილიტატორები.[61] ევროპის ქვეყნებში, სადაც ეს სფერო რეგულირებულია, განსხვავებული მოთხოვნები მოქმედებს იმ პროფესიონალთა ფორმალურ განათლებასთან მიმართებით, რომლებსაც აქვთ დამნაშავეთა პროგრამებში მუშაობის უფლებამოსილება. როგორც წესი, სავალდებულოა უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიის, სოციალური სამუშაოს ან სხვა მსგავს სფეროებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ფორმალურ განათლებას უნდა განამტკიცებდეს სპეციალური ტრენინგი ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და დამნაშავეთა პროგრამების წარმართვაზე. „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპულმა ქსელმა“ დაადგინა ფასილიტატორთათვის საჭირო კომპეტენციები, რომლებიც აერთიანებს მათ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. [62] გარდა ამისა, „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტები“ რეკომენდაციას იძლევა, რომ სპეციალისტებმა ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა დაიწყონ არანაკლებ 84-საათიანი სპეციალიზებული ტრენინგის შემდეგ [63], რომელიც მოიცავს მრავალ თემას. მათ შორისაა: გენდერული ძალადობა და ოჯახში ძალადობა; რისკების შეფასება და მართვა; პარტნიორის მხარდამჭერ სერვისებთან თანამშრომლობა[64]; ცვლილების პროცესი და დამნაშავეთა მოტივაცია ქცევისა და დამოკიდებულებების შესაცვლელად;

57. ევროპის საბჭო. (2018), op. cit. (შენიშვნა 35; იხ. პუნქტი 124)
58. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8).
59. Relive Relazioni Libere dalle Violenze. (n.d.), op. cit. (შენიშვნა 40).
60. ევროპის საბჭო. (2020c), op. cit. (შენიშვნა 47; იხ. პუნქტი 111).
61. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2; იხ. პუნქტი 104).
62. WWP EN. (2018), op. cit. (შენიშვნა 32).
63. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
64. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. სექცია 1.3: „მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ქალთა და ბავშვთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა.“

ჯგუფური დინამიკის მართვა; დამტკიცებული სასწავლო პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, პროგრამები უნდა ფუნქციონირებდეს კულტურულად მგრძნობიარე გარემოში, რაც უზრუნველყოფს მათ ფართო ხელმისაწვდომობას. [65]

ფასილიტატორებს, რომლებიც, სპეციალიზებული წინასწარი ტრენინგის მეშვეობით, აღჭურვილნი არიან დამნაშავეთა პროგრამების წარმართვისთვის აუცილებელი უნარებით, უწყვეტი მხარდაჭერა სჭირდებათ საქმიანობის ხარისხის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად. „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტები“ ითვალისწინებს წელიწადში, სულ მცირე, ექვსსაათიან ზედამხედველობას, არანაკლებ 16-საათიან ტრენინგთან ერთად. [66]

რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების განხორციელებისათვის

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების მიმწოდებელი ორგანიზაციები, მათი სამოქმედო გარემო და მომსახურე პერსონალის კომპეტენციები იმ გადამწყვეტ ფაქტორებს შორისაა, რომლებიც გავლენას ახდენს პროგრამების შედეგებზე. პროგრამები უნდა დაინერგოს ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს პასუხისმგებლობის აღებას ძალადობის ჩამდენი პირის მიერ და მაქსიმალურად ზრდის დასწრების ალბათობას.

მიმწოდებლის არჩევისას მნიშვნელოვანია, დამნაშავეთა პროგრამები ჩამოყალიბდეს ცალკეული სპეციალიზებული პროგრამების სახით, რომელთაც ექნებათ სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსები. არსებითია, რომ ძალადობის ჩამდენ პირებთან მომუშავე პროფესიონალები არ იყვნენ ჩართულნი სხვა ისეთ საქმიანობებში, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს აღნიშნულ პირებთან მუშაობაზე, ან დაარღვიოს მსხვერპლის საჭიროებათა პრიორიტეტულობის პრინციპი (მაგ: სპეციალისტი, რომელიც საოჯახო საქმეთა განმხილველ სასამართლოს კონსულტაციას უწევს ბავშვზე მეურვეობის საქმეებში, ან არის დამნაშავის ან მსხვერპლის პირადი ფსიქოლოგი). პროგრამები უნდა განცალკევდეს მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახურებისგან (მაგ: როგორიცაა თავშესაფრები, საკონსულტაციო ცენტრები), ხოლო დამნაშავეებთან მომუშავე პროფესიონალები იმავდროულად არ უნდა მუშაობდნენ მსხვერპლთანაც.

პროგრამების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ პერსონალს ჰქონდეს მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია. ეს მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. თანამშრომლებს ასევე მოეთხოვებათ სპეციალური ტრენინგის გავლა დამნაშავეებთან მუშაობის დაწყებამდე, ფორმალური ან არაფორმალური განათლების მიუხედავად. გარდა ამისა, სამსახურებმა სპეციალისტებს უწყვეტად უნდა დაუჭირონ მხარი პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც მოიცავს რეგულარულ ზედამხედველობას საქმიანობაზე და შესაბამის შიდა ტრენინგებს.

1.3. მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ქალთა და ბავშვთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა

მსხვერპლის უსაფრთხოება გადამწყვეტია დამნაშავეთა ნებისმიერ პროგრამაში. სტამბოლის კონვენციის თანახმად, პროგრამებმა პრიორიტეტულად უნდა განიხილონ მსხვერპლის მხარდაჭერა, უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები. ამასთან, პროგრამა უნდა შეიქმნას და განხორციელდეს მსხვერპლთა მხარდამჭერ სპეციალიზებულ სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით.[67] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში კიდევ უფრო დეტალურად განმარტავს ამ საკითხს და მიუთითებს შესაძლო რისკებზე, რომლებიც შეიძლება შექმნან თავად სამსახურებმა, მაგალითად, მსხვერპლისთვის ცრუ უსაფრთხოების განცდის შექმნით, როდესაც ძალადობის ჩამდენი პირი პროგრამაში ერთვება.[68] გარდა ამისა, ევროპის საბჭოს დოკუმენტი სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის შესახებ დამატებით რეკომენდაციებს გვთავაზობს მსხვერპლ ქალთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. [69] ეს გულისხმობს ყველა ინტერვენციის კონცენტრირებას მსხვერპლის

65. ევროპის საბჭო. (2011b), op. cit. (შენიშვნა 3).
66. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
67. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2).
68. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2).
69. Hester, M. & Lilley, S. J. (2014), op. cit. (შენიშვნა 5).

უსაფრთხოებაზე, პარტნიორთან კომუნიკაციას პროგრამაზე ინფორმაციის მისაწოდებლად და რისკის სისტემატურ შეფასებასა და მართვას.

პარტნიორთან კომუნიკაცია

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების კონტექსტში, ტერმინი „პარტნიორთან კომუნიკაცია“, ჩვეულებრივ, გულისხმობს პროფესიონალთა დაკავშირებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან, მისი უსაფრთხოების შესაფასებლად, პროგრამაზე ინფორმაციის მისაწოდებლად და მხარდაჭერის გასაწევად. პარტნიორთან კომუნიკაციას შეიძლება ამყარებდნენ მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახურები (მაგ: ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, თავშესაფრები, ქალთა საკონსულტაციო ცენტრები), რომლებიც თანამშრომლობენ დამნაშავეთა პროგრამებთან, ან სპეციალიზებული პროფესიონალები და ორგანიზაციული ერთეულები, დამნაშავეთა პროგრამების ფარგლებში.

ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მსხვერპლის უსაფრთხოებას. ამავდროულად, პრაქტიკაში, მსხვერპლის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მუშაობას ორი ძირითადი ელემენტი აქვს: 1) პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურის არსებობა, დამნაშავეთა პროგრამებისა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების მკაფიოდ გაწერა და ინფორმაციის გაზიარება ამ პროგრამებსა და სამსახურს შორის, მათ შორის, მსხვერპლთა გადამისამართებაზე მხარდამჭერ სამსახურებში; 2) რისკის სისტემატური შეფასება და მართვა, სტამბოლის კონვენციის 51-ე მუხლის შესაბამისად.

კარგი პრაქტიკის მაგალითი

შოტლანდიაში „კალედონიური სისტემა“ უნიკალური დიზაინით ხასიათდება, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობის ჩამდენ კაცთა პროგრამების, ქალ მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისებისა და ბავშვთა მხარდამჭერი სერვისების ინტეგრირებას. დამნაშავეთა პროგრამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა და ბავშვთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

გერმანიაში, იტალიაში, სერბეთსა და გაერთიანებულ სამეფოში, მიმწოდებელთა ქსელების მიერ შემუშავებული მოქმედი სტანდარტების მიხედვით, პროგრამებს არ შეუძლიათ ფუნქციონირება პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურთან კავშირის გარეშე. დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის თანამშრომლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული, საერთო უფლება-მოვალეობებისა და როლების, ასევე, ინფორმაციის გაცვლის წესების მითითებით. გარდა ამისა, რისკის შეფასება და მართვა პროგრამების განუყოფელი ნაწილია და უწყვეტად მიმდინარეობს თითოეული კლიენტის შემთხვევაში, მათ შორის, დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის თანამშრომლობით.

პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურის როლია: (ყოფილი) პარტნიორი მსხვერპლის ინფორმირება პროგრამაში მონაწილეობაზე; რისკის სათანადოდ შეფასება და მართვა; და მსხვერპლის მხარდაჭერა, რაც შეიძლება მოიცავდეს შესაბამის მხარდამჭერ სამსახურში გადამისამართებას. პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისი უნდა შესთავაზონ ყველა იმ (ყოფილ) პარტნიორ ქალს, რომელიც ძალადობის რისკის ქვეშ არის.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგები ფასეულ ინფორმაციას იძლევა იმაზე, თუ რამდენად ნერგავენ პროგრამის მიმწოდებლები მსხვერპლის უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ პრაქტიკებს. შედეგების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამათა უმრავლესობა მიუთითებს გარკვეული სახის მხარდაჭერის გაწევაზე მსხვერპლისთვის, მაინც აღინიშნება კრიტიკული ხარვეზები მსხვერპლის უსაფრთხოების მიზნით განხორციელებულ ძირითად ქმედებებში.

ძირითადი ხარვეზები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

- დამნაშავეთა ბევრი პროგრამა არ ითვალისწინებს რეგულარული კონტაქტის ინიცირებას და/ან დამყარებას მსხვერპლთან. პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს შესთავაზონ პარტნიორთან კომუნიკაცია. „დამნაშავეთა პროგრამების

ევროპული სტანდარტებისა[70]“ და Pauncz-ის[71] თანახმად, ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მსხვერპლთან უნდა იყოს ნებაყოფლობითი და უწყვეტი სახის, ინდივიდუალური რისკის დინამიკური ბუნების გათვალისწინებით. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ დამნაშავეთა პროგრამების 70.4% ქალ მსხვერპლს უკავშირდება ინტერვენციის საწყის ეტაპზე, ხოლო თითქმის 30% საერთოდ არ უკავშირდება. გარდა ამისა, დაახლოებით ნახევარი ინარჩუნებს კონტაქტს მსხვერპლთან ინტერვენციის პროცესში (48.1%) ან პროგრამის დასრულებისას (51.9%). ეს ნიშნავს, რომ არაერთი პროგრამა, პირველადი საუბრის შემდეგ, აღარ აგრძელებს კონტაქტს მსხვერპლთან, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მის უსაფრთხოებაზე, ასევე, პროგრამის შესაძლებლობაზე, უწყვეტად შეაფასოს და მართოს რისკი. მისასალმებელია, რომ პროგრამების ორი მესამედი (63.0%) უკავშირდება მსხვერპლს, თუ ძალადობის ჩამდენი პირი წყვეტს პროგრამაში მონაწილეობას, თუმცა მონაცემები მიუთითებს, რომ პროგრამათა ერთი მესამედი არ მიჰყვება ამ პრაქტიკას.

- მსხვერპლთან კონტაქტისას, პარტნიორთან კომუნიკაციის ზოგიერთი სამსახური მას არ აწვდის შესაბამის ინფორმაციას. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ უმრავლესობა მსხვერპლს აწვდის ინფორმაციას დამნაშავეთა პროგრამასა და მის შინაარსზე (72.0%), ასევე, პროგრამის შეზღუდვებზე (72.0%). ეს ნიშნავს, რომ შესწავლილ პროგრამათა (ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის), დაახლოებით, 30% ამ საკითხებს არ ითვალისწინებს პარტნიორთან კონტაქტისას, რითაც იკარგება სერვისით წარმოქმნილი პოტენციური რისკების შემცირების შესაძლებლობა, როგორიცაა ცრუ უსაფრთხოების განცდა მსხვერპლთა შორის, ან პროგრამის შესაძლო მანიპულაციური გამოყენება დამნაშავის მიერ.
- თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის არ აქვს სტრუქტურული და რეგულარული სახე. დამნაშავეთა პროგრამების მხოლოდ 5.0%-მა განაცხადა, რომ მართავენ რეგულარულ შეხვედრებს იმ ორგანიზაციებსა ან სუბიექტებთან, რომლებიც აწვდიან პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისს, თანამშრომლობის შესახებ პროტოკოლები კი მხოლოდ 35.0%-ში მოქმედებს.
- დამნაშავეთა პროგრამები სისტემატურად არ აფასებენ და მართავენ რისკებს, არც პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებთან თანამშრომლობენ. რესპონდენტთა ორი მესამედი მიუთითებს, რომ იყენებენ რისკების შესაფასებელ სტანდარტიზებულ პროცედურებს (67.9%) და კონკრეტულ ინსტრუმენტებს (68.0%). ეს ნიშნავს, რომ შესწავლილ პროგრამათა მესამედი არ მიმართავს ამ მიდგომას. გარდა ამისა, დამნაშავეთა პროგრამების 25% არ აგროვებს ინფორმაციას მსხვერპლისგან რისკის შესაფასებლად და მხოლოდ 28.6% თანამშრომლობს პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებთან, რათა თითოეული შემთხვევისთვის შეაფასოს რისკები. ვინაიდან ოჯახში ძალადობის სფეროში მუშაობა გულისხმობს სერიოზული ზიანისა ან ლეტალური შედეგის მუდმივი და დინამიკური რისკების მართვას, აუცილებელია, ყველა ინტერვენცია, დამნაშავეთა პროგრამების ჩათვლით, ეფუძნებოდეს მტკიცებულებებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დამყარებულ პროცედურებსა თუ ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, კვლევები მიუთითებს, რომ მსხვერპლის მიერ საკუთარი უსაფრთხოების აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რისკის სწორად შეფასებაზე, რაც ასევე გასათვალისწინებელია. [72]

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეთა პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას ბავშვთა უსაფრთხოების შესახებ (64.3%), გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამათა, დაახლოებით, მესამედი ასეთ საქმიანობაში არ ერთვება. ინტერვიუებმა წარმოაჩინა სირთულეები, რომლებსაც პროგრამები ხშირად აწყდებიან ბავშვთა უსაფრთხოებაში აქტიური წვლილის შეტანისას. მათ შორისაა გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ბავშვთა დაცვის სააგენტოებთან თანამშრომლობას, ასევე, დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას ბავშვებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში. ამას გარდა, ზოგ შემთხვევაში ვხვდებით იმ ცოდნისა და კომპეტენციების ნაკლებობასაც, რომლებიც საჭიროა ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად, დამნაშავეებთან მუშაობის კონტექსტში.

გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგები მიუთითებს, რომ საჭიროა დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება და შესაძლებლობების განვითარება,

70. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
71. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (n.d.). Who should provide victim support services?: A review of documents and working papers on collaboration between perpetrator programmes and women's support. WWP EN. ხელმისაწვდომია: http://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Expert_Papers/FINAL_WWP_EN_Paper_on_Collaboration_Between_DVPP_and_WSS.pdf
72. McGinn, T., Taylor, B. B., Taylor, M., & McColgan, M. (2021). A Qualitative Study of the Perspectives of Domestic Violence Survivors on Behavior Change Programs with Perpetrators. Journal of Interpersonal Violence, 36(17–18), 9364–9390. https://doi.org/10.1177/0886260519855663

განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადეკვატური კომუნიკაცია პარტნიორთან, თანამშრომლობა დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის და რისკის შეფასება და მართვა. დამნაშავეთა ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში, აღინიშნა ნდობის ნაკლებობა პროგრამებსა და ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს შორის, რაც ხელს უშლის ეფექტიან თანამშრომლობას. დამნაშავეთა პროგრამებსა და მსხვერპლის მხარდამჭერ სამსახურებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის დამაბრკოლებელი დამატებითი გამოწვევები გამოიკვეთა GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშებშიც, რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.[73]

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგები თანხვდება GREVIO-ს მიერ იდენტიფიცირებულ ძირითად გამოწვევებს. კერძოდ, ხარვეზები მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის უზრუნველყოფასა და სპეციალიზებულ მხარდამჭერ სამსახურებთან თანამშრომლობაში აღნიშნულია GREVIO-ს მიერ დღემდე გამოქვეყნებულ თითქმის ყველა საბაზისო შეფასების ანგარიშში. მსგავსად, დასავლეთ ბალკანეთისა[74] და აღმოსავლეთ პარტნიორობის[75] ქვეყნებში დამნაშავეთა პროგრამების შესწავლის სიღრმისეულმა პროცესმაც გამოავლინა ასეთი ხარვეზები.

რეკომენდაციები მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვაზე, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების მეშვეობით

დამნაშავეთა პროგრამების ძირითადი მიზანია მსხვერპლის, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვა. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული პროგრამების თითოეული ინტერვენცია და ქმედება. დამნაშავეებთან მუშაობის კონტექსტში, მსხვერპლთა დაცვას ხელს უწყობს რამდენიმე ელემენტი:

უპირველეს ყოვლისა, პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს პარტნიორთან კომუნიკაციას. იდეალურ შემთხვევაში, ასეთი კომუნიკაცია ხორციელდება მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურთან თანამშრომლობით, რომელიც მსხვერპლს უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის სერვისებზე წვდომით. თუ ეს შეუძლებელია, თავად დამნაშავეთა პროგრამებში უნდა შეიქმნას პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისი. როდესაც პროგრამას ახორციელებს მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებული სამსახური, მასვე შეუძლია, უზრუნველყოს პარტნიორთან კომუნიკაცია. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, თანამშრომლობა და ინფორმაციის გაზიარება მკაფიოდ განისაზღვროს შიდა პროცედურების საფუძველზე.

დამნაშავეთა პროგრამები უწყვეტად უნდა აფასებდნენ და მართავდნენ რისკებს, პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისის მიმწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამისათვის, მათ უნდა გააერთიანონ სტატიკური და დინამიკური ფაქტორები, ასევე, ყურადღება გაამახვილონ დამნაშავის რისკფაქტორებზე, მსხვერპლის მოწყვლადობასა და სერვისით წარმოქმნილ რისკებზე. რისკის შეფასება და მართვა უნდა ეყრდნობოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებსა და პროცედურებს.

თანამშრომლობა დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის უნდა ასახავდეს მკაფიო წარმოდგენებს ინფორმაციის გაზიარების ჩარჩოს შესახებ და მოიცავდეს რეგულარულ შეხვედრებს, რომელთა სიხშირეც შეიძლება გაიზარდოს რისკის დონის მიხედვით. გარდა ამისა, ნათლად უნდა განისაზღვროს მსხვერპლთან კომუნიკაციის პრინციპები, როგორიცაა მსხვერპლის ჩართულობის ნებაყოფლობითი ბუნება და პროგრამაზე გაცემული ინფორმაციის ტიპი (მაგ: მსხვერპლის იმედებისა და შიშების გათვალისწინება და მისი ინფორმირება პროგრამის შინაარსსა და შეზღუდვებზე, ასევე, პროგრამის მანიპულაციური გამოყენების შესაძლო რისკებზე).

73. ევროპის საბჭო. (2020g), op. cit. (შენიშვნა 52; იხ. პუნქტები 111 და 112).
74. ევროპის საბჭო. (2022b), op. cit. (შენიშვნა 7).
75. Jovanović, S. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 9).

1.4. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შემუშავება

მიდგომა

სტამბოლის კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამებმა უნდა წაახალისოს დამნაშავეები საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ასაღებად და ქალთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების/რწმენების შესაცვლელად.[76] აღნიშნული მოითხოვს ძალადობის ცნების გააზრებას ფართო თეორიული ჩარჩოების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად, ეკოლოგიური მოდელი, რომელიც დამნაშავეებთან მუშაობის პროცესში ითვალისწინებს საზოგადოებრივ, ინსტიტუციურ, სათემო და ინდივიდუალურ ფაქტორებს.[77] დამნაშავეთა პროგრამები, პირველ რიგში, ძალადობას უპირისპირდება ინდივიდუალურ დონეზე, რაც გულისხმობს უშუალოდ დამნაშავესთან მუშაობას, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანია, ეს პროგრამები ითვალისწინებდეს ყველა დონეზე არსებულ კომპლექსურ, განმაპირობებელ ფაქტორებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებთან მუშაობა ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და რწმენებზე, არსებითია, ამ ადამიანებმა გააცნობიერონ გენდერული უთანასწორობები და ძალთა დისბალანსი. ეს ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია, დამნაშავეთა პროგრამა იყოს გენდერულად მგრძნობიარე. ამასთან, პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობას საზიანო სოციალური ნორმების ჩამოშლით, სტამბოლის კონვენციის მე-6 და მე-12 მუხლების შესაბამისად.

ევროპაში ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა მრავალი პროგრამა იყენებს გენდერულად სენსიტიურ მიდგომას, თუმცა ეს საკითხი მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება არაერთ ქვეყანაში. GREVIO-მ შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამათა შემუშავება-განხორციელების პროცესი არ ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას. ნიდერლანდებთან მიმართებით, GREVIO-მ განაცხადა, რომ პროგრამების უმრავლესობა იყენებს გენდერულად ნეიტრალურ მიდგომას ოჯახში ძალადობის გასააზრებლად.[78] გენდერულად მგრძნობიარე ინტერვენციათა განხორციელების სირთულეები ასევე გამოვლინდა დასავლეთ ბალკანეთისა[79] და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების[80] რამდენიმე პროგრამაში. ევროპაში, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების თანამშრომელთა გამოკითხვისა და ინტერვიუების საფუძველზე, გამოვლინდა, რომ პროგრამების მხოლოდ 64% მიიჩნევს საკუთარ მიდგომას გენდერულად მგრძნობიარედ.

ასეთმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დამნაშავეები ანგარიშვალდებულნი იქნებიან თავიანთი ქცევისათვის და სრულად აგებენ პასუხს საკუთარ ძალადობრივ ქმედებებზე. ამავდროულად, პროგრამა პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს დამნაშავეს და აყალიბებდეს პროფესიულ ურთიერთობას, რათა გაზარდოს დადებითი შედეგის ალბათობა. არსებობს მზარდი მტკიცებულება, რომ მოტივაციური ინტერვიუს სტრატეგიებს დადებითი გავლენა აქვს დამნაშავეთა პროგრამების შედეგებზე.[81] კვლევები ადასტურებს, რომ მოტივაციური ინტერვიუს (მიდგომა, რომელიც განამტკიცებს დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლის პერსონალურ მოტივაციას) ინტეგრირება პროგრამაში ზრდის მის ეფექტიანობას და ამცირებს მონაწილეობის შეწყვეტის შემთხვევებს.

მსგავსად, პროგრამები პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს სერვისების ფართო ხელმისაწვდომობას. აღნიშნული მიზნით, პროგრამებში უნდა დაინერგოს კულტურულად მგრძნობიარე მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მრავალფეროვან კულტურულ და სოციალურ კონტექსტებს. ამ კუთხით, სტამბოლის კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ დამნაშავეთა პროგრამებს უნდა ახორციელებდნენ კვალიფიციური და სათანადოდ მომზადებული ფასილიტატორები, „საჭირო კულტურული და ენობრივი უნარებით, რომლებიც მისცემთ პროგრამებში მონაწილე კაცთა მრავალფეროვან ჯგუფებთან მუშაობის საშუალებას.“[82]

76. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2; იხ. პუნქტი 104).
77. Hester, M. & Lilley, S. J. (2014), op. cit. (შენიშვნა 5).
78. ევროპის საბჭო. (2020), op. cit. (შენიშვნა 53; პუნქტი 106).
79. Jovanović, S. & Vall, B. (2022), op. cit. (შენიშვნა 8).
80. Jovanović, S. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 9).
81. Cunha, O., Catarina, T., Almeida, Abrunhosa, R., & Caridade, S. (2023). Effectiveness of the Motivational Interviewing Techniques with Perpetrators of Intimate Partner Violence: A Non-Randomized Clinical Trial. Journal of Aggression, Maltreatment & Trauma, 1–20. https://doi.org/10.1080/10926771.2023.2189043; Pinto e Silva, T., Cunha, O., & Caridade, S. (2023). Motivational interview techniques and the effectiveness of intervention programs with perpetrators of intimate partner violence: A systematic review. Trauma, Violence, & Abuse, 24(4), 2691–2710. https://doi.org/10.1177/15248380221111472; Romero Martínez, Ä., Lila, M., Gracia, E., & Moya Albiol, L. (2019). Improving empathy with motivational strategies in batterer intervention programmes: Results of a randomized controlled trial. British Journal of Clinical Psychology, 58(2), 125–139. https://doi.org/10.1111/bjc.12204
82. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2; იხ. პუნქტი 104).

შინაარსი

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შინაარსი განსხვავდება ევროპის ქვეყნების მიხედვით, თუმცა არსებობს გარკვეული თემები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია კურიკულუმში, ძალადობაზე, როგორც გენდერულ ფენომენზე ეფექტიანი რეაგირებისათვის. დამნაშავეთა პროგრამები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმაზე, რომლებსაც შესაძლოა იყენებდნენ დამნაშავეები, იძულებითი, მანიპულაციური და ძალადობრივი ქცევის სრული სპექტრის ჩათვლით. ეს მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, არამედ იძულებით ქცევასა და ფსიქოლოგიურ ძალადობასაც, მათ შორის, ჩადენილს ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით.[83] არანაკლებ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ დამნაშავეები საოჯახო[84] და სხვა სახის სამართალწარმოებას[85] სულ უფრო ხშირად იყენებენ ძალადობის გაგრძელების გზად.[86] გარდა ამისა, პროგრამებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ძალთა უთანასწორობის დინამიკაზე მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის, ხოლო ოჯახში ძალადობა აღქმული უნდა იქნას როგორც განმეორებადი ქცევა, რომელიც მიმართულია მსხვერპლის კონტროლზე. ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საზიანო გენდერული სტერეოტიპების ჩამოშლა. წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგების მიხედვით, შესწავლილ პროგრამათა მხოლოდ 51.6%-ს აქვს სპეციალური სესიები ან მოდულები, რომლებიც ფოკუსირებულია გენდერულ როლებზე, სტერეოტიპებზე, მამაკაცურობასა და ამ კონცეფციების კავშირზე ქალთა მიმართ ძალადობასთან. დანარჩენი პროგრამების დიდი ნაწილი გენდერულ სტერეოტიპებსა და მამაკაცურობის თემას განიხილავს ცალკე სესიების გარეშეც, რადგან ეს საკითხები ბუნებრივად წამოიჭრება საუბრის პროცესში. თუმცა, სტრუქტურირებული სესიების არსებობა უზრუნველყოფდა ამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების თანმიმდევრულ და ყოვლისმომცველ განხილვას თითოეულ შემთხვევაში.

დამნაშავეთა პროგრამები სტანდარტული კომპონენტის სახით უნდა ითვალისწინებდეს ოჯახში ძალადობის პირობებში მცხოვრებ ბავშვების პერსპექტივას. ყურადღების გამახვილება მსხვერპლი და მოწმე ბავშვების შეხედულებებზე აუცილებელია, მათზე ასეთი ძალადობის მძიმე და გრძელვადიანი გავლენის გათვალისწინებით. Alderson-ის, Westmarland-ისა და Kelly-ს კვლევამ აჩვენა, რომ დამნაშავეთა პროგრამების დადებითი შედეგები ბავშვებთან მიმართებით ვლინდება რამდენიმე კუთხით. ესენია: ცვლილებები მამის ქცევასა და დამოკიდებულებებში, რასაც დადებითი გავლენა აქვს ბავშვებზე (ოჯახში ძალადობის შეწყვეტის ან შემცირების გამო); ცვლილებები შვილსა და მამას შორის ურთიერთობაში (ურთიერთობის გაუმჯობესება მშობლის უნარების გაუმჯობესებით); და ცვლილებები ბავშვის ფუნქციონირებაში (ემოციური და კოგნიტური

კარგი პრაქტიკის მაგალითი

იტალიაში მოქმედი ორგანიზაციები – Centro di Ascolto Uomini Maltrattanti (CAM) და Una casa per l'Uomo – ითვალისწინებენ ძალადობის ციფრულ განზომილებას დამნაშავეებთან მუშაობისა და პარტნიორებთან ინტერვენციების პროცესში. მათ შეიმუშავეს პროცედურები, რომლებიც მოიცავს ონლაინ და ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის რისკების შეფასებას და მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს (მაგ: როგორ უნდა მოხერხდეს კომპიუტერული ვირუსის, stalkerware-ის იდენტიფიცირება და უსაფრთხოდ ამოღება). გარდა ამისა, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ციფრული ძალადობის თემას ითვალისწინებენ კაცებთან ჯგუფური მუშაობის პროცესშიც: კერძოდ, ონლაინ და ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილ ძალადობას განიხილავენ იძულებითი კონტროლის ჭრილში.

CAM-ის თანამშრომლებმა შექმნეს სახელმძღვანელო სახელწოდებით „იგივე ძალადობა, ახალი ინსტრუმენტები: როგორ ვიმუშაოთ მოძალადე კაცებთან კიბერძალადობაზე", რომელიც 2020 წელს გამოაქვეყნა „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპულმა ქსელმა". გარდა ამისა, რისკის შეფასება და მართვა პროგრამების განუყოფელი ნაწილია და უწყვეტად მიმდინარეობს თითოეული კლიენტის შემთხვევაში, მათ შორის, დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის თანამშრომლობით.

83. Hester, M. & Lilley, S. J. (2014), op. cit. (შენიშვნა 5).
84. Elizabeth, V. (2017). Custody Stalking: A Mechanism of Coercively Controlling Mothers Following Separation. Feminist Legal Studies, 25, 185–201. https://doi.org/10.1007/s10691-017-9349-9
85. Gutowski, E. R., & Goodman, L. A. (2023). Coercive Control in the Courtroom: The Legal Abuse Scale (LAS). Journal of Family Violence, 38, 527–542. https://doi.org/10.1007/s10896-022-00408-3
86. Alsalem, R. (2023). Custody, violence against women and violence against children. Report of the Special Rapporteur on violence against women and girls, its causes and consequences. United Nations. http://www.ohchr.org/en/documents/thematic-reports/ahrc5336-custody-violence-against-women-and-violence-against-children

ფუნქციონირება და ა.შ.[87]). დამნაშავეთა პროგრამების ფოკუსირება ბავშვებსა და მათ საჭიროებებზე შესაძლოა ასევე დადებითად აისახოს დამნაშავის ჩართულობასა და ინტერვენციის შედეგებზე. ბავშვები და მათი კეთილდღეობა ხშირად მთავარი შინაგანი მოტივაციაა, რომელიც ხელს უწყობს კაცებს ქცევის შეცვლაში.[88]

გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგები ადასტურებს, რომ მშობლობის უკეთესი უნარების შეძენის სურვილი და ბავშვებზე ზრუნვა მთავარი მოტივატორებია დამნაშავეებისთვის ქცევის შესაცვლელად. გარდა ამისა, შესწავლილ პროგრამათა 65.4%-ს აღმოაჩნდა სპეციალური სესიები ან მოდულები, რომლებიც შეეხება ძალადობის გავლენას ბავშვებზე, უსაფრთხო და აქტიურ მამობაზე მუშაობის სტრატეგიებსა და ბავშვთა განვითარებას. თუმცა, პროგრამათა 29.6%-ში ეს საკითხები სპონტანურად განიხილება დისკუსიებისას, რაც შეშფოთებას აჩენს სტანდარტიზებული მიდგომის ნაკლებობასთან მიმართებით.

სულ უფრო ფართოვდება გენდერული ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის ციფრული განზომილება. GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია №1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებას განმარტავს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის განგრძობად ნაწილად, რომელიც „მოიცავს როგორც ონლაინ ასპექტებს (ინტერნეტში განხორციელებულ აქტივობებსა და ხელმისაწვდომ მონაცემებს, მათ შორის, ინტერნეტშუამავლებს ღია და ბნელ ვებსივრცეებში), ისე ქალებისა და გოგონების მიმართ საზიანო ქცევას ტექნოლოგიების გამოყენებით[89] (აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება ტექნოლოგიისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების, მათ შორის, პროგრამული თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით)." მსგავსი განსაზღვრება მოქმედებს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელ ექსპერტულ მექანიზმთა პლატფორმის" (EDVAW-ის პლატფორმა) ფარგლებშიც, რომელიც აერთიანებს ქალთა უფლებების შვიდ დამოუკიდებელ ექსპერტულ მექანიზმს, მათ შორის, GREVIO-ს.[90] Economist Intelligence Unit-ის კვლევამ აჩვენა, რომ ევროპაში ქალთა 74%-ს გამოუცდია ან შესწრებია ონლაინ ან ტექნოლოგიების საშუალებით ჩადენილი ძალადობის რომელიმე ფორმას.[91] GREVIO-მ და EDVAW-ის პლატფორმამ ხაზი გაუსვეს ციფრული განზომილების მძიმე შედეგებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ზიანი; ურთიერთობების დაზიანება და მეორეული ვიქტიმიზაცია; ასევე, ყოვლისმომცველი ზიანი. [92]

გენდერული ძალადობის ციფრული განზომილების მზარდი მასშტაბებისა და შედეგების გათვალისწინებით, დამნაშავეთა პროგრამები მზად უნდა იყოს ძალადობის ამ გამოვლინებათა იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირებისათვის. ეს გულისხმობს, განსაკუთრებით, ონლაინ და ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის საკითხთა ინტეგრირებას პროგრამის კურიკულუმში.

ფორმატი და ხანგრძლივობა

დამნაშავეთა პროგრამების ხანგრძლივობა ხშირად დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ან პოლიტიკურ ჩარჩოზე, რომელშიც ისინი იქმნება, ასევე, დაფინანსების ხელმისაწვდომ წყაროებზე, თუმცა ძალიან ხშირად უკავშირდება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გაგებასაც და ადამიანთა ცვლილების თეორიას. კვლევები მიუთითებს, რომ ღრმად ფესვგადგმული რწმენების დასაძლევად (როგორიცაა ქალებისა და გოგონების მიმართ უარყოფითი შეხედულებები), საჭიროა უფრო ხანგრძლივი ინტერვენციები. რაც შეეხება პროგრამების მინიმალურ ხანგრძლივობას, „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტები" იძლევა რეკომენდაციას, რომ ჯგუფურ მუშაობას დაეთმოს, სულ მცირე, 51 საათი, ხოლო ინდივიდუალურს – 27 საათი. შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობა ექვს თვეს შეადგენს. დამნაშავეთა პროგრამების შემოთავაზებული მინიმალური ხანგრძლივობა შეესაბამება გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ სტანდარტებს, რომლებიც 22 კვირას ითვალისწინებს. ეს სტანდარტები ხაზს უსვამს, რომ

87. Alderson, S., Westmarland, N., & Kelly, L. (2013). The need for accountability to, and support for, children of men on domestic violence perpetrator programs. Child Abuse Review, 22(3), 182–193. https://doi.org/10.1002/car.2223
88. Di Napoli, I., Procentese, F., Carnevale, S., Esposito, C., & Arcidiacono, C. (2019). Ending intimate partner violence (IPV) and locating men at stake: An ecological approach. International Journal of Environmental Research and Public Health, 16(9), 1652. https://doi.org/10.3390/ijerph16091652
Henderson, A. F., & Arean, J. C. (2004). Fathering After Violence: Curriculum Guidelines and Tools for Batterer Intervention Programs. Fatherhood. ხელმისაწვდომია: http://www.futureswithoutviolence.org/userfiles/file/Children_and_Families/FAV%20Guidelines%202011.pdf
89. ევროპის საბჭო. (2021a). GREVIO's General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147 (იხ. პუნქტი 21)
90. ევროპის საბჭო. (2022c). The digital dimension of violence against women as addressed by the seven mechanisms of the EDVAW Platform. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/thematic-report-on-the-digital-dimension-of-violence-against-women-as-/1680a933ae (see p. 8).
91. Online violence women. (2021). Measuring the prevalence of online violence against women. The Economist. ხელმისაწვდომია: https://onlineviolencewomen.eiu.com/
92. ევროპის საბჭო. (2021a), op. cit. (შენიშვნა 89; იხ. გვ. 10).

პროგრამის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ ხანგრძლივობაზე, არამედ სესიებს შორის ინტერვალებზეც, რაც ძალადობის ჩამდენ პირებს აძლევს ახალშეძენილი უნარებისა და რწმენების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების საშუალებას.

რაც შეეხება ინტერვენციის ფორმატს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის, ევროპაში მოქმედი პროგრამები ითვალისწინებს ინდივიდუალურ სესიებს, ჯგუფურ სესიებს, ან ორივეს ერთად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ვითარებაში ინდივიდუალური სესიები შეიძლება საუკეთესო ან ერთადერთი გამოსავალი იყოს (მაგ: ენობრივი ან სხვა ბარიერების არსებობისას, ან ჯგუფური სესიისთვის საკმარის მონაწილეთა არარსებობისას), პროგრამებში ჯგუფური მუშაობის გათვალისწინებას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს. კვლევების თანახმად, ჯგუფური პროცესი დადებით გავლენას ახდენს შეხედულებებისა და რწმენების ეჭვქვეშ დაყენებასა და შეცვლაზე, ასევე, სოციალურად მისაღები ქცევის დანერგვაზე, როგორიცაა არაძალადობრივი მოპყრობა და თანასწორობა ინტიმურ ურთიერთობებში.

ფორმატი და ხანგრძლივობა

დამნაშავეთა პროგრამების ხანგრძლივობა ხშირად დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ან პოლიტიკურ ჩარჩოზე, რომელშიც ისინი იქმნება, ასევე, დაფინანსების ხელმისაწვდომ წყაროებზე, თუმცა ძალიან ხშირად უკავშირდება ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის გაგებასაც და ადამიანთა ცვლილების თეორიას. კვლევები მიუთითებს, რომ ღრმად ფესვგადგმული რწმენების დასაძლევად (როგორიცაა ქალებისა და გოგონების მიმართ უარყოფითი შეხედულებები), საჭიროა უფრო ხანგრძლივი ინტერვენციები.[93] რაც შეეხება პროგრამების მინიმალურ ხანგრძლივობას, „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტები“ იძლევა რეკომენდაციას, რომ ჯგუფურ მუშაობას დაეთმოს, სულ მცირე, 51 საათი, ხოლო ინდივიდუალურს – 27 საათი. შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობა ექვს თვეს შეადგენს. [94] დამნაშავეთა პროგრამების შემოთავაზებული მინიმალური ხანგრძლივობა შეესაბამება გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ სტანდარტებს, რომლებიც 22 კვირას ითვალისწინებს.[95] ეს სტანდარტები ხაზს უსვამს, რომ პროგრამის შედეგები დამოკიდებულია არა მხოლოდ ხანგრძლივობაზე, არამედ სესიებს შორის ინტერვალებზეც, რაც ძალადობის ჩამდენ პირებს აძლევს ახალშეძენილი უნარებისა და რწმენების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების საშუალებას.

რაც შეეხება ინტერვენციის ფორმატს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის, ევროპაში მოქმედი პროგრამები ითვალისწინებს ინდივიდუალურ სესიებს, ჯგუფურ სესიებს, ან ორივეს ერთად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ვითარებაში ინდივიდუალური სესიები შეიძლება საუკეთესო ან ერთადერთი გამოსავალი იყოს (მაგ: ენობრივი ან სხვა ბარიერების არსებობისას, ან ჯგუფური სესიისთვის საკმარის მონაწილეთა არარსებობისას), პროგრამებში ჯგუფური მუშაობის გათვალისწინებას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს. კვლევების თანახმად, ჯგუფური პროცესი დადებით გავლენას ახდენს შეხედულებებისა და რწმენების ეჭვქვეშ დაყენებასა და შეცვლაზე, ასევე, სოციალურად მისაღები ქცევის დანერგვაზე, როგორიცაა არაძალადობრივი მოპყრობა და თანასწორობა ინტიმურ ურთიერთობებში.[96]

ძალადობის ჩამდენ პირთა სხვადასხვა ტიპები

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის დამნაშავის მიმართ გამოყენებულ მიდგომებში გარკვეული მსგავსებებიც შეინიშნება (მაგ: ძალადობის რისკების შეფასება, ან არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარების სწავლება), თითოეული ტიპოლოგია საჭიროებს მასზე მორგებულ მიდგომას.[97] წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვისა და ინტერვიუების შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამათა უმრავლესობა სპეციალურად შეიქმნა იმ კაცებთან

93. Arce, R., Arias, E., Novo, M., & Fariña, F. (2020). Are Interventions with Batterers Effective? A Meta-analytical Review. Psychosocial Intervention, 29(3), 153–164. https://doi.org/10.5093/pi2020a11
94. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
95. Kelly, L. & Westmarland, N. (2023), op. cit. (შენიშვნა 36).
96. Murphy, Ch. M., Eckhardt, Ch. I., Clifford, J. M., LaMotte, A. D., & Meis, L. A. (2020). Group session Individual Versus Group Cognitive-Behavioral Therapy for Partner Violent Men: A Preliminary Randomized Trial. Journal of Interpersonal Violence, 35(15–16), 2846–2868. https://doi.org/10.1177/0886260517705666
97. Oğuztüzün, Ç., Koyutürk, M., & Karakurt, G. (2023). Systematic Investigation of Meta-Analysis Data on Treatment Effectiveness for Physical, Psychological, and Sexual Intimate Partner Violence Perpetration. Psychosocial Intervention, 32(2), 59–68. https://doi.org/10.5093/pi2023a6

Arias, E., Arce, R., & Vilariño, M. (2013). Batterer intervention programmes: A meta-analytic review of effectiveness. Psychosocial Intervention, 22(2), 153–160. https://doi.org/10.5093/in2013a18

Butters, R. P., Droubay, B. A., Seawright, J. L., Tollefson, D. R., Lundahl, B., & Whitaker, L. (2021). Intimate partner violence perpetrator treatment: Tailoring interventions to individual needs. Clinical Social Work Journal, 49, 391–404. https://doi.org/10.1007/s10615-020-00763-y

Travers, Á., McDonagh, T., Cunningham, T., Armour, C., & Hansen, M. (2021). The effectiveness of interventions to prevent recidivism in perpetrators of intimate partner violence: A systematic review and meta-analysis. Clinical Psychology Review, 84, 101974. https://doi.org/10.1016/j.cpr.2021.101974

სამუშაოდ, რომლებიც ძალადობენ ქალ პარტნიორებზე, რაც შეესაბამება წინა მიგნებებს.[98] თუმცა, არაერთი პროგრამა ითვალისწინებს მუშაობას ქალ დამნაშავეებთან (64.3%), ასევე, დამნაშავეებთან ერთნაირსქესიან (71.4%) ან სხვა ტიპის ურთიერთობებში, როგორიცაა ურთიერთობა მშობელსა და ბავშვს შორის (60.7%). დამნაშავეთა ზოგიერთი პროგრამა ამჟამად არ მუშაობს აღნიშნულ ჯგუფებთან, თუმცა მზადყოფნას გამოხატავს საამისოდ, ზოგი კი მიუთითებს სამუშაოს ადაპტირებაზე და ხშირად ინდივიდუალურ სესიებს სთავაზობს ამ ჯგუფებს. ამასთან, ნაწილი ყველა რეფერირებულ დამნაშავეს ერთ პროგრამაში რთავს, რომელიც, როგორც წესი, შექმნილია ინტიმურ პარტნიორებზე მოძალადე კაცებისთვის. ამ მიდგომამ წარმოშვა სიტუაციები, სადაც თავდაცვის მიზნით მოქმედი ქალი მსხვერპლი დამნაშავედ მიიჩნევა და გადამისამართდება დამნაშავეთა პროგრამებში, როგორც მოლდოვის რესპუბლიკაში გამოიკვეთა.[99] გარდა ამისა, ასეთი მიდგომის შედეგად, ქალი მსხვერპლი ხვდება იმავე ჯგუფში, სადაც მასზე მოძალადეა, ეს კი ეწინააღმდეგება სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს, როგორც აღნიშნა GREVIO-მ ხორვატიის საბაზისო შეფასების ანგარიშში.[100]

წინამდებარე კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებას არა მხოლოდ დამნაშავეთა პროგრამების თანამშრომლებისთვის, არამედ გადამისამართებაზე პასუხისმგებელი მხარეებისთვისაც, რათა უკეთ გაიაზრონ ძალადობის ჩამდენ პირთა სხვადასხვა ჯგუფის უნიკალური დინამიკა და საჭიროებები, განსაკუთრებით, ქალ დამნაშავეთა შემთხვევაში. ასევე აუცილებელია სპეციალიზებული პროგრამების შემუშავება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის. ქალ დამნაშავეებთან მუშაობა მოითხოვს ფრთხილ და სპეციალიზებულ შეფასებას, ზოგ შემთხვევაში კი - წინა ვიქტიმიზაციის გათვალისწინებასაც.[101]ხორვატიის შემთხვევაში, GREVIO-მ ხაზი გაუსვა, რომ კანონებისა და პოლიტიკის გენდერულად ნეიტრალური ბუნების გამო, ბევრ ქალ დამნაშავეს სასამართლოს განჩინება ავალდებულებს იმ სამკურნალო პროგრამებზე დასწრებას, რომლებიც, თავდაპირველად, ოჯახში ძალადობის ჩამდენი კაცებისთვის შეიქმნა.[102]

98. Geldschläger, H., Ginés, O., Nax, D., & Ponce, A. (2014). Outcome Measurement in European Perpetrator Programs: A Survey. ხელმისაწვდომია: http://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/IMPACT/Daphne_III_Impact_-_Working_paper_1_-_Outcome_Measurement_in_European_Perpetrator_Programs_-_A_Survey.pdf
99. Jovanović, S. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 9).
100. ევროპის საბჭო. (2023b), op. cit. (შენიშვნა 30; იხ. პუნქტი 105).
101. McKee, S. A., & Hilton, N. Z. (2019). Co-occurring substance use, PTSD, and IPV victimization: Implications for female offender services. Trauma, Violence, & Abuse, 20(3), 303–314. https://doi.org/10.1177/1524838017708782; Graves, K. N., Sechrist, S. M., White, J. W., & Paradise, M. J. (2005). Intimate partner violence perpetrated by college women within the context of a history of victimization. Psychology of Women Quarterly, 29(3), 278–289. https://doi.org/10.1111/j.1471-6402.2005.00222.x
102. ევროპის საბჭო. (2023b), op. cit. (შენიშვნა 30; იხ. პუნქტი 105).

რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა ხარისხიანი პროგრამების შესამუშავებლად

დამნაშავეთა პროგრამები უნდა იყენებდეს ეკოლოგიურ მოდელს, გენდერულად სენსიტიური მიდგომით, რომელიც ეფუძნება პრინციპს, რომ ძალადობა მიუღებელი არჩევანია და მასზე პასუხს აგებს მხოლოდ დამნაშავე. ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავეთა მხარდაჭერაზე, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ასაღებად. ამავდროულად, მათ პატივისცემით უნდა მოეპყრონ და ეფექტიანი სტრატეგიის გამოყენებით აუმაღლონ მოტივაცია დამოკიდებულებათა შესაცვლელად. აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის პროგრამის დასრულების მაჩვენებლებს. პროგრამები უნდა იყენებდეს კულტურულად სენსიტიურ მიდგომას, რათა მისაღები იყოს ფართო ჯგუფებისთვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ პროგრამათა შინაარსმა მოიცვას ძალადობის ყველა ფორმა, მათ შორის, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, იძულებითი კონტროლი, და ძალადობის ციფრული განზომილება. სტანდარტიზებული მიდგომის უზრუნველსაყოფად და ძირითადი თემების მოსაცავად (როგორიცაა გენდერულ სტერეოტიპებზე მუშაობა, ძალადობის გავლენა ბავშვებზე და მშობლობა), აღნიშნული საკითხები უნდა ჩაერთოს სასწავლო კურსის სპეციალურ სესიებსა და მოდულებში.

პროგრამების ხანგრძლივობა იცვლება კონტექსტისა და სამიზნე ჯგუფების მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია, სულ მცირე, ექვსთვიანი პერიოდი და წახალისებულია უფრო ხანგრძლივი ინტერვენცია. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, მისი დიზაინიდან და ორგანიზაციული რესურსებიდან გამომდინარე, და განემარტოს იმ სპეციალისტებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადამისამართებაზე. გარდა ამისა, პროგრამების ფარგლებში უნდა შემუშავდეს სპეციალიზებული ინტერვენცია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. ქალ დამნაშავეებთან მუშაობისას, პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მათგანმა გაიაროს შეფასება, ყურადღების გამახვილებით წინა შესაძლო ვიქტიმიზაციაზე, რათა ინტერვენცია სათანადოდ იყოს მორგებული და, საჭიროების შემთხვევაში, დამნაშავე სპეციალიზებულ მხარდამჭერ სერვისებში გადამისამართდეს.

1.5. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების საკონტროლო ჩამონათვალი

ქვემოთ წარმოდგენილი საკონტროლო ჩამონათვალი შექმნილია გადაწყვეტილების მიმღებ პირების, მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სერვისის მიმწოდებლების დასახმარებლად დამნაშავეთა ეფექტიანი, მსხვერპლზე ორიენტირებული და უსაფრთხოებაზე ფოკუსირებული პროგრამების შექმნაში. გარდა ამისა, ის შეიძლება გამოიყენებოდეს არსებულ პროგრამათა შესაფასებლად და სტამბოლის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის დასადგენად. ეს სია აერთიანებს ხედვებს GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშებიდან და ევროპაში დამნაშავეთა პროგრამებზე ჩატარებული კვლევებიდან.

საკონტროლო ჩამონათვალში წარმოდგენილი სტანდარტების გამოყენება შესაძლებელია დამნაშავეთა პროგრამის ნებისმიერი ტიპისთვის, მიუხედავად იმისა, პენიტენციურ ან პრობაციის დაწესებულებებში ხორციელდება, თუ საზოგადოებაში.

ჩამონათვალი იყოფა ოთხ ნაწილად: 1. აუცილებელი ჩარჩო, 2. პროგრამის მიმწოდებლის როლი, 3. მსხვერპლთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ფოკუსირება, და 4. პროგრამის დიზაინი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეფექტიანობისა და უსაფრთხოებისთვის, პროგრამა ოთხივე სფეროში უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ინდიკატორებს.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების ეროვნულ ჩარჩოს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

- ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირთა პროგრამები გათვალისწინებული იყოს სამართლებრივ ან პოლიტიკურ ჩარჩოში.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის არსებობდეს რეფერირების მკაფიო გზები, რომლებიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით გადამისამართებას.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა გადამისამართება არ იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის, მსჯავრდების ან სასჯელის ალტერნატივა.
- შესაბამისი სუბიექტები (მაგ: სასამართლოები და ბავშვთა დაცვის სერვისები) დამნაშავეებს ამისამართებდნენ ასეთ პროგრამებში.
- დამნაშავეთა პროგრამები იყოს ხელმისაწვდომი და ადეკვატურად გადანაწილებული გეოგრაფიული თვალსაზრისით.
- ამ პროგრამებისთვის გამოიყოს საკმარისი და სტაბილური დაფინანსება, მდგრადი მუშაობისათვის და ხარისხის სტანდარტთა დასაკმაყოფილებლად.
- დამნაშავეთა პროგრამებისთვის გამოყოფილი დაფინანსება არ აისახოს მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებული სერვისების დაფინანსებაზე.
- მხარეებმა შეიმუშაონ და მიიღონ (მინიმალური) სტანდარტები ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებისთვის, რომლებიც შეესაბამება სტამბოლის კონვენციასა და საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის, მე-16 მუხლის განხორციელებაზე გამოქვეყნებულ სახელმძღვანელო მითითებებს[103] და/ან დამნაშავეთა პროგრამების ევროპულ სტანდარტებს.[104]
- მოქმედებდეს აკრედიტაციის ან ლიცენზირების სისტემა (ჩარჩო), რათა შეფასდეს და მონიტორინგი გაეწიოს დამნაშავეთა პროგრამების ხარისხის შესაბამისობას მინიმალურ სტანდარტებთან.
- ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამა აფასებდეს როგორც მუშაობის პროცესს, ისე მის შედეგებს. მონაცემები იკრიბებოდეს პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე, რაც იძლევა მიგნებათა შედარების შესაძლებლობას - პროგრამის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ. ეს მოიცავს მონაცემთა შეგროვებას მსხვერპლისა და დამნაშავის შეხედულებათა შესადარებლად, როცა შესაძლებელია.
- შეფასების პროცესში შეგროვებული მონაცემები გაანალიზდეს და გამოიყენებოდეს ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების გასაუმჯობესებლად.

103. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2); ევროპის საბჭო. (2011b), op cit. (შენიშვნა 3); Council of Europe (2008), op. cit. (შენიშვნა 4), Hester, M. & Lilley, S. J. (2014), op. cit. (შენიშვნა 5).
104. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამის მიმწოდებელი:

- განთავსებულია ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავეთა ანგარიშვალდებულებას და ზრდის პროგრამაში მონაწილეობის ალბათობას.
- არის სპეციალიზებული სუბიექტი, მისთვის გამოყოფილი ფინანსური, ადამიანური და სხვა სახის რესურსებით.
- უზრუნველყოფს, რომ დამნაშავეებთან მომუშავე სპეციალისტები არ იყვნენ ჩართულნი სხვა პროფესიულ საქმიანობაში, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე დამნაშავესთან, ან აზიანებდეს მსხვერპლის საჭიროებათა პრიორიტეტიზაციას (მაგ: სპეციალისტი, რომელიც რჩევებს იძლევა ბავშვზე მეურვეობის საქმეებში, ან მოქმედებს როგორც დამნაშავის ან მსხვერპლის ინდივიდუალური ფსიქიატრი).
- მდებარეობს მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებული სერვისებისგან განცალკევებით (როგორიცაა თავშესაფრები, ან საკონსულტაციო სერვისები).
- უზრუნველყოფს, რომ დამნაშავეებთან მომუშავე სპეციალისტები, იმავდროულად, არ მუშაობდნენ მათ მსხვერპლთანაც.
- უზრუნველყოფს თანამშრომელთა სპეციალიზებულ მომზადებას, დამნაშავეებთან მუშაობის დაწყებამდე.
- უზრუნველყოფს სპეციალისტთა უწყვეტ მხარდაჭერას საქმიანობაში, მათ შორის, რეგულარულ ზედამხედველობასა და უწყვეტ პროფესიულ მომზადებას.

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მსხვერპლთა უსაფრთხოებას, კერძოდ:

- უზრუნველყონ, რომ დამნაშავეთა პროგრამები განხორციელდეს პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებთან თანამშრომლობით.
- ყველა ქმედებასა და გადაწყვეტილებაში პრიორიტეტად განიხილონ მსხვერპლთა, განსაკუთრებით, ქალთა და ბავშვთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა.
- დამნაშავეებთან მუშაობის კონტექსტში, შეარჩიონ პარტნიორთან კომუნიკაციის შესაბამისი მოდელი, იდეალურ შემთხვევაში, მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან თანამშრომლობით. მათ შორის იგულისხმება ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც მსხვერპლს კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობენ ერთ სივრცეში (one-stop-shop სერვისები).[105] თუ ეს შეუძლებელია, თავად პროგრამებმა შექმნან პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისები.
- უწყვეტად შეაფასონ და მართონ რისკები, პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით.
- რისკების შეფასებაში ჩართონ როგორც სტატიკური (მაგ. კრიმინალური ისტორია, ძალადობის წინა შემთხვევები), ისე დინამიკური (მაგ. დასაქმების სტატუსი, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ორსულობა) ფაქტორები; აქცენტი გააკეთონ დამნაშავის რისკფაქტორებზე, მსხვერპლის მოწყვლადობასა და სერვისით წარმოქმნილ რისკებზე (მაგ: დამნაშავის მიერ პროგრამაში მონაწილეობით მანიპულირების საფრთხე, ან ცრუ უსაფრთხოების განცდის შექმნა პროგრამაში ჩართვის შემდეგ). ამ მიზნით, გამოიყენონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინსტრუმენტები და პროცედურები.
- ჩამოაყალიბონ მკაფიო პროცედურები დამნაშავეთა პროგრამებსა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებს შორის თანამშრომლობისათვის და ინფორმაციის გასაცვლელად. პერსონალი მოამზადონ ამ პროცედურების განსახორციელებლად.
- უზრუნველყონ, რომ პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურები ინფორმაციას აწვდიდნენ მსხვერპლს დამნაშავეთა პროგრამებსა (მაგ: შინაარსი, მიდგომა, ხანგრძლივობა) და მათ შეზღუდვებზე, აგრეთვე, ითვალისწინებდნენ მსხვერპლის წუხილებსა და შიშებს. გარდა ამისა, პროგრამა გარანტირებულად უნდა აწვდიდეს მსხვერპლს ინფორმაციას დამნაშავის მხრიდან პროგრამის შესაძლო მანიპულაციურ გამოყენებაზე.

105. ეს არ ეხება შემთხვევებს, როცა ქალთა მხარდამჭერ სამსახურში მოქმედებს დამნაშავის პროგრამა. ასეთ შემთხვევებში, ორგანიზაცია ქმნის პროცედურებს ორ სერვისს შორის თანამშრომლობისათვის (როგორიცაა დამნაშავის პროგრამა და მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისი).

ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მსხვერპლთა უსაფრთხოებას, კერძოდ:

- უზრუნველყონ, რომ მსხვერპლის ჩართულობა პარტნიორთან კომუნიკაციის სერვისებში იყოს ნებაყოფლობითი. თანხმობის შემთხვევაში, პროგრამებმა უნდა განსაზღვრონ კომუნიკაციის დინამიკა და ფორმა. მისი სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს იდენტიფიცირებულ რისკებსა და მსხვერპლის საჭიროებებს, როგორც პროგრამის დასაწყისში, ისე მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.
- შეინარჩუნონ მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურებთან, რათა გამოვლინდეს პოტენციური რისკები, განსაკუთრებით, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის კუთხით. დამნაშავეთა პროგრამებისა და პარტნიორთან კომუნიკაციის სამსახურების ერთობლივი შეხვედრები უნდა ჩატარდეს შემდეგი სიხშირით: ჩართვის ეტაპზე – სულ მცირე, ერთხელ, პროგრამის მიმდინარეობისას – ყოველ სამ თვეში ერთხელ, და დასრულების ეტაპზე – ერთხელ.

დამნაშავეთა პროგრამების დიზაინი უნდა:

- მოიცავდეს ფართო თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ძალადობის აღმოფხვრაზე საზოგადოებრივ, ინსტიტუციურ, თემობრივ და ინდივიდუალურ დონეებზე.
- ოჯახში ძალადობას განიხილავდეს გენდერულ საკითხად, რომელსაც ფესვი გადგმული აქვს გენდერულ უთანასწორობაში, ძალაუფლებასა და კონტროლში. ის უნდა მოიცავდეს ძალადობის ყველა ფორმას, მათ შორის, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, იძულებით კონტროლსა და ონლაინ და ტექნოლოგიებით ჩადენილ ძალადობას.
- ოჯახში ძალადობას აღიქვამდეს არჩევანად, რომელიც არასდროს არის მისაღები და რომელზეც პასუხისმგებელია მხოლოდ დამნაშავე; მხარს უჭერდეს დამნაშავეებს საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში.
- ნერგავდეს სტრატეგიებს, რომლებიც გააძლიერებს დამნაშავეთა მოტივაციას საკუთარი ქცევისა და დამოკიდებულებების შესაცვლელად და პატივისცემით დაუპირისპირდება მათ სტრატეგიებს უარყოფის, მინიმიზაციის, გამართლების, ან სხვა ადამიანთა დადანაშაულების კუთხით.
- ითვალისწინებდეს ღონისძიებებს, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის პროგრამის დასრულების მაჩვენებლებს.
- უზრუნველყოფდეს, რომ გენდერულ სტერეოტიპებსა და მამაკაცურობაზე მუშაობა იქცეს პროგრამის განუყოფელ ნაწილად, ამ თემების ჩართვით სპეციალურ სესიებსა და მოდულებში.
- უზრუნველყოფდეს, რომ ინტიმური პარტნიორისა და ოჯახში ძალადობის გავლენის გააზრება ბავშვებთან მიმართებით, პოზიტიური მშობლობის უნარების განვითარება და ბავშვის განვითარების გაგება ასევე პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდეს, ამ თემების ჩართვით სპეციალურ სესიებსა ან მოდულებში.
- უზრუნველყოფდეს, რომ პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა იყოს 6 თვე და ითვალისწინებდეს ჯგუფურ მუშაობას, როცა ეს შესაძლებელია.
- პროგრამის დიზაინი ეფუძნებოდეს კულტურულად სენსიტიურ მიდგომას და იღებდეს ზომებს პროგრამის ფართო ხელმისაწვდომობისთვის.
- ითვალისწინებდეს პროგრამაში ჩართვის მკაფიო კრიტერიუმებს, რომლებიც ეფუძნება პროგრამის დიზაინსა და მიმწოდებლის რესურსებს. ეს კრიტერიუმები ნათლად უნდა განემარტოთ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დამნაშავეთა რეფერირებაზე.
- ითვალისწინებდეს სპეციალიზებულ პროგრამათა დანერგვას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. უზრუნველყოფდეს ყველა ქალი დამნაშავის შეფასებას, ფოკუსით მანამდე განცდილ შესაძლო ვიქტიმიზაციაზე, პროგრამის ფასილიტატორებმა კი თავიანთი მუშაობა შესაბამისად მოარგონ შეფასების შედეგებს.

ნაწილი 2 - პროგრამები სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის

სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი მხარეებს ავალდებულებს, შექმნან ან მხარი დაუჭირონ სამკურნალო პროგრამებს სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ჩამდენ პირთათვის. ეს პროგრამები უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულად „მსჯავრდებულ სექსუალურ დამნაშავეთა მკურნალობას პენიტენციურ დაწესებულებაში და მის გარეთ, განმეორებითი დანაშაულის შესამცირებლად." გაითვალისწინეს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ამ პროგრამების მრავალი განსხვავებული მოდელი არსებობს, კონვენციის შემქმნელებმა მხარეებსა და/ან სერვისის მიმწოდებლებს გარკვეული თავისუფლება მიანიჭეს განხორციელების ფორმის არჩევაში, თუმცა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ „მთავარი მიზანი ყოველთვის უნდა იყოს ხელახალი დანაშაულის აცილება და დამნაშავეთა წარმატებული რეინტეგრაცია საზოგადოებაში."

სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლი ითხოვს სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების კრიმინალიზაციას. იგი მოიცავს ყველა სექსუალურ აქტს, რომლებიც ჩადენილია სხვა პირის მიმართ, მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე და განზრახ. ამ დებულების განხორციელებისას, მხარეებმა უნდა მიიღონ სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფალი თანხმობის არარსებობის ცნებას ნებისმიერი სექსუალური აქტის მიმართ, რაც უნდა შეფასდეს „არსებული გარემოებების" კონტექსტში.[106] 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების კრიმინალიზაცია უნდა მოიცავდეს ყველა არასასურველ სექსუალურ აქტს, განურჩევლად დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობისა. თუმცა, GREVIO-ს საქმიანობის მე-4 ზოგად ანგარიშში ხაზგასმულია, რომ „კონვენციის მხარე სახელმწიფოებში სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების კრიმინალიზაცია ეფუძნება განსხვავებულ განმარტებებს, დაცვის ფარგლებს, ქცევებს, სანქციებსა და დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებს."[107] შესაბამისად, ქვეყნებში მოქმედებს განსხვავებული პროგრამები, რადგან ისინი დამოკიდებულია მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოზე, მათ შორის, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ ნორმებზე, რაც, საბოლოოდ, განსაზღვრავს პროგრამით მოცულ სექსუალურ ქცევებსა და დამნაშავეთა ტიპებს.

2021 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2021)6 სექსუალურ დანაშაულში ბრალდებულ ან მსჯავრდებულ პირთა შეფასების, მკურნალობისა და რეინტეგრაციის შესახებ. [108]რეკომენდაციის მიხედვით, სექსუალური დანაშაული განისაზღვრება, როგორც „სექსუალური ხასიათის ან განზრახვის მქონე ნებისმიერი აქტი ან ქცევა, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ სანქციებს ან ზომებს. სექსუალური დანაშაული შეიძლება მოიცავდეს ფიზიკურ, ემოციურ ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ან ძალადობას, და წარმოადგენდეს კონტაქტურ დანაშაულს (მაგ: გაუპატიურება, სექსუალური თავდასხმა, მათ შორის, შეხება), ან არაკონტაქტურ დანაშაულს (მაგ: „გრუმინგი"/დაყოლიება, ექსჰიბიციონიზმი, ვოიერიზმი, ბავშვთა სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების შექმნა, ჩამოტვირთვა ან ყურება)." რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებებში ან პრობაციული ზედამხედველობის ქვეშ, უნდა ჰქონდეთ წვდომა იმ ინტერვენციებსა და/ან მკურნალობაზე, რომლებიც მიმართულია მათი დანაშაულებრივი ქცევისა და საჭიროებების დაძლევაზე. ზოგადი პრინციპის სახით, რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ „ინტერვენციები და მკურნალობა უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, პროპორციული და ყოვლისმომცველი მიდგომის ნაწილი, რომელიც ინდივიდებს ეხმარება საკუთარი დანაშაულებრივი ქცევის დაძლევაში." განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაციის გაცემა, რომ ჩატარდეს რისკების ყოვლისმომცველი და რეგულარული შეფასება, „როგორც წინაპირობა ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მისაღებად იმ პირთა

106. ევროპის საბჭო. (2011b), op. cit. (შენიშვნა 3; იხ. პუნქტი 193).
107. ევროპის საბჭო. (2023a), op. cit. (შენიშვნა 23).
108. ევროპის საბჭო. (2021b). Recommendation CM/Rec(2021)6 of the Committee of Ministers to member States regarding the assessment, management and reintegration of persons accused or convicted of a sexual offence. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/0900001680a4397a.

მართვის, ინტერვენციებისა და/ან მკურნალობის შესახებ, რომლებიც ბრალდებულნი ან მსჯავრდებულნი არიან სექსუალურ დანაშაულში." გარდა ამისა, რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ „მკურნალობისა და ინტერვენციის პროგრამებს უნდა ახორციელებდნენ პენიტენციური დაწესებულებისა და პრობაციის სამსახურის სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები და მკაცრად ზედამხედველობდნენ კვალიფიციური პროფესიონალები." და ბოლოს, რეკომენდაცია მიუთითებს, რომ „საჭიროების შემთხვევაში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სააგენტოებმა უნდა ითანამშრომლონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვადასხვა ორგანოსთან, ასევე, მსხვერპლთა მხარდაჭერის სამსახურებსა და სხვა შესაბამის სუბიექტებთან, რათა დაკმაყოფილდეს მსხვერპლთა საჭიროებები და თავიდან აიცილონ უწყვეტი ვიქტიმიზაცია."

მინისტრთა კომიტეტის ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად, პრობაციის ევროპულმა კონფედერაციამ (CEP) გამოჰკითხა თავისი წევრები, რათა გარკვია სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების სპექტრი და ფარგლები ევროპაში. [109] გამოკითხვამ დაადგინა, რომ:

- რესპონდენტთა განცხადებით, შესწავლილ ქვეყნებში საზოგადოება გარკვეულწილად ინფორმირებული იყო სექსუალური ძალადობის შესახებ, რაც განაპირობებდა გარკვეული დონის მხარდაჭერას სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულთა რეინტეგრაციისათვის, მსჯავრდების შემდგომ ეტაპზე.
- რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ სექსუალური ძალადობის პრევენცია მათი ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხი იყო და სჯეროდა, რომ მთავრობას (68%), მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებსა (79%) და მკურნალებს/თერაპევტებს (75%) კარგად ესმოდათ ეს პრობლემა და ესწრაფოდნენ მის გადაჭრას. თუმცა, როცა მათ სთხოვეს ქვეყნის მასშტაბით არსებული პროგრამების დასახელება, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო რამდენიმე პროგრამის ჩამოთვლა.
- რესპონდენტთა თქმით, საჭიროა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მყარი მიდგომა, რათა მხარი დაეჭიროს პრევენციული ინიციატივების სათანადოდ დაფინანსებასა და ამოქმედებას. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობდა მტკიცებულებაზე დაფუძნებული ეროვნული მიდგომა და ინსტრუმენტები, ზოგან კი ის არ არსებობდა კონკრეტულ ასპექტებთან მიმართებით, როგორიცაა: რისკის შეფასება; მკურნალობის ეფექტიანობა; პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ტრავმაზე ინფორმირებას; ან პრევენცია.

წინა კვლევების თანახმად, სექსუალური ძალადობის პრევენციას ევროპაში მხარს უჭერენ, თუმცა ის არ ხორციელდება და ფინანსდება თანმიმდევრულად.[110] აკადემიურ ლიტერატურაში მზარდია კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს სექსუალური ძალადობის პრევენცია, მაშინ, როცა პროფესიული პრაქტიკა და პოლიტიკა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე [111]განსხვავდება პრევენციის ოთხი დონის მიხედვით (პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული პრევენცია). პირველადი პრევენცია გულისხმობს ნებისმიერ ინტერვენციას ძალადობის პირველად ჩადენამდე და ფოკუსირებულია სოციალური ცნობიერების ამაღლებაზე სექსუალური ძალადობის შესახებ. მეორეული პრევენცია ხორციელდება ძალადობის ჩადენისთანავე და ითვალისწინებს მუშაობას დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ პირებთან. მესამეული პრევენცია ეფუძნება ძალადობის ჩადენის შემდგომ გრძელვადიან მიდგომას და მოიცავს დამნაშავეთა მკურნალობასა და რეაბილიტაციას. მეოთხეული პრევენციის მიზანია ნებისმიერი ინტერვენციის უარყოფითი შედეგების შერბილება და ყურადღებას ამახვილებს ზიანის შემცირებაზე, დანაშაულის შეწყვეტასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. ყველა ჩამოთვლილი დონის პრევენცია უნდა განხორციელდეს სოციალურ-ეკოლოგიური მიდგომის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთქმედებას ინდივიდუალურ, პიროვნებათშორის, საზოგადოებრივ და სოციალურ ფაქტორებს შორის. [112] ეს საშუალებას მოგვცემს, გავიაზროთ იმ ფაქტორთა სპექტრი, რომლებიც ზრდის ძალადობის რისკს, ან პირიქით, იცავს ადამიანს ძალადობის ჩადენისა თუ განცდისგან, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა დონეზე.

სექსუალურ ძალადობაზე ორიენტირებული ნებისმიერი ინტერვენცია უნდა იყოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ჰოლისტიკური (ყოველმხრივ ორიენტირებული ინდივიდზე), ძლიერ მხარეებზე დამყარებული (წაახალისოს პოზიტიური ქცევა და დამოკიდებულებები მონაწილეებში და დაეხმაროს გააზრებაში, თუ როგორ უნდა შეცვალონ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული უარყოფითი

109. McCartan, K. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 13).
110. McCartan, K., Uzieblo, K., & Smid, W. J. (2020). Professionals' understandings of and attitudes to the prevention of sexual abuse: An international exploratory study. International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology, 65(8), 815–831. https://doi.org/10.1177/0306624x20919706
111. McCartan, K. et al. (2020), op. cit. (შენიშვნა 110).
112. Di Gioia, R., Beslay, L., Cassar, A., & Pawula, A. (2022). Classification criteria for child sexual abuse and exploitation prevention programmes. European Commission, Joint Research Centre. ხელმისაწვდომია: https://data.europa.eu/doi/10.2760/725913

ქცევა და წარმოდგენები) და ტრავმაზე ინფორმირებული. პრევენციული პოლიტიკისა და პრაქტიკის კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვთა სექსუალური ძალადობის პრევენციის პროგრამები უფრო განვითარებულია, ვიდრე ზრდასრულთა, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის პროგრამები.[113] ასევე აღმოჩნდა, რომ მეორეული პრევენცია ყველაზე ნაკლებად არის განსაზღვრული პრევენციის სხვა დონეებს შორის და მის ფარგლებში ყველაზე ნაკლები სერვისი და/ან ინტერვენციაა ხელმისაწვდომი.

სექსუალური ძალადობის პრევენციის კომპლექსური ამოცანისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შეზღუდული ოდენობის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევამ გამოავლინა და განიხილა პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის სამი ფართო კატეგორია:

1. პროგრამები ზრდასრულთა, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის;
2. პროგრამები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის;
3. პროგრამები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას.

სამივე მიმართულებით, აქცენტი გაკეთდება სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებზე და არ განიხილება იმ პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები, რომლებსაც ჯერ არ ჩაუდენიათ სექსუალური ძალადობა – კერძოდ, პირველადი პრევენციის პროგრამები და მეორეული პრევენციის ზოგიერთი პროგრამა.

2.1. პროგრამები ზრდასრულთა, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის

პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამები მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობის ყველა შემთხვევაში, თუმცა ნაკლებად არის ჩამოყალიბებული ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების კონტექსტში. არსებული კვლევებისა და პრაქტიკის უმეტესი ნაწილი ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირებს (იხ. სექციები 2.2 და 2.3), მაშინ, როცა ზრდასრულთა, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამები ნაკლებად არის განვითარებული. შედეგად, ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები ხშირად აწყდება წინააღმდეგობას სოციალურ წარმოდგენებსა და გენდერულ სტერეოტიპებზე დაყრდნობით და ყოველთვის არ არის ინტეგრირებული სექსუალურ დანაშაულთა პოლიტიკაში.[114] ბოლო წლებში, პროგრამათა შინაარსსა და განხორციელების ფორმატში არსებული რეგიონული და კულტურული განსხვავებების მიუხედავად, ნელ-ნელა შეინიშნება პრევენციული ინტერვენციის, მათ შორის, მკურნალობისა და რეინტეგრაციის პროგრამების განვითარება.[115]

კარგი პრაქტიკის მაგალითი

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს „სექსუალურ დამნაშავეთა მკურნალობის“ (SOTP) აკრედიტებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც, სექსუალურ ძალადობაში მსჯავრდებულებთან მომუშავე ყველა სპეციალისტი გადის შერჩევის კომპლექსურ პროცესს. ამას მოსდევს ტრენინგი, რომლის საფუძველზეც შეფასდება მათი ცოდნა, კომპეტენცია და უნარები. პირველ რიგში, ფასდება კანდიდატის შესაფერისობა ფასილიტატორის პოზიციისთვის (ფსიქომეტრიული შეფასებისა და ინტერვიუების მეშვეობით); შემდგომ, კანდიდატები გადიან მომზადებას იმ ძირითად უნარებში, რომლებიც აუცილებელია სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირებთან სამუშაოდ. საბოლოოდ, მათ უნდა გაიარონ სექსუალურ დამნაშავეთა მკურნალობის ძირითადი პროგრამა - მესამეული პრევენციის მთავარი პროგრამა სექსუალურ დანაშაულებში მსჯავრდებული ზრდასრული კაცებისთვის. თანამშრომლებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან მომზადებას, უფლება ექნებათ, ფასილიტაცია გაუწიონ სამკურნალო პროგრამას, მენეჯერის ან ამ მიზნით განსაზღვრული სპეციალისტის ზედამხედველობით.

113. European Commission. (2022). 2PS – Prevent & Protect Through Support. CORDIS. ხელმისაწვდომია: https://cordis.europa.eu/project/id/101073949
114. Uzieblo, K., Smid, W., & McCartan, K. (2022). At the crossroads: Future directions in sex offender treatment and management. Palgrave MacMillan.
Proulx, J., Cortoni, F., Craig, L. A., & Letourneau, E. J. (2020). The Wiley Handbook on What Works with Sexual Offenders: Contemporary Perspectives in Theory, Assessment, Treatment and Prevention. Wiley.
115. Frenken, J. (1999). Sexual offender treatment in Europe: An impression of cross-cultural differences. Sexual Abuse, 11(1), 87–93. https://doi.org/10.1177/107906329901100107
McCartan, K. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 13).

სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი მხარეებს ავალდებულებს, შექმნან ან მხარი დაუჭირონ სამკურნალო პროგრამებს სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ჩამდენ პირთათვის. ეს პროგრამები სპეციალურად უნდა შეიქმნას სექსუალურ ძალადობაში მსჯავრდებულ პირთა სამკურნალოდ, როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში, ისე მის გარეთ, განმეორებითი დანაშაულის მინიმუმამდე შესამცირებლად.[116] GREVIO-მ აღნიშნა, რომ ქვეყნების უმეტესობაში სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები, რომლებიც შეესაბამება კონვენციის მე-16 მუხლს, ძალიან იშვიათია.[117] ევროპაში არსებულ განსხვავებათა მიუხედავად, სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები ხშირად ეფუძნება სამედიცინო ან ფარმაკოლოგიურ მიდგომას, რაც GREVIO-ს შეშფოთებას იწვევს.[118] მის დასკვნებში ხაზგასმულია, რომ სექსუალური ძალადობა უნდა განიხილებოდეს არა როგორც დამნაშავის უუნარობა, აკონტროლოს სექსუალური სურვილები, არამედ როგორც ქალებსა და მათ სხეულებზე გენდერის ნიშნით ძალაუფლების განხორციელებისა და დომინაციის საშუალება, ქალთა მიმართ ნებისმიერი სხვა სახის ძალადობის მსგავსად.[119]

პრობაციის ევროპული კონფედერაციის ანგარიშის თანახმად, კვლევაში მონაწილე ოთხ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა მკურნალობის პროგრამები.[120] ქვეყნების 41.7%-ში ასეთი პროგრამები აკრედიტებული იყო და ეფუძნებოდა სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მართვის უწყებათაშორის მიდგომას (58.3%). მონაწილეთა უმეტესობამ განაცხადა, რომ მათ ქვეყნებში არ არსებობდა სექსუალური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა რეინტეგრაციის ალტერნატიული მიდგომის მაგალითები (54.2%). ზოგიერთი ქვეყანა იყენებს „მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეების“ მოდელს - ნებაყოფლობითი ინტერვენციის პროგრამას კაცებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს სექსუალური ძალადობა. პროგრამის ფარგლებში, მოხალისეთა მცირე ჯგუფები ხელს უწყობენ დამნაშავეთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში, ციხიდან გათავისუფლების შემდგომ.

„პრობაციის ევროპული კონფედერაციის“ ანგარიში ასევე აღწერს ზემოაღნიშნულ დასკვნებს, რომლებიც შეეხება ეროვნულ განსხვავებებს სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების განხორციელებაში.[121] მკურნალობის პროგრამებთან დაკავშირებით, ქვეყნების ნახევარზე მეტს ჰქონდა პროგრამა სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებული კაცებისთვის, როგორც ზრდასრულების (58%), ისე მოზარდებისთვის (54%). შედარებით ნაკლებ ქვეყანაში მოქმედებდა პროგრამები სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებული ქალი ზრდასრულების (33%), ქალი არასრულწლოვნების (8%), ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისა (12%) და სწავლის სირთულეების მქონე პირებისთვის (29%). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენ მსჯავრდებულთა უმრავლესობა კაცია, რითაც აიხსნება მეტი პროგრამის საჭიროება კაცი დამნაშავეებისთვის. თუმცა, პროგრამები უნდა არსებობდეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვისაც, ვინაიდან მათი საჭიროებები განსხვავდება.

კარგი პრაქტიკის მაგალითი

ესპანეთში სექსუალურ დამნაშავეთა კონტროლის პროგრამა (SOCP) ხორციელდება ციხეებში, სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის. ამ პროგრამას კარგი პრაქტიკის მაგალითად მიიჩნევენ გარე ექსპერტები, რომლებმაც საფუძვლიანად შეაფასეს პროგრამაც და მისი შედეგებიც, ასევე, გააანალიზეს მრავალფეროვანი რისკფაქტორები სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა სხვადასხვა ტიპისთვის.

განსხვავდება ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების ეფექტიანობაც. წინამდებარე კვლევამ ასევე მიმოიხილა ლიტერატურა, თუმცა მისი შედეგები არ არის ერთმნიშვნელოვანი, ვინაიდან სხვადასხვა პროგრამა განსხვავებულ ინსტრუმენტებსა და მიდგომებს იყენებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტებმა მთავარ გამოწვევად დაასახელეს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პროგრამათა ნაკლებობა სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის (55%). ეს შედეგი თანხვდება ფაქტს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობის (60%) ინფორმაციით, მათი პროგრამის შედეგები არ ფასდება.

ბუნდოვანია ინფორმაცია ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებში მომუშავე თანამშრომლების კომპეტენციებსა და მომზადებაზე. გამოკითხულთა თქმით, ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა თანამშრომელთა კომპეტენციების ნაკლებობა (35%) და სარეაბილიტაციო საქმიანობისთვის საჭირო ადამიანური რესურსების უკმარობა

116. ევროპის საბჭო. (2011a), op. cit. (შენიშვნა 2).
117. ევროპის საბჭო. (2022b), op. cit. (შენიშვნა 7; იხ. პუნქტი 197).
118. ევროპის საბჭო. (2018), op. cit. (შენიშვნა 35).
119. ევროპის საბჭო. (2018), op. cit. (შენიშვნა 35).
120. McCartan, K. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 13).
121. McCartan, K. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 13).

(35%). რესპონდენტთა უმრავლესობა თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს პროფესიულ მომზადებას (90%), ზედამხედველობასა (85%) და ჯგუფურ სესიებს (85%). „დამნაშავეთა პროგრამების ევროპული სტანდარტების“ მიხედვით, პროფესიონალთა რეგულარული მომზადება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.[122] შესაბამისად, თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სათანადო და უწყვეტი ტრენინგი, რათა აღიჭურვონ საჭირო უნარებითა და ცოდნით თავიანთი მოვალეობების უმაღლეს დონეზე შესასრულებლად.[123]

სამაგიდო კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას პროგრამებში გამოყენებულ მიდგომათა გენდერულ სენსიტიურობაზე. თუმცა, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა ნახევარი (50%) ინტერვენციებში იყენებდა გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას. ამ საკითხთან დაკავშირებულმა უფრო დეტალურმა კითხვებმა აჩვენა, რომ ძირითადად, ეს გამოიხატებოდა კაცი და ქალი დამნაშავეების ცალკე ჯგუფებად დაყოფით, ხოლო პროგრამის შინაარსი არ ეფუძნებოდა გენდერულ პერსპექტივას. სხვა რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გამოყენება გამოიხატებოდა აღიარებით, რომ ძალადობას, ძირითადად, კაცები სჩადიან, ან მიუთითეს სახელმძღვანელოებზე, რომლებიც გენდერულად სენსიტიურ მიდგომას ეფუძნება. ასეთმა მიდგომებმა შეიძლება უფრო კარგი საფუძველი შექმნას სექსუალური ძალადობის გენდერზე დაფუძნებული გაგების ინტეგრირებისთვის ამგვარი ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებში. უფრო ზოგადად, გამოკითხვის შედეგები მიუთითებს სერიოზულ სირთულეებზე დამნაშავეებთან გენდერულად მგრძნობიარე მიდგომით მუშაობაში. ეს ეხმიანება ტენდენციას, რომელიც გამოვლინდა ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების გენდერულად სენსიტიურობასთან მიმართებით.

გამოკითხვის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში სპეციალისტები იყენებენ რისკების შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, რაც სტანდარტიზაციის ნაკლებობაზე მიანიშნებს. მართლაც, რისკების შეფასების არსებული პროცედურები ხშირად კონკრეტულ ეროვნულ ან ადგილობრივ კონტექსტს შეესაბამება. ეს შეშფოთებას იწვევს, რადგან რისკების შეფასებას ცენტრალური როლი აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებში (75%), ასევე, ინდივიდუალური სამკურნალო პროგრამებისა (83%) და მართვის/ზედამხედველობის პროგრამების (87%) შემუშავებაში, რაც აღნიშნეს კიდეც პრობაციის ევროპული კონფედერაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე სპეციალისტებმა. ამავდროულად, წინამდებარე კვლევის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ შესწავლილ პროგრამათა მხოლოდ 30% აფასებს რისკებს უწყვეტად პროგრამის დასაწყისში, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ; 30% რისკებს ზომავს მხოლოდ პროგრამის დასაწყისში და დასრულებისას, ხოლო 35% - მხოლოდ დასაწყისში. ეს მიუთითებს, რომ პროგრამათა უმრავლესობაში რისკის დონე განიხილება სტატიკურ ფაქტორად, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებში რისკის კონცეპტუალიზაციის მსგავსად.

წინამდებარე კვლევაში ჩატარებული გამოკითხვის კიდევ ერთი შედეგია ის, რომ სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მკურნალობის პროგრამები ეფუძნება ზოგად ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო და კოგნიტურ-ქცევით მიდგომას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს რისკების მართვასა და ზიანის შემცირებაზე. ეს შეესაბამება პრობაციის ევროპული კონფედერაციის ანგარიშში გაკეთებულ დასკვნებს. სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მკურნალობისთვის გამოყენებული ძირითადი მიდგომები უმეტესად ეფუძნება ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ მოდელს: „კარგი ცხოვრების“ მოდელს (Good Lives Model) და/ან „რისკებსა და საჭიროებებზე რეაგირების“ მოდელს (Risk Need Responsivity Model), რომლებიც ხორციელდება ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პროგრამების მეშვეობით, კოგნიტურ-ქცევითი თერაპიის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამების ძირითადი შინაარსი მიმართულია დამნაშავეთა უარყოფითი იმპულსური და სექსუალური ქცევის დაძლევაზე, ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, ისინი კონცენტრირებულია მსხვერპლისადმი ემპათიის გაძლიერებაზეც. გარდა ამისა, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და პრაქტიკის კონტექსტში, შოტლანდიაში ხორციელდება სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის ინოვაციური პროექტი Thriving Survivors, რომელიც ეფუძნება მსხვერპლზე ორიენტირებულ პერსპექტივას. [124] ამასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სექსუალური ძალადობის კონტექსტში, „აღდგენითი მართლმსაჯულების ინტერვენციებში მონაწილეობა“ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

122. WWP EN [European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence]. (2023), op. cit. (შენიშვნა 6).
123. ევროპის საბჭო. (2021b), op. cit. (შენიშვნა 108).
124. Thriving Survivors. (2022). Restorative Justice National Service for Sexual Harm – Information. Thriving Survivors Ltd. ხელმისაწვდომია: www.thrivingsurvivors.co.uk/_files/ugd/b7bff6_1c43ea7a343d4acf89f73828fdf1354c.pdf

თუ ეს ხელმისაწვდომია და მიზანშეწონილია. [125] გარდა ამისა, სტამბოლის კონვენციის 48-ე მუხლი კრძალავს დავის გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიულ პროცესებს, მათ შორის, მედიაციასა და შერიგებას, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან მიმართებით.

რეკომენდაციები ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შექმნისა და განხორციელებისათვის

ზრდასრულთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილმა პროგრამებმა პრიორიტეტად უნდა დაისახონ მსხვერპლთა უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები და კეთილდღეობა საქმიანობის ყველა ეტაპზე. იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ძირეული მიზეზია გენდერული უთანასწორობა, ასევე, წარმოდგენები კაცების ძალაუფლებისა და უპირატესობის შესახებ, ეს პროგრამები აქტიურად უნდა დაუპირისპირდნენ რწმენებს, რომლებიც ამართლებს კაცების ძალადობას ქალთა მიმართ. მათი როლი კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამნაშავეთა მხარდაჭერაში, რომ კარგად გააცნობიერონ საკუთარი ქმედებების შედეგები და აიღონ პასუხისმგებლობა.

ასეთმა პროგრამებმა ყურადღება უნდა გაამახვილოს როგორც წარსულ ფაქტორებზე (მაგ: დისფუნქციური მიჯაჭვულობა, ძალადობის გამოცდილება და სოციალიზაცია), ისე თანამედროვე ფაქტორებზე სექსუალურ დანაშაულთან დაკავშირებით (ქცევის მოდიფიცირება არასათანადო სექსუალური აღგზნების სამართავად). გარდა ამისა, პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს სამომავლო ფაქტორებსაც, რომლებიც მოიცავს განმეორებითი დანაშაულის პრევენციის უნარების განვითარებას; ასევე, იყენებდეს ინდივიდზე მორგებულ, ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც დაიცავს ბალანსს სექსუალური ძალადობის კონტექსტთან დაკავშირებულ და ზოგად კრიმინოლოგიურ მასალას შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროგრამებმა მოიცვას თანხმობის, სექსუალური ავტონომიისა და პირადი ხელშეუხებლობის საკითხები. არსებითია ინტერვენციების ინტეგრაცია ინტერნეტსივრცესა და რეალურ გარემოში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგაც.

აუცილებელია მონიტორინგი და რისკების უწყვეტი შეფასება, ასევე, ზოგადი კრიმინოლოგიური რისკებისა და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკების გამოვლენა. პროგრამები უნდა მოერგოს და პასუხობდეს ინდივიდუალურ საჭიროებებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნეირომრავალფეროვნებისა და სხვა დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით, რაც სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, ინდივიდებთან იმუშაონ მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით. მონაწილეობა უნდა იყოს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პერსონალი სათანადოდ უნდა მომზადდეს, მუდმივად ივითარებდეს კომპეტენციებს და გადიოდეს რეგულარულ ზედამხედველობას.

უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სხვა შესაბამის სტრუქტურებთან, კოორდინირებული საზოგადოებრივი რეაგირება კი პროგრამების განუყოფელი ელემენტი უნდა იყოს.

პროგრამები რეგულარულად უნდა აფასებდნენ თავიანთ მუშაობას, ეფექტიანობისა და სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად. შეფასება ყურადღებას უნდა ამახვილებდეს პროგრამის შედეგებზე, რომლებიც სცდება დანაშაულის განმეორებითი ჩადენის მაჩვენებელს და მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა რწმენების ცვლილება, მოტივაცია ქცევისა და დამოკიდებულებების შესაცვლელად, გაზრდილი ემპათია და სხვა. პროგრამები უნდა ემყარებოდეს თეორიასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შედეგებს.

125. ევროპის საბჭო. (2021b), op. cit. (შენიშვნა 108).

2.2. პროგრამები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები საჭიროებს სპეციფიკურ გარანტიებს. ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (ლანსაროტის კონვენცია), რომელიც რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, ასევე, რუსეთის ფედერაციასა და ტუნისს, აწესებს ვალდებულებებს იმ პირთა საინტერვენციო პროგრამებსა და ღონისძიებებთან მიმართებით, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან სექსუალური ძალადობისა და სხვა დანაშაულებისთვის, ან რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მსგავსი ბრალდებებით (მუხლი 15 და 16). ლანსაროტის კონვენცია ასევე ითხოვს, რომ მხარეებმა შექმნან პრევენციული ინტერვენციის პროგრამები იმ პირებისთვის, რომლებიც შიშობენ, რომ შეიძლება ჩაიდინონ ზემოაღნიშნული დანაშაულები (მუხლი 7).

ლანსაროტის კონვენციის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი ბავშვზე სექსუალურ ძალადობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის.“ მე-18 მუხლის მეორე პუნქტით ასევე კრიმინალიზებულია ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება „იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით“, ან „ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით.“ კონვენციის განმარტებითი ანგარიშის თანახმად, ამ დანაშაულთა შემადგენელი ნიშნები უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით.[126] საქმეზე M.C. ბულგარეთის წინააღმდეგ მიღებულ განაჩენში, სასამართლომ აღიარა სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულება, კრიმინალიზებული იყოს და ეფექტიანი სამართლებრივი დევნა განხორციელდეს „თანხმობის გარეშე ჩადენილ ნებისმიერ სექსუალურ აქტზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მსხვერპლი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევს.“[127]

მე-18 მუხლზე დამატებით, ლანსაროტის კონვენცია ითხოვს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის სხვა კონკრეტული ფორმების კრიმინალიზაციასაც, როგორიცაა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით და სხვა. [128]

მნიშვნელოვანია, რომ ლანსაროტის კონვენციის მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები ადგენს კონკრეტულ ვალდებულებებს იმ პირთა საინტერვენციო პროგრამებსა თუ ღონისძიებებთან მიმართებით, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისთვის, ან რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლისსამართლებრივი გამოძიება ამ დანაშაულის გამო.

მუხლი 15 – ზოგადი პრინციპები

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს ეფექტიანი საინტერვენციო პროგრამებისა ან ღონისძიებების არსებობას იმ პირებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია მე-16 მუხლის 1–ლ და მე–2 პუნქტებში, რათა შემცირდეს ბავშვების მიმართ განმეორებითი სექსუალური ხასიათის დანაშაულის რისკი. ამგვარი პროგრამები ან ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალწარმოების პროცესში ნებისმიერ დროს, ციხეში თუ ციხის გარეთ, შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს პარტნიორობის ან თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარებას ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის, კერძოდ კი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სამსახურებს, სასამართლო ხელისუფლებასა და სხვა ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხს აგებენ მე-16 მუხლის 1–ლ და მე–2 პუნქტებში განსაზღვრულ პირებზე.

3. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გაითვალისწინებს კონვენციის თანახმად დადგენილ დანაშაულთა საშიშროებასა და განმეორებითი ჩადენის რისკის შეფასებას იმ პირთა მიერ, რომლებიც მე-16 მუხლის 1–ლ და მე–2 პუნქტებშია განსაზღვრული, რათა განსაზღვროს სათანადო პროგრამები და ღონისძიებები.

126. ევროპის საბჭო. (2007). Explanatory Report to the Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800d3832 (იხ. პუნქტი 121).
127. ევროპის საბჭო. (2003). European Court of Human Rights, M.C. v. Bulgaria, Appl. No. 39272/98. ხელმისაწვდომია: www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/resources/M.C.v.BULGARIA_en.asp (იხ. პუნქტი 166).
128. E.g. child sexual exploitation in prostitution (“child prostitution”) and the producing, offering, distribution, procuring, possessing and knowingly obtaining access to child sexual abuse materials (“child pornography”), the corruption of children, the solicitation of children for sexual purposes (“grooming”).

4. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, შეაფასებს განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების ეფექტიანობას

მუხლი 16 – ინტერვენციის პროგრამებისა და ღონისძიებების მონაწილენი

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც განხორციელდა სისხლის სამართალწარმოება ამ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის, ხელმისაწვდომი იყოს მე–15 მუხლის 1–ლ პუნქტში აღნიშნული პროგრამები ან ღონისძიებები იმ პირობებით, რომ არც ზიანს მიაყენებს და არც წინააღმდეგობაში მოვა დაცვის უფლებებთან, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნებთან და ჯეროვან პატივს მიაგებს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპის წესს.

2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირთათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ამ კონვენციით დადგენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის, ხელმისაწვდომი იყოს მე–15 მუხლის 1–ლ პუნქტში აღნიშნული პროგრამები ან ღონისძიებები.

3. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ საინტერვენციო პროგრამები და ღონისძიებები შექმნილი და ადაპტირებული იქნება სექსუალური დანაშაულის ჩამდენ ბავშვთა განვითარების საჭიროებებთან, იმ ბავშვების ჩათვლით, რომელთაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ, მათი სექსუალური ქცევის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 17 – ინფორმაცია და ნებართვა

1. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ მე-16 მუხლში განსაზღვრული პირები, რომელთაც შესთავაზეს ინტერვენციის პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, სრულად ფლობდნენ ინფორმაციას ამგვარი შეთავაზების მიზეზებზე და ეთანხმებოდნენ ამ პროგრამებსა ან ღონისძიებებში მონაწილეობას ფაქტების სრულად ცოდნით.

2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმ პირებმა, რომელთაც შესთავაზეს ინტერვენციის პროგრამები და ღონისძიებები, შესაძლებელია უარი თქვან მათზე, ხოლო მსჯავრდებულთა შემთხვევაში, მათ აუხსნეს იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს მათ უარს.

გარდა ამისა, ლანსაროტის კონვენციის მე-7 მუხლი კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს პრევენციული ინტერვენციის პროგრამებთან დაკავშირებით. ეს დებულება მხარეებს ავალდებულებს, რომ „პირებს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ მათ შესაძლოა ჩაიდინონ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, საჭიროების შემთხვევაში, მიეცეთ ინტერვენციის ეფექტური პროგრამებით ან ღონისძიებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომელთა მიზანია დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება და პრევენცია."

მსგავსად, ევროკავშირის დირექტივა ბავშვთა სექსუალურ ძალადობასთან, სექსუალურ ექსპლუატაციასა და პორნოგრაფიასთან ბრძოლის შესახებ (2011/93/EU) წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ინვესტირებას პრევენციული ინტერვენციის პროგრამებში, იმ პირებისთვის, რომლებიც შიშობენ, რომ შესაძლოა ჩაიდინონ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაული. [129] დირექტივა ასევე ითხოვს ზომების მიღებას, რათა ინტერვენციის პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებშიც და მის გარეთაც, კერძოდ, იმ პირებისათვის, რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლისსამართლებრივი დევნა სექსუალური ძალადობის გამო, ან რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ამავე დანაშაულისთვის, განმეორებითი დანაშაულის ასაცილებლად.[130] ევროკომისიის ერთობლივმა კვლევითმა ცენტრმა ძალისხმევა გაიღო მსგავსი პროგრამების ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად, ასევე, ინფორმაციის შესასწავლად და გასავრცელებლად დამნაშავეთა პრევენციული ინიციატივების შესახებ.[131]

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები ერთმანეთისგან განსხვავდება სხვადასხვა ასპექტის მიხედვით,

129. European Union. (2011). Directive 2011/93/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on combating the sexual abuse and sexual exploitation of children and child pornography, and replacing Council Framework Decision 2004/68/JHA. Official Journal of the European Union. ხელმისაწვდომია: http://data.europa.eu/eli/dir/2011/93/oj (იხ. მუხლი 22).
130. ევროპის საბჭო. (1989). CCPR General Comment No. 17: Article 24 (Rights of the child) adopted at the Thirty-fifth session of the Human Rights Committee. ხელმისაწვდომია: www.refworld.org/pdfid/45139b464.pdf
131. Di Gioia, R., & Beslay, L. (2023). Help seeker and Perpetrator Prevention Initiatives – Child Sexual Abuse and Exploitation. European Commission, Joint Research Centre. ხელმისაწვდომია: https://data.europa.eu/doi/10.2760/600662
Di Gioia, R., & Beslay, L. (2018). Fighting child sexual abuse: prevention policies for offenders. European Commission, Joint Research Centre. ხელმისაწვდომია: https://data.europa.eu/doi/10.2760/48791
Di Gioia, R. et al. (2022), op. cit. (შენიშვნა 112).

როგორიცაა: სერვისის მიმწოდებლის ტიპი (სახელმწიფო სააგენტოები ან არასამთავრობო ორგანიზაციები), პრევენციის დონე (პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული), სამიზნე პოპულაცია (ზრდასრულები ან ბავშვები, რომლებიც სექსუალურ დანაშაულს სჩადიან) და ძირითადი მეთოდოლოგიური მახასიათებლები (მიდგომა, ხანგრძლივობა, ფორმატი). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პირველადი პრევენციის რამდენიმე პროგრამა, წინამდებარე სექცია ყურადღებას ამახვილებს მეორეული და მესამეული პრევენციის პროგრამებზე.

ამას გარდა, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი პროგრამები რაოდენობრივად ჩამოუვარდება ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს. სავალდებულო პროგრამებში მოხვედრის გზები, ძირითადად, მოიცავს სასამართლო განჩინებებს (67%), რასაც კვლევისთვის ჩატარებული გამოკითხვაც ადასტურებს. სავალდებულო პროგრამებს ხშირად ესწრებიან პრობაციული ზომების ფარგლებშიც (52%), ან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა გადამისამართებით (43%). შედარებითი იშვიათია რეფერირება პოლიციის და/ან სოციალური სამსახურის მხრიდან (19%). კვლევას არ გამოუვლენია გადამისამართების შემთხვევები მსხვერპლთა მხარდამჭერი სამსახურების, ბავშვთა დაცვის სამსახურების, ან ალკოჰოლსა და ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სამსახურების მხრიდან.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების კიდევ ერთი გამოწვევაა მათი მუშაობის სათანადოდ შეფასება. ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა, რომ მართალია, კვლევების უმეტესობაში მოხსენიებულია შეფასების გარკვეული მექანიზმი, თუმცა ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება კომპლექსურობისა და ადეკვატურობის თვალსაზრისით. აკადემიურ კვლევებში შეფასება, როგორც წესი, რაოდენობრივია და ტარდება ვალიდური ტესტების გამოყენებით. ზოგიერთ კვლევაში გათვალისწინებულია დამატებითი მაჩვენებლები ემოციურ რეგულაციასა და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა ხშირად ვიწრო ფოკუსი კეთდება დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე, როგორც საკვანძო ინდიკატორზე, ან მომხმარებელთა პროგრამით კმაყოფილების დონეზე, როგორც ხარისხის გარანტიაზე. პროგრამის მიმწოდებელთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ უმრავლესობა საერთოდ არ აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს (57%), ხოლო ვინც აკეთებს ამას, თავის შეფასებას, ძირითადად, აფუძნებს პროგრამით კმაყოფილების ან თვითშეფასების კითხვარებს, რომლებსაც ავსებენ მომხმარებლები. შეფასება შესაძლოა ეფუძნებოდეს სპეციალისტთა მოსაზრებებსაც მომხმარებელთა მიერ მიღწეულ პროგრესზე. და ბოლოს, გამოკითხვის შედეგების მიხედვით (62%), კიდევ ერთი საკვანძო გამოწვევაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამების ნაკლებობა სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაერთ შემთხვევაში, წარმატება განისაზღვრება პროგრამის დასრულების მაჩვენებლით, და არა ქცევის ან დამოკიდებულების ცვლილებით. როგორც სხვა პრევენციული ინტერვენციების შემთხვევაში, ამ პროგრამებსაც უჭირთ ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კუთხით მიღწეული შედეგების დაფიქსირება.

კარგი პრაქტიკის მაგალითი

ევროკომისიის ერთობლივმა კვლევითმა ცენტრმა შეიმუშავა კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომელთა მიზანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების აღრიცხვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და მათი ხარისხის გაანალიზება. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს პრევენციის პლატფორმის შექმნასაც, რათა წევრ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაეხმაროს მსგავსი პროგრამების განხორციელებაში.

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ Lucy Faithfull Foundation (LFF) შეიმუშავა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის ინსტრუმენტთა ნაკრები (toolkit), რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, LFF-მა შექმნა მონაცემთა ბაზა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შესახებ, სადაც პროგრამები კატეგორიზებულია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით (სამიზნე ჯგუფი, სახელმწიფო ენა, შეფასება, განხორციელების ფორმატი და სხვა).

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს ახორციელებენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. რთულია ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და კომპეტენციების დონის განსაზღვრა, რადგან პროგრამები საკმაოდ მრავალფეროვანია, ლიტერატურულ მიმოხილვაში მითითებული ხელმისაწვდომი კვლევები კი არ შეიცავს ინფორმაციას ამის შესახებ. ამავდროულად, აღნიშნული პროგრამების

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი, რაც შესწავლილ პროგრამათა 43%-ში აღინიშნა. შესაბამისად, ადამიანური რესურსების სიმწირე საკვანძო პრობლემად რჩება. გამოკითხულ ორგანიზაციათა უმეტესობამ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფენ თანამშრომლებს პროფესიული მომზადებით (95%), აორგანიზებენ ჯგუფურ სესიებს და პერსონალი გადის ზედამხედველობას (90%).

რისკის შესაფასებელი ინსტრუმენტების გამოყენება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აკადემიური ლიტერატურა ხშირად არ შეიცავს ინფორმაციას ასეთ ინსტრუმენტებსა ან მათი გამოყენების სიხშირეზე. ასევე არ არსებობს დეტალური ინფორმაცია შესაძლო განსხვავებებზე კაც და ქალ დამნაშავეთა რისკის შეფასებებს შორის. ამ კვლევაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ თითქმის ყველა ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის, იყენებს რისკის შეფასების ინსტრუმენტებს (95%), თუმცა ამ ინსტრუმენტთა ტიპები განსხვავდება პროგრამების მიხედვით. მათგან მარტო ნახევარი აფასებს რისკს მხოლოდ პროგრამაში ჩართვის ეტაპზე (48%), რაც, მიუთითებს ხარვეზებზე რისკების დინამიკურ შეფასებაში. მეორე ნახევარი ასეთ შეფასებას ატარებს პროგრამაში ჩართვისას და მისი დასრულების შემდეგ (24%), ან, რაც კარგი პრაქტიკაა, სამივე ეტაპზე (29%): პროგრამაში ჩართვისას, პროგრამის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები მოიცავს სხვადასხვა ინტერვენციას, იმის მიხედვით, რა მიზანს ემსახურება – მეორეულ პრევენციას, თუ მესამეულს. მეორეული პრევენციის პროგრამათა სამიზნე ჯგუფს ქმნიან ინდივიდები, რომლებიც შიშობენ, რომ შეიძლება ჩაიდინონ ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა, ან რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლისსამართლებრივი გამოძიება ასეთი ძალადობის ბრალდებით. სამიზნე ჯგუფის შერჩევა დამოკიდებულია მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოებზე. ლიტერატურის მიმოხილვისა და ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ მეორეული პრევენციის პროგრამების უმეტესობა ითვალისწინებს თვითმიმართვას: მაგალითად, არსებობს ვებსაიტები, სადაც ინდივიდებს შეუძლიათ, დამოუკიდებლად გაიარონ ონლაინმოდულები.[132] ეს პროგრამები, როგორც წესი, ანონიმურია, ნაწილს კი აქვს ფორუმის ფუნქცია, სადაც მონაწილეებს ეძლევათ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მეორეული პრევენციის ზოგიერთი პროგრამა ითვალისწინებს ცხელი ხაზის მომსახურებას, ზოგი კი სთავაზობს დამატებით სერვისებსაც, როგორიცაა თვითდახმარების მასალების, ასევე, ინდივიდუალური და/ან ჯგუფური სესიების მიწოდება პირველადი კონტაქტის შემდეგ.

კარგი პრაქტიკის მაგალითი

შვედეთში „ურთიერთობებისა და თანაცხოვრების პროგრამა“ (ROS) მიეწოდება როგორც ციხეებში, ისე მსჯავრდებულთა ღია ზრუნვის დაწესებულებებში. მისი მიზანია, განავითაროს ძალადობის ჩამდენ პირთა ემპათიის განცდის, ასევე, ემოციებისა და ურთიერთობების მართვის უნარები. პროგრამა მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ სესიებს. არსებობს ROS-ის ბავშვზე მორგებული ვერსიაც – იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას.

„მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეები“ შეიქმნა კანადაში, შუა 1990-იან წლებში, როგორც საზოგადოებაში ინტეგრაციის პროექტი საშუალო და მაღალი რისკის პირებისთვის, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სექსუალური დანაშაულისათვის. მას შემდეგ, პროგრამა არაერთხელ შეფასდა მსოფლიოს მასშტაბით და ამჟამად 10-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. ევროკავშირი მას მიიჩნევს კარგი პრაქტიკის მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ CoSA შემუშავდა მესამე დონის ინტერვენციის პროგრამად, ხშირად ის მეოთხეული ინტერვენციის კატეგორიაში მოიაზრება.

მესამეული პრევენციის პროგრამები განკუთვნილია სისხლის სამართლის დანაშაულზე მსჯავრდებულთათვის და მოიცავს როგორც პენიტენციურ, ისე საზოგადოებრივ ინტერვენციებს, ინდივიდუალური და/ან ჯგუფური სესიების მეშვეობით. ამ პროგრამათა უმეტესობა ითვალისწინებს ინდივიდუალურ სესიებს (42.4%),

132. Examples of specific online modules are: ReDirection programme (www.mielenterveystalo.fi/en/self-help/redirection-self-help-program-stop-using-csam); Troubled-desire programme (https://troubled-desire.com/en/); Project Bridge (www.iterapi.se/sites/bridge/#).

ნაწილი კი მოიცავს ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს (27%). მხოლოდ ჯგუფურ სესიებს ითვალისწინებს პროგრამათა 24%. შედარებით ნაკლები რაოდენობის პროგრამები აორგანიზებს არაფორმალურ და არათერაპიულ ჯგუფურ შეხვედრებს, მაგალითად, „მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეების“ გამოყენებით (3%). აღსანიშნავია, რომ მესამეული პრევენციის ერთ-ერთი პროგრამა ეფუძნება ვებპლატფორმას, ხოლო ორი მათგანი ონლაინაპლიკაციებით უწევს მონიტორინგს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა ელექტრონულ მოწყობილობებს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სექსუალურექსპლუატაციას.

ამ პროგრამების ხანგრძლივობა შეიძლება რამდენიმე კვირიდან უვადოდ გრძელდებოდეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია ყველა რესპონდენტს, რაც ამ კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვაა.

რაც შეეხება პროგრამების შინაარსსა თუ გამოყენებულ მოდელს, მეორეული და მესამეული პრევენციის პროგრამათა უმრავლესობა ეფუძნება კოგნიტურ-ქცევით თერაპიას, ან მის კომბინაციას სხვა თერაპიული ოთხედი (24%) მიემართება მხოლოდ ზრდასრულ კაცებს. ამავდროულად, რისკების შეფასების ინსტრუმენტებში განსხვავება კაცებსა და ქალებს შორის არ იკვეთება. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებში დასაქმებულ თანამშრომელთა ნახევარზე მეტმა (52%) განაცხადა, რომ ისინი თავიანთ ინტერვენციებში არ იყენებენ გენდერულად სპეციფიკურ მიდგომას.

პროგრამათა ძალიან მცირე ნაწილი (5%-ზე ნაკლები) მორგებულია პირებზე, რომლებსაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები. გარდა ამისა, შესწავლილთაგან რამდენიმე მიეკუთვნება სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა ზოგად პროგრამებს, რომლებიც იღებენ ბავშვთა მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირებსაც, თუმცა უცნობია, ითვალისწინებს თუ არა ეს მიდგომა მსხვერპლის ასაკობრივ თავისებურებებს. გარდა ამისა, ზოგჯერ ბუნდოვანია, აორგანიზებენ თუ არა მეორეული და მესამეული პრევენციის პროგრამები ერთობლივ სესიებს პირებისთვის, რომლებსაც ჯერ არ ჩაუდენიათ დანაშაული და რომლებიც უკვე მსჯავრდებულნი არიან. კვლევები ხაზს უსვამს განსხვავებული მიდგომების საჭიროებას ამ ჯგუფებისთვის. ასეთი მიდგომების არარსებობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პირებზე, რომლებსაც დანაშაული ჯერ არ ჩაუდენიათ. აღნიშნულ ჯგუფს მეტ სარგებელს მოუტანს პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მათი ზოგადი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, მაშინ, როცა მსჯავრდებულ პირებს უფრო ინტენსიური მკურნალობა ესაჭიროებათ. კვლევამ აჩვენა, რომ მაგალითად, Dunkelfeld-ის პრევენციის პროექტში (გერმანიაში მოქმედი პრევენციისა და მკურნალობის პროგრამა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენის რისკის მქონე პირებისთვის), „პირები დანაშაულის ჩადენის ისტორიით უფრო განსხვავებულად რეაგირებდნენ მკურნალობაზე, ვიდრე ადამიანები, რომლებსაც ასეთი ისტორია არ ჰქონდათ; ანუ, ჯგუფური მკურნალობის შედეგი ყველაზე თვალსაჩინო იყო დანაშაულებრივი ისტორიის მქონე პირთა შემთხვევაში, ხოლო ასეთი ისტორიის არმქონე ადამიანებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოკვეთილა.“[133] აღინიშნა ისიც, რომ Dunkelfeld-ის პროექტში გარკვეული შესწორებები შევიდა, რათა შემცირებულიყო იმ პირთა ერთ ჯგუფში მოთავსების უარყოფითი შედგები, რომლებსაც ჰქონდათ ან არ ჰქონდათ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების მოხმარების გამოცდილება.[134]

133. Stephens, S., Elchuk, D., Davidson, M., & Williams, S. (2022). A Review of Childhood Sexual Abuse Perpetration Prevention Programs. Current Psychiatry Reports, 24(11), 679–685. https://doi.org/10.1007/s11920-022-01375-8
134. Ibid.

რეკომენდაციები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების შექმნისა და განხორციელებისათვის:

ასეთი პროგრამები პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს ბავშვის უფლებებსა და კეთილდღეობას და ემყარებოდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. პროგრამები უნდა მოერგოს დამნაშავეთა სხვადასხვა პროფილს და დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის თავისებურებებს.

აღნიშნული პროგრამები რისკს უნდა აღიქვამდეს დინამიკურ ფაქტორად, რომელიც უნდა შეფასდეს და იმართებოდეს მთელი პროგრამის განმავლობაში. უნდა გამოვლინდეს სხვადასხვა ტიპის დამნაშავეებთან დაკავშირებული განსხვავებული რისკები, რისკის შეფასების ინსტრუმენტები კი მოერგოს ამ განსხვავებებს.[135] დამნაშავის სქესი, ასაკი, დანაშაულის ტიპი და მსხვერპლთან ურთიერთობის ფორმა მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გასათვალისწინებელია რისკის შეფასებისას.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

პროგრამები მგრძნობიარე უნდა იყოს გენდერისა და ასაკის მიმართ და უპირისპირდებოდეს გენდერსა და ასაკთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებს, ბავშვზე სექსუალური ძალადობის კონტექსტში: მაგალითად, ითვალისწინებდეს ბავშვებთან დაკავშირებულ უარყოფით წარმოდგენებს (როგორიცაა მათი განხილვა ინდივიდებად, რომელთაც არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების უნარი ან უფლებები), ასევე, გენდერული სტერეოტიპების გავლენას სექსუალური ძალადობის რისკებზე. პროგრამები ასევე უნდა იყენებდეს ინტერსექციურ მიდგომას (მაგ: მგრძნობიარე მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობისადმი). მათ უნდა ახორციელებდნენ მომზადებული და კომპეტენტური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ ცოდნა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ და შეუძლიათ მორგებული ინტერვენციის განხორციელება.

პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს საკუთარი საქმიანობის თანმიმდევრულ შეფასებას და მოიცავდეს გრძელვადიან მონიტორინგს. შეფასება არ უნდა შემოიფარგლებოდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებლებით და უნდა მოიცავდეს სხვა ასპექტებსაც, როგორიცაა ცხოვრების ხარისხი, აზროვნების პროცესები და მსხვერპლის მიმართ ემპათია. და ბოლოს, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეგროვდეს პროგრამის მომხმარებლების, მათი ოჯახის წევრებისა და მსხვერპლი ბავშვების უკუკავშირი. პროგრამები აუცილებლად უნდა ემყარებოდეს თეორიასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შედეგებს.

135. ასევე, იხ. რეკომენდაციები, რომლებიც მოამზადა ერთობლივმა კვლევითმა ცენტრმა, Di Gioia, R. & Beslay, L. (2018), op. cit. (შენიშვნა 131).

2.3. პროგრამები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას

როდესაც ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას სჩადიან სხვა ბავშვები, აუცილებელია დამატებითი დამცავი ზომების მიღება ინტერვენციული პროგრამების შემუშავებისას, რომლებიც მოერგება მათ ასაკსა და საჭიროებებს. ლანსაროტის კონვენციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი თითოეულ მხარეს ავალდებულებს, „შემუშავებულ ან ადაპტირებულ იქნეს ინტერვენციის პროგრამები ან ზომები იმ ბავშვთა განვითარების საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, რომლებიც სჩადიან სექსუალურ დანაშაულებს, იმ ბავშვების ჩათვლით, რომელთა ასაკიც ჯერ არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც მათ სექსუალურ ქცევაში არსებული პრობლემების გამოსწორებას ემსახურება."

საზიანო სექსუალური ქცევა

სანდო კვლევები ბავშვებისა და ახალგაზრდების საზიანო სექსუალური ქცევის გავრცელების შესახებ მწირია, თუმცა ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა მმართველი კომიტეტისა (CDENF) და ბავშვებზე ძალადობასთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფის (CDENF-GT-VAE) ერთ-ერთ პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ სექსუალურ ძალადობათა, დაახლოებით, მეოთხედს ან მესამედს სჩადიან თავად ბავშვები (18 წლამდე ასაკის პირები). [136] პუბლიკაციაში განმარტებულია, რომ „საზიანო სექსუალური ქცევა" მოიცავს ბავშვის მიერ გამოვლენილ ფართო სპექტრის ქცევებს, რომლებიც „არ შეესაბამება განვითარების დონეს და შესაძლოა საზიანო იყოს საკუთარი თავის ან სხვებისათვის და/ან ძალადობრივი აღმოჩნდეს სხვა ბავშვის, ახალგაზრდის ან ზრდასრულის მიმართ." ამასთან, ტერმინი „საზიანო სექსუალური ქცევა" არ შემოიფარგლება მხოლოდ უკანონო ქმედებებით და „მოიცავს იმ შესაძლებლობასაც, რომ ბავშვის სექსუალური ქცევით წარმოშობილი ზიანი მიმართული იყოს როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების წინააღმდეგ."[137]

ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სექსუალური დანაშაულები ან საზიანო სექსუალური ქცევა[138] განსხვავდება ზრდასრულთა დანაშაულებისგან.[139] კვლევები მიუთითებს, რომ საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება აღენიშნებოდეს სწავლის სირთულეებიც, ან წარსულში გადატანილი ჰქონდეს ტრავმა, მათ შორის, (სექსუალური) ძალადობა ან უგულებელყოფა; ასევე, გამოუვლინდეს სხვა ემოციური, ქცევითი და თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეები. [140] თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას, ზრდასრულ ასაკში აღარ სჩადიან სექსუალურ ძალადობას.[141] თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ დის/ძმის მიმართ სექსუალური ძალადობა ბავშვებისა და ახალგაზრდების საზიანო სექსუალური ქცევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა და ბევრი მათგანი ბავშვობაში თავად იყო ძალადობის მსხვერპლი.[142] გარდა ამისა, ბავშვთა უმეტესობისთვის სექსუალური ქცევა შეიძლება არ ასახავდეს ინდივიდუალურ პათოლოგიას და იყოს ძალადობრივი კულტურული ნორმების შედეგი.[143] ამიტომ, აუცილებელია აღიარება, რომ კონტექსტს და წარსულში გადატანილ ძალადობას მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვთა მიერ საზიანო სექსუალური ქცევის გამოვლენაში.

საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს ზრდასრულ დამნაშავეთაგან განსხვავებულად ეპყრობიან ინტერვენციული სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებისას. სექსუალური ქცევის გასააზრებლად, ყველაზე ხშირად გამოიყენება ჩარჩო, რომელიც ბავშვებისა და ახალგაზრდების ამგვარ ქცევას განიხილავს სექსუალური აქტივობის კონტინუუმის ნაწილად.[144] ზოგიერთის აზრით, სექსუალური და სექსუალიზებული ქცევა ბავშვის განვითარების ნორმალური ნაწილია[145] და პრობლემატური ხდება მაშინ, როდესაც აღწევს ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ზღვარს (კონტინუუმის უკიდურეს წერტილს). ამავდროულად, ასეთი

136. Hackett, S. (2020). Sexual violence and harmful sexual behaviour displayed by children: Nature, causes, consequences and responses. ევროპის საბჭო. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/09000016809eb593
137. Ibid.
138. National Institute for Health and Care Excellence. (2016). Harmful sexual behaviour among children and young people. NICE. ხელმისაწვდომია: www.nice.org.uk/guidance/NG55
139. National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2021). Harmful sexual behaviour: statistics briefing. NSPCC. ხელმისაწვდომია: https://learning.nspcc.org.uk/research-resources/statistics-briefings/harmful-sexual-behaviour-hsb
140. National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2021), op. cit. (შენიშვნა 139).
141. National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2021), op. cit. (შენიშვნა 139).
142. King-Hill, S., McCartan, K. F., & Gilsmann, A. (2023). Understanding and Responding to Sibling Sexual Abuse. Palgrave MacMillan.
143. Hackett, S. (2020), op. cit. (შენიშვნა 136).
144. Hackett, S. (2010). Children and young people with harmful sexual behaviours. In Barter, C. & Berridge, D. (eds.), Children Behaving Badly? Peer Violence between Children and Young People. Wiley-Blackwell.
145. National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2023). Harmful sexual behaviour. NSPCC. ხელმისაწვდომია: https://learning.nspcc.org.uk/child-abuse-and-neglect/harmful-sexual-behaviour

ქცევა შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს თვითონ იმ ბავშვთა განვითარებისთვის, რომლებიც ავლენენ მას, მაშინაც კი, როცა არ აღწევს სხვათა მიმართ ძალადობის ზღვარს. ზემოთ აღწერილი სექსუალური აქტივობის კონტინუმი შეიძლება გამოიყენებოდეს პრევენციის ოთხივე დონეზე (პირველადი, მეორეული, მესამეული და მეოთხეული პრევენცია) და მოიცავდეს სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომას, ყოვლისმომცველი მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს ინტერვენციის სხვადასხვა დონეს: ინდივიდუალურს, ურთიერთობითსა და საზოგადოებრივს. ეს მოდელი ითვალისწინებს ინდივიდუალურ, ურთიერთობით, საზოგადოებრივ და სოციალურ ფაქტორთა კომპლექსურ ურთიერთქმედებას და იძლევა იმ ფაქტორების გააზრების საშუალებას, რომლებიც ზრდის ან ამცირებს ძალადობის რისკს. ამის ერთ-ერთი მაგალითია გაერთიანებულ სამეფოში გამოყენებული ინსტრუმენტი Brook Trafficking Light Tool, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ მეორეულ პრევენციას საზიანო სექსუალური ქცევის აღსაკვეთად, არამედ მესამეულ პრევენციასაც.[146] კიდევ ერთი მაგალითია „კონტექსტური დაცვა“, რაც მოიცავს მუშაობას ახალგაზრდებთან, მათ ოჯახებსა და თემებთან, სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებისათვის და ხელახალი ძალადობის ალბათობის შესამცირებლად.[147] კონტექსტური დაცვა აერთიანებს მესამეულ და მეოთხეულ პრევენციას და ეფუძნება სოციალურ-ეკოლოგიურ მიდგომას.

ზრდასრულთა პროგრამების მსგავსად, საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მიმართ უმეტესად გამოიყენება ფსიქოლოგიურ-საგანმანათლებლო და კოგნიტურ-ქცევითი მიდგომები.[148] წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს, რომ უაღრესად მწირია ინფორმაცია რისკის შეფასებაზე არასრულწლოვანთა შემთხვევაში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს მიმდინარე დებატებს, თუ რას ნიშნავს რისკის ადეკვატური შეფასება ახალგაზრდების შემთხვევაში. ბავშვებსა და მოზარდებზე ორიენტირებული პროგრამები ხშირად მოიცავს ფართო ასაკობრივ დიაპაზონს. ზოგჯერ, ლიტერატურაში გვხვდება ინფორმაცია ასაკზე მორგებული მიდგომების შესახებ, თუმცა ეს მონაცემები, როგორც წესი, ფრაგმენტულია და სიღრმეს მოკლებული. გამოკითხვის ფარგლებში, გოგონების მიმართ გენდერულად სპეციფიკური მიდგომების გამოყენება მხოლოდ ერთმა პროგრამამ ახსენა. გარდა ამისა, მწირია ინფორმაცია უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ, რაც ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. სწორედ ისე, როგორც ზრდასრულთა პროგრამების შემთხვევაში, გარკვეული ბუნდოვანება არსებობს შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით, ხოლო პროგრამის მონაწილეთა მცირე ასაკი დამატებით ართულებს ამ საკითხს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი

კარგი პრაქტიკის მაგალითად მიიჩნევა ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მიდგომები და „კარგი ცხოვრების მოდელი“ (Good Lives Model – GLM), რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება. ამ მიდგომებს რეკომენდაციას უწევს ევროპის საბჭოს ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფიც (CDENF-GT-VAE).

ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი ელემენტებია:

- ახალგაზრდების დახმარება, რათა არანაკლებ ერთ არამოძალადე ზრდასრულთან ჩამოაყალიბონ მხარდამჭერი ურთიერთობა;
- ახალგაზრდების დახმარება, რომ პოზიტიური და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა დაამყარონ თანატოლებთან;
- სასკოლო წარმატებისა და საგანმანათლებლო მიღწევების წახალისება;
- ახალგაზრდების ინტერესებისა და ნიჭის განვითარება;
- ოჯახის მდგრადობის გაძლიერება, რაც გულისხმობს ურთიერთობის ჩამოყალიბებას ბავშვის ზრუნვაზე პასუხისმგებელ პირსა და სანდო ადამიანს შორის, რომელსაც იგი გაუზიარებს თავის პრობლემებს;
- მონაწილეობისა და დაგეგმვის წახალისება, რათა ახალგაზრდები და მათი ოჯახის წევრები აქტიურად ჩაერთონ დაგეგმვის პროცესში; და
- ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობის მიცემა, დაისახონ და განახორციელონ მიზნები და პროსოციალური მისწრაფებები.

მსგავსად, „კარგი ცხოვრების მოდელიც“ მისდევს ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მიდგომას. ამ მოდელის თანახმად, ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ცნება უნდა გახდეს სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირებთან გამოყენებული ინტერვენციების მთავარი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს რეაბილიტაციისა და რისკის მართვის ფორმასა და შინაარსს.

146. King-Hill, S., Gilsenan, A., & McCartan, K. (2023). Professional responses to sibling sexual abuse. Journal of Sexual Aggression, 29(3), 1–15. https://doi.org/10.1080/13552600.2023.2241482
147. Firmin, C. (2020). Contextual Safeguarding. HM Inspectorate of Probation. ხელმისაწვდომია: http://www.justiceinspectorates.gov.uk/hmiprobation/wp-content/uploads/sites/5/2020/11/Academic-Insights-Contextual-Safeguarding-CF-Nov-20-for-design.pdf
148. National Institute for Health and Care Excellence. (2016), op. cit. (შენიშვნა 138).

არსებობს გარკვეული პერსპექტიული პროგრამები და მიდგომები, რომლებიც გამოიყენება საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვთა მიმართ. მათ შორისაა გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი პროგრამა Turn the Page [149], რომელიც მულტისისტემურ თერაპიას ითვალისწინებს ასეთი ბავშვებისთვის. [150] Turn the Page-ის პროგრამა არა მარტო იმ ბავშვებს სთავაზობს პრევენციულ ინტერვენციას, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს ძალადობა, არამედ მოიცავს მათი ოჯახის წევრებსა და თანატოლთა ფართო ჯგუფებზე მიმართულ პრევენციასაც.[151] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური ინსტრუმენტი, პროფესიონალთა დასახმარებლად თერაპიული პროგრამების გაუმჯობესებაში. [152]კარგი პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითია ბელგიაში მოქმედი პროგრამა Sensoa Flag System, რომელიც შექმნა „ფლამანდიის სექსუალური ჯანმრთელობის ექსპერტიზის ცენტრმა“ (Sensoa). ეს ინსტრუმენტი შემუშავდა ბავშვებსა და ახალგაზრდებში სარისკო სექსუალური ქცევის შესაფასებლად და მასზე რეაგირებისათვის. იგი ჰგავს გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ პროგრამას, Brook Traffic Light System, რომელიც შეიმუშავა „ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციის ეროვნულმა საზოგადოებამ“ (NSPCC). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სპეციალურად გამოყოფილ ველში წარმოდგენილი მაგალითები.[153]

რაც შეეხება მეოთხეულ პრევენციას სექსუალურ დანაშაულზე მსჯავრდებული ახალგაზრდებისთვის (ანუ არსებული ზიანის შემცირებას, ახალი დანაშაულის აღკვეთასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას), ჯერ კიდევ განვითარებადი და ნაკლებად ჩამოყალიბებული სფეროა.[154] იგი აზრთა სხვადასხვაობასაც იწვევს, რადგან თავდაპირველად მესამეული პრევენციის ნაწილად განიხილებოდა. მეოთხეული პრევენციის პროგრამის მაგალითია გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი „მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების წრეები“, რომელიც, ძირითადად, მოიცავს მენტორობას, დადებითი როლური მოდელების წარმოჩენას და მსჯავრდებული ახალგაზრდების მხარდაჭერას.[155]

149. National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2018). Turn the Page manualised treatment programme: final evaluation report. NSPCC. ხელმისაწვდომია: https://learning.nspcc.org.uk/research-resources/2017/turn-the-page-final-evaluation
150. Hackett, S., Holmes, D., & Branigan, P. (2016). Harmful sexual behaviour framework: An evidence-informed operational framework for children and young people displaying harmful sexual behaviours. NSPCC. ხელმისაწვდომია: https://durham-repository.worktribe.com/output/1606288 Avon and Wiltshire Mental Health Partnership NHS Trust. (2023). Be Safe Service. AWP. ხელმისაწვდომია: http://www.awp.nhs.uk/camhs/camhs-services/HSB-services/be-safe.
151. Firmin, C. (2020), op. cit. (შენიშვნა 147).
152. King-Hill, S., & Gilsenan, A. (2023). Sibling Sexual Behaviour Mapping Tool. University of Birmingham. ხელმისაწვდომია: http://www.birmingham.ac.uk/schools/social-policy/departments/health-services-management-centre/research/projects/2022/sibling-sexual-behaviour-mapping/index.aspx
153. Hackett, S. (2020). Sexual violence and harmful sexual behaviour displayed by children: Nature, causes, consequences and responses. ევროპის საბჭო. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/cdenf-gt-vae-2020-04-hackett-harmful-sexual-behaviour-final/16809eb593
154. McCartan, K., & Kemshall, H. (2023). Incorporating quaternary prevention: Understanding the full scope of public health practices in sexual abuse prevention. International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology, 67(2–3), 224–246. https://doi.org/10.1177/0306624X211049204
155. Circles South West. (2023). Young people's service. CSW. ხელმისაწვდომია: https://circles-southwest.org.uk/services/young-peoples-services/

რეკომენდაციები საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების პროგრამებისთვისr

იმ ბავშვებისთვის შექმნილი პროგრამები, რომლებიც ავლენენ საზიანო სექსუალურ ქცევას, მორგებული უნდა იყოს ბავშვის განვითარების ასაკს, ეტაპსა და შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ბავშვის სოციალური და განვითარებასთან დაკავშირებული კონტექსტი, ასევე, მისი ქცევისა და მოქმედების შესაძლო შედეგები. პროგრამებმა უნდა შემოიღონ შეფასებისა და გადამისამართების ეფექტიანი მექანიზმები, რათა ბავშვმა ისარგებლოს მასზე მაქსიმალურად მორგებული ინტერვენციით. ასევე აუცილებელია მომხმარებელთა აქტიური ჩართულობა, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს მიზანს, იყოს მისაწვდომი და აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა საჭიროებებს. ეს განსაკუთრებით რთულია ბავშვებთან მუშაობისას, რაც უსაფრთხოების დამატებით მექანიზმებს საჭიროებს. ამ მხრივ, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კარგი პრაქტიკის არსებული მაგალითების გათვალისწინება.

პროგრამა უნდა განახორციელოს კვალიფიციურმა და მომზადებულმა პერსონალმა. პროცესი უნდა ეფუძნებოდეს პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის ინდივიდუალურ მოდელს, რომელიც იყენებს ძლიერ მხარეებსა ან მედეგობაზე დაფუძნებულ მიდგომას (პირის ქცევასა ან მოქმედებაში არსებული ძლიერი მხარეების გამოყენება საზიანო სექსუალური ქცევის შეცვლაში დასახმარებლად).

პროგრამებმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მხოლოდ კონკრეტულ ახალგაზრდაზე, არამედ ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებზეც, რომელთა წყაროც არის ოჯახი, თანატოლები, სკოლა, ან საზოგადოება, სადაც ბავშვი ცხოვრობს.[156]

აუცილებელია ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება, რაც გულისხმობს ბავშვების ცხოვრებაში არსებული წარსული ტრავმების იდენტიფიცირებას და შესაბამის რეაგირებას. პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის სისტემისა და თანატოლთა ქსელის მნიშვნელობასაც. პორნოგრაფიის როლის ხაზგასმა ძალადობაში, ძალადობის რაციონალიზაციასა და საზიანო სექსუალური ქცევის გამყარებაში, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამავდროულად, საზიანო სექსუალური ქცევა ონლაინ სივრცესა და რეალურ გარემოში თანაბარი სერიოზულობით უნდა განიხილებოდეს.

156. Hackett, S. (2020), op. cit. (შენიშვნა 153).

2.4. სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების საკონტროლო ჩამონათვალი

სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამების საკონტროლო ჩამონათვალი განკუთვნილია პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასეთი პროგრამების მიმწოდებლებისათვის. იგი აერთიანებს ინფორმაციას GREVIO-ს საწყისი შეფასების ანგარიშებიდან, ევროპის საბჭოს დოკუმენტებიდან და ევროპის მასშტაბით არსებული პროგრამების კვლევებიდან (იხ. სექციები 2.1–2.3).

წინამდებარე სახელმძღვანელო ინსტრუქციები ეხება სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება პენიტენციურ დაწესებულებაში - პრობაციის ფარგლებში, ან საზოგადოებრივ პირობებში. იგი იყოფა სამ ძირითად ნაწილად: 1) ზრდასრულთა, კერძოდ, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები; 2) ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები; 3) პროგრამები საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

ზრდასრულთა, კერძოდ, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები უნდა:

- პრიორიტეტს ანიჭებდეს მსხვერპლთა უსაფრთხოებას, კონფიდენციალურობას, ადამიანის უფლებებსა და კეთილდღეობას.
- ეფუძნებოდეს პოზიციას, რომ ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ფესვი გადგმული აქვს გენდერულ უთანასწორობებში, და უპირისპირდებოდეს რწმენებს, რომლებიც ამართლებს კაცების ძალადობას ქალთა მიმართ.
- ეხმარებოდეს დამნაშავეებს, რომ გაიაზრონ საკუთარი ქმედებების შედეგები და აიღონ პასუხისმგებლობა.
- ყურადღებას ამახვილებდეს წარსულ (დისფუნქციური მიჯაჭვულობა, სექსუალური/ფიზიკური/ემოციური ძალადობა, რომელიც თავად დამნაშავემ განიცადა, სოციალური ფაქტორები), აწმყო (ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს სექსუალური დანაშაულის ჩადენას) და სამომავლო (განმეორებითი დანაშაულის პრევენციის უნარების განვითარება) ელემენტებზე.
- ითვალისწინებდეს თანხმობის, სექსუალური ავტონომიისა და პირადი ხელშეუხებლობის კონცეფციებს.
- იყენებდეს ინდივიდუალურად მორგებულ, ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მიდგომას და, ამავდროულად, იცავდეს ბალანსს სექსუალური ძალადობის კონტექსტთან დაკავშირებულ და ზოგად კრიმინოლოგიურ მასალას შორის.
- ითვალისწინებდეს სექსუალური ძალადობის როგორც ონლაინ, ისე რეალური გარემოს განზომილებებს.
- უწყვეტად აფასებდეს რისკებს, რათა გამოვლინდეს როგორც დანაშაულის განმეორებით ჩადენის ზოგადი რისკები, ისე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკები.
- მოერგოს და პასუხობდეს ინდივიდუალურ საჭიროებებს; ითვალისწინებდეს პირის ინდივიდუალურ მდგომარეობას, კერძოდ, ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ნეირომრავალფეროვნებასა და სხვა შესაბამის საკითხებს.
- ხელმისაწვდომი იყოს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი ფორმით.
- ხორციელდებოდეს სპეციალურად მომზადებული პერსონალის ძალისხმევით, რომელიც მუდმივად ივითარებს კომპეტენციებს და გადის რეგულარულ ზედამხედველობას.
- თანამშრომლობდეს სხვა შესაბამის უწყებებთან.
- რეგულარულად აფასებდეს საკუთარ საქმიანობას, მათ შორის, ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც არ შემოიფარგლება დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებლით (მაგ: რწმენების ცვლილება, მოტივაციის გაძლიერება დამოკიდებულებებისა და ქცევის შესაცვლელად, ემპათიის გაზრდა).

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები უნდა:

- პრიორიტეტს ანიჭებდეს ბავშვის უფლებებს, კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას.
- მოერგოს დამნაშავეთა სხვადასხვა პროფილს.
- უწყვეტად აფასებდეს რისკებს, სპეციალურად შერჩეული ინსტრუმენტებით, რომლებიც მოერგება დამნაშავის სხვადასხვა პროფილს.
- ეფუძნებოდეს სოციალურ-ეკოლოგიურ მოდელს და იყოს გენდერულად სენსიტიური.[157]
- ხორციელდებოდეს მომზადებული და კვალიფიციური პერსონალის ძალისხმევით.
- სისტემატურად აფასებდეს საკუთარ საქმიანობას, მათ შორის, გრძელვადიანი მონიტორინგის მეშვეობით. შეფასებისას გაითვალისწინოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა დანაშაულის განმეორებით ჩადენა, ცხოვრების ხარისხი და ემპათიის განცდა. უკუკავშირი უნდა შეგროვდეს შესაბამისი აქტორებისგან (მაგ: ოჯახის წევრების ან, თუ შესაძლებელია, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისგან).

პროგრამები საზიანო სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის უნდა:

- ემყარებოდეს ბავშვის განვითარების ასაკს, ეტაპსა და შესაძლებლობებს.
- ითვალისწინებდეს ბავშვის სოციალურ და განვითარებასთან დაკავშირებულ კონტექსტს და მის გავლენას არასრულწლოვნის ქცევასა და ქმედებებზე.
- ავითარებდეს შეფასებისა და რეფერირების ეფექტიან გზებს, რათა ბავშვმა ისარგებლოს ყველაზე შესაფერისი და საუკეთესო ინტერვენციით.
- ხორციელდებოდეს მომზადებული და კვალიფიციური პერსონალის ძალისხმევით.
- იყოს გენდერულად და ასაკობრივად სენსიტიური.
- ემყარებოდეს მკურნალობის ინდივიდუალურად მორგებულ მოდელს, რომელიც ეფუძნება მედეგობასა და/ან ძლიერ მხარეებს.
- ეყრდნობოდეს სერვისის მომხმარებელთა ჩართულობას, რათა პროგრამები იყოს მიზნის შესაფერისი, ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი. ბავშვებთან მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საუკეთესო პრაქტიკას.
- იყოს ტრავმაზე ორიენტირებული და ახდენდეს წარსული ტრავმის იდენტიფიცირებას და მასზე რეაგირებას.
- ითვალისწინებდეს ოჯახის სისტემისა და თანატოლთა ქსელის მნიშვნელობას.
- ხაზს უსვამდეს პორნოგრაფიის როლს ძალადობაში, ძალადობის რაციონალიზაციასა და საზიანო სექსუალური ქცევის გამყარებაში. ამავდროულად, თანაბარი სერიოზულობით განიხილავდეს საზიანო სექსუალურ ქცევას ონლაინ სივრცესა და რეალურ გარემოში.

157. ეს მოდელი ითვალისწინებს ინდივიდუალურ, ურთიერთობით, საზოგადოებრივ და სოციალურ ფაქტორთა კომპლექსურ ურთიერთქმედებას და გვაძლევს იმ ფაქტორების გააზრების საშუალებას, რომლებიც ზრდის ან ამცირებს ძალადობის რისკს.

დასკვნა

ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლასა და მის პრევენციაში. წინამდებარე შედარებითი მიმოხილვა განმარტავს ასეთი პროგრამების ტიპებსა და ბუნებას, ავლენს კარგი პრაქტიკის მაგალითებს და სთავაზობს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, საკონტროლო ჩამონათვალის ფორმით. იგი ავსებს „დუბლინის დეკლარაციაში" გამოვლენილ ხარვეზს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტამბოლის კონვენციის ძირითად სტანდარტთა უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

კვლევა ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები საჭიროებს ისეთ ჩარჩოში განხორციელებას, რომელიც მოიცავს ფართო ხელმისაწვდომობას, რეფერირების მრავალფეროვან მექანიზმებს და ეფექტიან უწყებათაშორის თანამშრომლობას, ამავდროულად კი უზრუნველყოფს შესაბამის რესურსებს. პროგრამებს უნდა ახორციელებდეს კვალიფიციური და სპეციალიზებული პერსონალი, ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავის ანგარიშვალდებულებას და მაქსიმალურად ზრდის დასწრების მაჩვენებელს. ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა იმ აქტივობაში, რომლებსაც ითვალისწინებს დამნაშავეთა პროგრამა. ასეთმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ პარტნიორ სერვისებთან თანამშრომლობა, რაც მოიცავს პროგრამაზე ინფორმაციის დროულად მიწოდებას ქალებისა და გოგონებისთვის და მათი საჭიროებებისა და წუხილების გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით, პროგრამის მიმდინარეობისას აუცილებელია რისკის რეგულარული შეფასება და მართვა. გარდა ამისა, პროგრამები უნდა მიემართებოდეს ძალადობის ძირეულ მიზეზებს, იყოს გენდერულად მგრძნობიარე და დამნაშავეს ეხმარებოდეს ძალადობრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში.

სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა პროგრამები მოიცავს დამნაშავეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, ზრდასრულებს, ახალგაზრდებსა და ბავშვებს, რომლებიც ძალადობას სჩადიან სხვადასხვა მსხვერპლის მიმართ (მაგ: ზრდასრულების ან ბავშვების მიმართ, ოჯახში ძალადობის კონტექსტში, თუ მის მიღმა). ასეთი პროგრამები საგანგებოდ უნდა შემუშავდეს კონკრეტული ჯგუფისთვის, რომელსაც ისინი მიემართება, და რეგულარულად აფასებდეს რისკებს. და ბოლოს, სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა ყველა პროგრამამ, ნებისმიერ ეტაპზე, პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს მსხვერპლთა უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებსა და კეთილდღეობას; ასევე, ხელი შეუწყოს დამნაშავეებს საკუთარი ქმედების შედეგების გაცნობიერებასა და მასზე პასუხისმგებლობის აღებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Alderson, S., Westmarland, N., & Kelly, L. (2013). The need for accountability to, and support for, children of men on domestic violence perpetrator programs. Child Abuse Review, 22(3), 182–193. https://doi.org/10.1002/car.2223

Alsalem, R. (2023). Custody, violence against women and violence against children: Report of the special rapporteur on violence against women and girls, its causes and consequences. United Nations. http://www.ohchr.org/en/

Arce, R., Arias, E., Novo, M., & Fariña, F. (2020). Are interventions with batterers effective? A meta-analytical review. Psychosocial Intervention, 29(3), 153–164. https://doi.org/10.5093/pi2020a11

Arias, E., Arce, R., & Vilariño, M. (2013). Batterer intervention programmes: A meta-analytic review of effectiveness. Psychosocial Intervention, 22(2), 153–160. https://doi.org/10.5093/in2013a18

Avon and Wiltshire Mental Health Partnership NHS Trust. (2023). Be Safe Service. AWP. Available at http://www.awp.nhs.uk/camhs/camhs-services/HSB-services/be-safe.

Bundesministerium für Familie, Senioren, Frauen und Jugend (BMFSFJ). (2021). Arbeit mit Tätern in Fällen häuslicher Gewalt: Standard der Bundesarbeitsgemeinschaft Täterarbeit Häusliche Gewalt e.V. BMFSFJ. Available at https://www.bmfsfj.de/bmfsfj/service/publikationen/arbeit-mit-taetern-in-faellen-haeuslicher-gewalt-80734

Butters, R. P., Droubay, B. A., Seawright, J. L., Tollefson, D. R., Lundahl, B., & Whitaker, L. (2021). Intimate partner violence perpetrator treatment: Tailoring interventions to individual needs. Clinical Social Work Journal, 49, 391–404. https://doi.org/10.1007/s10615-020-00763-y.

Caring Dads Organization. (n.d.). Caring Dads programme. Available at https://caringdads.org/

Circles South West. (2023). Young people's service. CSW. https://circles-southwest.org.uk/services/young-peoples-services/

ევროპის საბჭო. (2003). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, M.C. v. Bulgaria, Appl. No. 39272/98. https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/resources/M.C.v.BULGARIA_en.asp

ევროპის საბჭო. (2007). ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, განმარტებითი ანგარიში. https://rm.coe.int/16800d3832

ევროპის საბჭო. (2008). Combating violence against women: Minimum standards for support services. https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Source/EG-VAW-CONF(2007)Study%20rev.en.pdf

ევროპის საბჭო. (2011a). ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. https://rm.coe.int/168008482e

ევროპის საბჭო. (2011b). ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, განმარტებითი ბარათი. Available at https://rm.coe.int/1680a48903.

ევროპის საბჭო. (2017). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ავსტრიის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-austria-1st-evaluation/1680759619

ევროპის საბჭო. (2018). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში თურქეთის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-baseline-evaluation-report-turkey/16808e5283

ევროპის საბჭო. (2019a). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ფინეთის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-on-finland/168097129d

ევროპის საბჭო. (2019b). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში საფრანგეთის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-inf-2019-16/168098c61a

ევროპის საბჭო. (2019c). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში პორტუგალიის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-reprt-on-portugal/168091f16f

ევროპის საბჭო. (2020a). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ანდორას შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-andorra/1680a07ebd

ევროპის საბჭო. (2020b). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ბელგიის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-on-belgium/16809f9a2c

ევროპის საბჭო. (2020c). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში იტალიის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-italy-first-baseline-evaluation/168099724e

ევროპის საბჭო. (2020d). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში მალტის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-inf-2020-17-malta-final-report-web/1680a06bd2

ევროპის საბჭო. (2020e). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ნიდერლანდების შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-on-netherlands/1680997253

ევროპის საბჭო. (2020f). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში სერბეთის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-report-on-serbia/16809987e3

ევროპის საბჭო. (2020g). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ესპანეთის შესახებ. https://rm.coe.int/grevio-s-report-on-spain/1680a08a9f

ევროპის საბჭო. (2021a). GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No. 1 ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ. https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147

ევროპის საბჭო. (2021b). მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2021)6 წევრი სახელმწიფოებისთვის, სექსუალურ დანაშაულში ბრალდებულ ან მსჯავრდებულ პირთა შეფასების, მართვისა და რეინტეგრაციის შესახებ. https://rm.coe.int/0900001680a4397a

ევროპის საბჭო. (2022a). ევროპის საბჭოს მინისტრთა დეკლარაცია ოჯახში ძალადობის, სექსუალური და გენდერის ნიშნით ძალადობის პრევენციის შესახებ. https://rm.coe.int/dublin-declaration-sept-2022/1680a85149

ევროპის საბჭო. (2022b). GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშების შუალედური ჰორიზონტალური მიმოხილვა. https://rm.coe.int/prems-010522-gbr-grevio-mid-term-horizontal-review-rev-february-2022/1680a58499

ევროპის საბჭო. (2022c). The digital dimension of violence against women as addressed by the seven mechanisms of the EDVAW Platform. https://rm.coe.int/thematic-report-on-the-digital-dimension-of-violence-against-women-as-/1680a933ae

ევროპის საბჭო. (2023a). მეოთხე ზოგადი ანგარიში GREVIO-ს საქმიანობის შესახებ. https://rm.coe.int/4th-general-report-on-grevio-s-activities/1680aca199

ევროპის საბჭო. (2023b). GREVIO საბაზისო შეფასების ანგარიში ხორვატიის შესახებ. https://rm.coe.int/baseline-evaluation-report-on-croatia/1680ac76c9

Cunha, O., Catarina, T., Almeida, Abrunhosa, R., & Caridade, S. (2023). Effectiveness of the motivational interviewing techniques with perpetrators of intimate partner violence: A non-randomized clinical trial. Journal of Aggression, Maltreatment & Trauma, 1–20. https://doi.org/10.1080/10926771.2023.2189043

Di Gioia, R., & Beslay, L. (2018). Fighting child sexual abuse: Prevention policies for offenders. European Commission, Joint Research Centre. https://data.europa.eu/doi/10.2760/48791

Di Gioia, R., & Beslay, L. (2023). Help seeker and perpetrator prevention initiatives – Child sexual abuse and exploitation. European Commission, Joint Research Centre. https://data.europa.eu/doi/10.2760/600662

Di Gioia, R., Beslay, L., Cassar, A., & Pawula, A. (2022). Classification criteria for child sexual abuse and exploitation prevention programmes. European Commission, Joint Research Centre. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/8916aba4-83e0-11ec-8c40-01aa75ed71a1/language-en

Di Napoli, I., Procentese, F., Carnevale, S., Esposito, C., & Arcidiacono, C. (2019). Ending intimate partner violence (IPV) and locating men at stake: An ecological approach. International Journal of Environmental Research and Public Health, 16(9), 1652. https://doi.org/10.3390/ijerph16091652

Dines, S. (2022). The Respect Standard: Accreditation framework for safe, effective, and survivor-focused work with perpetrators of domestic abuse in the UK. UK Government. https://hubble-live-assets.s3.amazonaws.com/respect/file_asset/file/1458/Respect_Standard_4th_edition_2022.pdf

Drive Partnership. (n.d.). The Drive Project. https://drivepartnership.org.uk/about-us/the-drive-project/

ECPAT. (2023). (Child) Sex Offender Registry: Working paper. ECPAT International. https://ecpat.org/wp-content/uploads/2023/10/Final-ChildSexOffenderRegistration_2023.pdf

Elizabeth, V. (2017). Custody stalking: A mechanism of coercively controlling mothers following separation. Feminist Legal Studies, 25, 185–201. https://doi.org/10.1007/s10691-017-9349-9

ევროპის კავშირი. (2011). ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა 2011/93/EU ბავშვთა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის, ასევე ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2004/68/JHA. Official Journal of the European Union. http://data.europa.eu/eli/dir/2011/93/oj

ევროკომისია. (2022). 2PS – Prevent & Protect Through Support. CORDIS. https://cordis.europa.eu/project/id/101073949

Firmin, C. (2020). Contextual safeguarding. HM Inspectorate of Probation. https://www.justiceinspectorates.gov.uk/hmiprobation/wp-content/uploads/sites/5/2020/11/Academic-Insights-Contextual-Safeguarding-CF-Nov-20-for-design.pdf

Frenken, J. (1999). Sexual offender treatment in Europe: An impression of cross-cultural differences. Sexual Abuse, 11(1), 87–93. https://doi.org/10.1177/107906329901100107

Geldschläger, H., Ginés, O., Nax, D., & Ponce, A. (2014). Outcome measurement in European perpetrator programs: A survey. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/IMPACT/Daphne_III_Impact_-_Working_paper_1_-_Outcome_Measurement_in_European_Perpetrator_Programs_-_A_Survey.pdf

Graves, K. N., Sechrist, S. M., White, J. W., & Paradise, M. J. (2005). Intimate partner violence perpetrated by college women within the context of a history of victimization. Psychology of Women Quarterly, 29(3), 278–289. https://doi.org/10.1111/j.1471-6402.2005.00222.x

Gutowski, E. R., & Goodman, L. A. (2023). Coercive control in the courtroom: The Legal Abuse Scale (LAS). Journal of Family Violence, 38, 527–542. https://doi.org/10.1007/s10896-022-00408-3

Hackett, S. (2010). Children and young people with harmful sexual behaviours. In C. Barter & D. Berridge (Eds.), Children behaving badly? Peer violence between children and young people. Wiley-Blackwell.

Hackett, S. (2020). Sexual violence and harmful sexual behaviour displayed by children: Nature, causes, consequences and responses. https://rm.coe.int/09000016809eb593

Hackett, S., Holmes, D., & Branigan, P. (2016). Harmful sexual behaviour framework: An evidence-informed operational framework for children and young people displaying harmful sexual behaviours. NSPCC. https://durham-repository.worktribe.com/output/1606288

Henderson, A. F., & Arean, J. C. (2004). Fathering after violence: Curriculum guidelines and tools for batterer intervention programs. Fatherhood. https://www.futureswithoutviolence.org/userfiles/file/Children_and_Families/FAV%20Guidelines%202011.pdf

Hester, M. (2013). Who does what to whom? Gender and domestic violence perpetrators in English police records. European Journal of Criminology, 10(5), 623–637. https://doi.org/10.1177/1477370813479078

Hester, M., & Lilley, S. J. (2014). Domestic and sexual violence perpetrator programmes: Article 16 of the Istanbul Convention. ევროპის საბჭო. https://edoc.coe.int/en/violence-against-women/7144-domestic-and-sexual-violence-perpetrator-programs-article-16-of-the-istanbul-convention.html

Human Rights Watch. (2013). The irreparable harm of placing children on sex offender registries in the US. HRW. https://www.hrw.org/report/2013/05/01/raised-registry/irreparable-harm-placing-children-sex-offender-registries-us

Iterapi. (n.d.). Project Bridge. https://www.iterapi.se/sites/bridge/#

Jovanović, S., & Vall, B. (2022). Perpetrator programmes in the Western Balkans: Mapping the existing practices and ways forward. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Projects/STOPP/WWPEN_STOPP_RegionalReport_220531_WEB.pdf

Jovanović, S., Petrangelo, M., & Vall, B. (2022). Regional guidance on working with perpetrators of domestic violence and early intervention: Eastern Partnership region. UN Women, UNFPA. https://eca.unwomen.org/sites/default/files/2023-01/UN%20Woman%20-%20EU%204%20Gender%20Equality%5B3%5D.pdf

Kelly, L., & Westmarland, N. (2015). Domestic violence perpetrator programs: Steps towards change. Project Mirabal final report. London Metropolitan University & Durham University. https://hubble-live-assets.s3.amazonaws.com/respect/file_asset/file/28/ProjectMirabalfinalreport.pdf

Kelly, L., & Westmarland, N. (2023). Standards for domestic abuse perpetrator interventions. Durham University, London Metropolitan University. https://www.gov.uk/government/publications/standards-for-domestic-abuse-perpetrator-interventions

King-Hill, S., & Gilsenan, A. (2023). Sibling sexual behaviour mapping tool. University of Birmingham. https://www.birmingham.ac.uk/schools/social-policy/departments/health-services-management-centre/research/projects/2022/sibling-sexual-behaviour-mapping/index.aspx

King-Hill, S., Gilsenan, A., & McCartan, K. (2023). Professional responses to sibling sexual abuse. Journal of Sexual Aggression, 29(3), 1–15. https://doi.org/10.1080/13552600.2023.2241482

King-Hill, S., McCartan, K. F., & Gilsmann, A. (2023). Understanding and responding to sibling sexual abuse. Palgrave Macmillan.

King's College of London. (n.d.). Research & innovation: Advance. https://www.kcl.ac.uk/research/advance

McCartan, K., & Kemshall, H. (2023). Incorporating quaternary prevention: Understanding the full scope of public health practices in sexual abuse prevention. International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology, 67(2–3), 224–246. https://doi.org/10.1177/0306624X211049204

McCartan, K., Uzieblo, K., & Smid, W. J. (2021). Professionals' understandings of and attitudes to the prevention of sexual abuse: An international exploratory study. International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology, 65(8), 815–831. https://doi.org/10.1177/0306624X20919706

McCartan, K., Van der Brugge, W., Špero, J., Svendsen, J. I., Cutland, M., Morick, Y., Negredo, L., Zavackis, A., Zammit, M. A., & Kajala, T. T. (2022). Survey of current practices in the assessment, treatment and management across CEP areas. Confederation of European Probation.

McGinn, T., Taylor, B. B., Taylor, M., & McColgan, M. (2021). A qualitative study of the perspectives of domestic violence survivors on behavior change programs with perpetrators. Journal of Interpersonal Violence, 36(17–18), 9364–9390. https://doi.org/10.1177/0886260519855663

McKee, S. A., & Hilton, N. Z. (2019). Co-occurring substance use, PTSD, and IPV victimization: Implications for female offender services. Trauma, Violence, & Abuse, 20(3), 303–314. https://doi.org/10.1177/1524838017708782

Mielenterveystalo. (n.d.). ReDirection – A self-help program to stop using CSAM. https://www.mielenterveystalo.fi/en/self-help/redirection-self-help-program-stop-using-csam

Moldavian Government. (2014). Regarding the minimum quality standards for services provided within the Assistance and Counselling Centre for Family Aggressors: Annex 2. https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=64111&lang=ro

Murphy, C. M., Eckhardt, C. I., Clifford, J. M., LaMotte, A. D., & Meis, L. A. (2020). Individual versus group cognitive-behavioral therapy for partner violent men: A preliminary randomized trial. Journal of Interpersonal Violence, 35(15–16), 2846–2868. https://doi.org/10.1177/0886260517705666

National Institute for Health and Care Excellence. (2016). Harmful sexual behaviour among children and young people. NICE. https://www.nice.org.uk/guidance/NG55

National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2018). Turn the page manualised treatment programme: Final evaluation report. NSPCC. https://learning.nspcc.org.uk/research-resources/2017/turn-the-page-final-evaluation

National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2021). Harmful sexual behaviour: Statistics briefing. NSPCC. https://learning.nspcc.org.uk/research-resources/statistics-briefings/harmful-sexual-behaviour-hsb

National Society for the Prevention of Cruelty to Children. (2023). Harmful sexual behaviour. NSPCC. https://learning.nspcc.org.uk/child-abuse-and-neglect/harmful-sexual-behaviour

Oğuztüzün, Ç., Koyutürk, M., & Karakurt, G. (2023). Systematic investigation of meta-analysis data on treatment effectiveness for physical, psychological, and sexual intimate partner violence perpetration. Psychosocial Intervention, 32(2), 59–68. https://doi.org/10.5093/pi2023a6

Online Violence Women. (2021). Measuring the prevalence of online violence against women. The Economist. https://onlineviolencewomen.eiu.com/

Pinto e Silva, T., Cunha, O., & Caridade, S. (2023). Motivational interview techniques and the effectiveness of intervention programs with perpetrators of intimate partner violence: A systematic review. Trauma, Violence, & Abuse, 24(4), 2691–2710. https://doi.org/10.1177/15248380221111472

Proulx, J., Cortoni, F., Craig, L. A., & Letourneau, E. J. (2020). The Wiley handbook on what works with sexual offenders: Contemporary perspectives in theory, assessment, treatment and prevention. Wiley.

Relive – Relazioni Libere dalle Violenze. (n.d.). Linee guida nazionali dei programmi di trattamento per uomini autori di violenza contro le donne nelle relazioni affettive. Relive. https://www.associazionerelive.it/joomla/images/LineeGuidaRelivea.pdf

Romero Martínez, Á., Lila, M., Gracia, E., & Moya Albiol, L. (2019). Improving empathy with motivational strategies in batterer intervention programmes: Results of a randomized controlled trial. British Journal of Clinical Psychology, 58(2), 125–139. https://doi.org/10.1111/bjc.12204

Stephens, S., Elchuk, D., Davidson, M., & Williams, S. (2022). A review of childhood sexual abuse perpetration prevention programs. Current Psychiatry Reports, 24(11), 679–685. https://doi.org/10.1007/s11920-022-01375-8

Thriving Survivors. (2022). Restorative justice national service for sexual harm – Information. Thriving Survivors Ltd. https://www.thrivingsurvivors.co.uk/_files/ugd/b7bff6_1c43ea7a343d4acf89f73828fdf1354c.pdf

Travers, Á., McDonagh, T., Cunningham, T., Armour, C., & Hansen, M. (2021). The effectiveness of interventions to prevent recidivism in perpetrators of intimate partner violence: A systematic review and meta-analysis. Clinical Psychology Review, 84, 101974. https://doi.org/10.1016/j.cpr.2021.101974

Troubled-Desire. (n.d.). Troubled-desire programme. https://troubled-desire.com/en/

Uzieblo, K., Smid, W., & McCartan, K. (2022). At the crossroads: Future directions in sex offender treatment and management. Palgrave Macmillan.

Vall, B., Grané-Morcillo, J., Pauncz, A., & Hester, M. (2023). Measuring the outcome of perpetrator programmes through a contextualised and victim-centred approach: The Impact Project. Social Sciences, 12(11), 613. https://doi.org/10.3390/socsci12110613

Vall, B., López-Martín, X., Grané-Morcillo, J., & Hester, M. (2023). A systematic review of the quality of perpetrator programs' outcome studies: Towards a new model of outcome measurement. Trauma, Violence, & Abuse, 1–15. https://doi.org/10.1177/15248380231203718

WWP EN [ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი]. (2018). Guidelines to develop standards for programmes working with perpetrators of domestic violence. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Guidelines/WWP_EN_Guidelines_for_Standards_v3_2018.pdf

WWP EN [ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი]. (n.d.). Who should provide victim support services? A review of documents and working papers on collaboration between perpetrator programmes and women's support. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Expert_Papers/FINAL_WWP_EN_Paper_on_Collaboration_Between_DVPP_and_WSS.pdf

WWP EN [ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობის ევროპული ქსელი]. (2023). European standards for perpetrator programmes – Standards for survivor safety-oriented intimate partner

violence perpetrator programmes: Working document. WWP EN. https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Resources/Standards/European_Standards_for_Perpetrator_Programmes_website.pdf

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა არსებულ პროგრამების შესწავლის გზით, წინამდებარე კვლევა გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს ასეთი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ. ეს მითითებები ეფუძნება ხარისხის სტანდარტებს, რომლებსაც ადგენს ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია).

სტამბოლის კონვენცია პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც აღიარებს პრევენციული ინტერვენციისა და მკურნალობის პროგრამათა ფუნდამენტურ წვლილს სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციაში. მე-16 მუხლი მხარეებისგან ითხოვს ასეთი პროგრამების შექმნას (თუკი პროგრამები ჯერ არ არსებობს), ან უკვე არსებული პროგრამების მხარდაჭერას ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების ჩამდენ პირთათვის. ამავდროულად, პროგრამების მთავარი ფოკუსი უნდა იყოს მსხვერპლთა უსაფრთხოება. ასეთი სამუშაოსთვის, კონვენცია ადგენს მნიშვნელოვან სტანდარტებს, როგორიცაა თანამშრომლობა მსხვერპლთა მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან, ინტერვენცია კვალიფიცირებული და მომზადებული ფასილიტატორების მხრიდან და ფოკუსირება დამნაშავის პასუხისმგებლობასა და დამოკიდებულებებზე.

PREMS 080924

ENG

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსგან, რომელთა შორისაც არის ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE